გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 9 აპრილი, 2005 წელი.
№82-83 (5116)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ფლიდობით და ჭორებით ბუნების გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.



## „ღმერთო, [illegible] როგორც [illegible] ეს [illegible] გოგო-ბიჭები“





ჯემალ კასრაძის ფოტო.

# „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა“

**თექვსმეტი წლის წინათ, რუსეთის „პერესტროიკისდროინდელი“ იმპერიის პოლიტბიურო კვლავინდებურად თვალში ნაცარს გვაყრიდა და ოფიციალურად იუწყებოდა: „8 აპრილს, ღამით, ქალაქ თბილისში, მთავრობის სახლის მოედანზე ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი“.**

9 აპრილის წინა დღეებში, უშუალოდ იმ ჯვარცმის ღამეს და მეორე დღესაც თბილისი, მთელი საქართველო ერთსულოვნად ბობოქრობდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი თავისუფლების, ეროვნული ღირსების აღდგენის მიზნით. ერთ მუშტად შეკრული ამაყი ერი უშიშრად, სიკვდილშიაც არდანებების პრინციპით აღიმართა რუსული ალესილი ნიჩბების წინაშე და... „წარმოქმნილი ჭყლეტის“ შედეგად, რამდენიმე წუთში დაიღუპნენ: 22 წლის აზა ადამია, 16 წლის ეკა ბეჟანიშვილი, 23 წლის ნატო გიორგაძე, 28 წლის თამუნა დოლიძე, 70 წლის თინა ენუქიძე, 25 წლის ნინო თოიძე, 61 წლის ზაირა კიკვიძე, 33 წლის მანანა ლოლაძე, 50 წლის თამარ მამულაშვილი, 22 წლის მამუკა ნოზაძე, 41 წლის ნანა სამარგულიანი, 31 წლის მარინა ჭყონია-სამარგულიანი, 25 წლის ელისო ჭიპაშვილი, 16 წლის თამრიკო ჭოველიძე, 40 წლის ნოდარ ჯანგირაშვილი, 43 წლის მზია ჯინჭარაძე, ორიოდე დღის შემდეგ მიღებული ტრავმისგან გარდაიცვალნენ: 23 წლის მანანა მელქაძე, 25 წლის გია ქარსელაძე. ათობით მშვიდობიანი მოქალაქე გაზით მოიწამლა და რამდენიმე კვირის შემდეგ გარდაიცვალა. საერთოდ კი, – მოწამლულთა რაოდენობამ 4000-ს გადააჭარბა.

ასეთი იყო რუს ბარბაროსთა „ჭყლეტის“ შედეგები.

„ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა“. ვინც 9 აპრილის მსხვერპლი გახდა, ერმა გმირებად შერაცხა. საქართველოს ხსნისთვის, ქართული სულის ამობრწყინებისთვის, ქრისტეს სჯულის აღორძინებისთვის, ძირითადად, უმანკო ახალგაზრდები დაიღუპნენ. მათი თანამგლოვარი მთელი ერი შეიქნა. 9 აპრილის ტრაგედია არ ამოდის (არც ამოვა) ქართველთა გულიდან.

9 აპრილმა მამულისთვის თავდადებული და თავგანწირული ათეულ ათასობით ქართველი დაბადა. 9 აპრილმა, სულ მალე აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა. უკვე კარგა ხანია ჩვენი თავი „ჩვენადვე გვეყუდნის“. თუმცაღა, ძალიან გვიჭირს, რუსეთის იმპერიას ვერა და ვერ მოუნელებია საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, შინაური მტრებიც მოგვიმრავლდნენ, მაგრამ... საქართველო ერთმნიშვნელოვნად, მთელი მსოფლიოს მიერ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა და, თუ ჭკუით მოვიქცევით, აწი ვერავინ დაგვაჩოქებს.

ამ რწმენით იდგნენ 9 აპრილის ღამეს გულანთებული მომიტინგენი და მათი ლიდერები, საქართველოს ხსნისთვის დაბადებული ეროვნული გმირები მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია.

მერაბი და ზვიადი, ზვიადი და მერაბი, – უშიშარნი და მორწმუნენი, რაინდულად განვლეს ეკლიანი გზები, რწმენით ვიდოდნენ სულიერი ამაღლებისკენ და მიაღწიეს კიდეც ამას.

9 აპრილი მამულის სიყვარულის უებრო გაკვეთილია. და როგორც ქართული პოეზიის დედოფალი ანა კალანდაძე გვასწავლის, ფრთები რომ უფრო ძლიერად გავშალოთ, მკვდრეთით აღდგომა, შვილთამრავლობა, ლოცვა, გალობა უნდა შეგვეძლოს: **„ახლოა ჟამი შუაღამისა, ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება... კვდება სრულიად საქართველოსთვის, ლოცვით, გალობით, ახლა ვინც კვდება! ახლოა ჟამი, ჟამი ცისკრისა, იწვიმებს სისხლი, დადგება ტბებად... კვდება სრულიად საქართველოსთვის, მამულზე ფიქრით ვინც ახლა კვდება! არა გაქრობა, – აღდგომა მკვდრეთით! არა დალევა, – მრავლობა შვილთა, რომ... გამოვუსხლტეთ ისევ ყორანთა და ფრთებს უფრორე ძლიერად ვშლიდეთ!“**

ეს ლექსი 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა, მაგრამ, ეჭვგარეშეა ის, საუკუნეების განმავლობაში საქართველოსთვის თავდადებულთა რეკვიემიც არის.

ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ტერიტორიებმორღვეულ მამულს, ეგების, ხვალაც დასჭირდეს ჩვენი სისხლი... ცხრააპრილგამოვლილი ქართველი ხალხი დაუნდობელი უნდა იყოს სამშობლოს მტრებისადმი.

სპარტაკ ქოზულია.

◎ კანონმდებლები

# მადლობა, ზოლიში და გინება პარლამენტში

## რატომ ამართლებს ჩეჩელაშვილი კეზერაშვილს?

**იმ სკანდალური სატელეფონო საუბრის ჩანაწერის გახმაურების შემდეგ, რომელიც ფინანსური პოლიციის უფროსს არცთუ სახარბიელო კუთხით წარმოაჩენდა, საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია მწვავედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ოპოზიცია ხელისუფლებისგან შესაბამისი ზომების მიღებას მოითხოვდა, თუმცა უშედეგოდ. ერთადერთი, რაც პარლამენტმა შეძლო, სამთავრობო საათზე ფინანსთა მინისტრის ვალერი ჩეჩელაშვილის მოწვევა იყო (რაკი კანონი ანგარიშის ჩასაბარებლად ფინანსური პოლიციის უფროსის მოწვევის ნებას არ რთავს).**

ვალერი ჩეჩელაშვილის მოხსენება საკმაოდ მოკლე იყო: საანგარიშო პერიოდში ფინანსურმა პოლიციამ გამოავლინა 1403 სამართალდარღვევა (რაც მთლიანობაში ხუთ მილიონ ლარს ეხებოდა), პოლიციას ჰყავს 525 თანამშრომელი... ამგვარი მონაცემების წარმოდგენის შემდეგ სტანდარტული ფრაზით დაასრულა მოხსენება: მართალია, ჯერ ბევრი რამ არის დასახვეწი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ ფინანსური პოლიციის მუშაობითო.

მისი კმაყოფილება გაუგებარი აღმოჩნდა დავით ბერძენიშვილისთვის, რომელსაც ზოგადი მონაცემები ნაკლებად აინტერესებდა:

– მიუკიბ-მოუკიბავად გკითხავთ, თქვენ თავის დროზე ჩოხით რომ გამოცხადდით პუტინთან, ეს ეპატაჟი იყო თუ ეროვნული ღირსება? იმდენი ღირსება როგორ არ გაქვთ, რომ თანამდებობაზე არ დარჩეს თქვენს სამინისტროს დაქვემდებარებული უწყების უფროსი, რომელმაც სამი ასოსგან შემდგარი ცნობილი სიტყვა გიწოდათ? ძალიან უცნაურია ის, რომ კმაყოფილი ხართ კეზერაშვილის მუშაობით.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი გვარამაძემ კი ჩეჩელაშვილს მადლობა გადაუხადა ფინანსური პოლიციის მუშაობის ობიექტური შეფასებისთვის. გვარამაძემ თავის მოვალეობად მიიჩნია, კეზერაშვილის ნაცვლად გამოეხატა მადლიერება, ფინანსთა მინისტრმა პირად დამოკიდებულებაზე და გინებაზე პასუხის გაცემაზე მაღლა საქმე რომ დააყენა.

იხ. მე-2 გვ.



◎ ინფორმაცია

### ქართულ-რუსული მოლაპარაკებები დასრულდა

**ქართულ-რუსული მოლაპარაკებები სამხედრო საკითხებზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ დასრულდა.**

**რუსული დელეგაციის ხელმძღვანელი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი აღნიშნული მოლაპარაკებებით კმაყოფილია.**

**მისი შეფასებით, მომავალი მოლაპარაკებებისთვის ნიადაგი მომზადებულია და იმედია, რომ ყოველივე ეს მომავალში შედეგს გამოიღებს.**

**რაიმე სახის სხვა კომენტარის გაკეთებისგან როგორც რუსული, ასევე ქართული მხარეები თავს იკავებენ.**

**რუსული დელეგაცია საქართველოდან დღეს გაემგზავრება.**

### გამყრელიძის ბრალდებები სისულელეა!

**ირაკლი ოქრუაშვილი თავდაცვის სფეროს ბიუჯეტის გაწერასთან დაკავშირებით „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერის დავით გამყრელიძის ბრალდებებს სისულელეს უწოდებს.**

**ამგვარი განცხადება ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ნდობის ჯგუფის დახურული სხდომის შემდეგ გააკეთა.**

**ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, გუშინ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ნდობის ჯგუფის სხდომაზე თავდაცვის სამინისტროს დახურული ხარჯები წარადგინა.**

**ოქრუაშვილის განცხადებით, თავდაცვის სფეროს დახურული ხარჯები საჯარო მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც საქართველოში ის ტექნიკა ჩამოვა, რომლისთვისაც ეს ფინანსები იხარჯება.**

### თბილისში რეიდები განახლდა

**გარევაჭრობის აღკვეთის მიზნით, თბილისის მერმა განკარგულება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, რაიონის შესაბამის სამსახურს უფლება აქვს გარემოვაჭრეს დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გასაყიდი პროდუქცია ჩამოართვას.**

**მერის განკარგულების შესასრულებლად, თბილისის ყველა რაიონში სპეციალური ჯგუფებია შექმნილი. გარევაჭრობის აღკვეთის მიზნით, გუშინ რეიდი გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მეტროპოლიტენის სადგურ „ახმეტელთან“, რაიონის გამგეობის მოსაკრებლის სამსახურმა განახორციელა.**

**როგორც „ინტერ-პრესის“ სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ბოტკოველმა განუცხადა, გარევაჭრობა აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. „მოვაჭრეებთან მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ ისინი სავაჭროდ ბაზრებში გადავლენ, წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქცია ჩამოერთმევათ“, – აღნიშნა ბოტკოველმა.**

ინტერ-პრესი.

◎ შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| ავთანდილ გუმბერიძე | – 50 ლარი |
| ლ. ბერძენიშვილი | – 10 ლარი |
| შემოწირულობა ყულაბებიდან | – 1459 ლარი |
| შემოწირულობა ყულაბებიდან | – 25 დოლარი. |

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ბუშის დასახვედრად ემზადება

იური სიმონიანი, თბილისი.
„ნეზავისიმაია გაზეტა“, 8 აპრილი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

**7 აპრილს თბილისში დაიწყო საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის საკითხებზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მეორე რაუნდი. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტთა სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს საგანგებო დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი. ამჯერად მოლაპარაკება საქართველოს დედაქალაქში ოთხ დღეს გასტანს. საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ მოლაპარაკების პირველი რაუნდი გაიმართა მიმდინარე წლის მარტის დამლევს მოსკოვში. ამასთან, მხარეებმა დათქვეს, რომ მოლაპარაკების მიმდინარეობის შედეგებს არ გაახმაურებენ მანამ, სანამ მოლაპარაკება არ დასრულდება.**

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გომიაშვილმა თქვა, „მირონოვის ჯგუფის“ ჩამოსვლისთანავე, თბილისს ეწვევა რუსეთის კიდევ ერთი დელეგაცია, რომელსაც უხელმძღვანელებს საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი. არ არის გამორიცხული, რომ განიხილონ მხოლოდ სამხედრო საკითხები, რადგან, როგორც თბილისში, ისე მოსკოვში მიაჩნიათ, რომ სწორედ ეს საკითხებია მთავარი დაბრკოლება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში, აღნიშნა გომიაშვილმა.

იხ. მე-2 გვ.

## ინტერპანორამა

**რომის პაპის დაკრძალვის დღეს, იტალიის შეიარაღებული ძალების მოიერიშე ბომბდამშენებმა, ერთი „მოთვალთვალე“ თვითმფრინავი ძალით დასვეს რომის ახლოს დელ მარეს სათადარიგო აეროდრომზე. თვითმფრინავის დაკავებაში მონაწილეობდა ორი ზებგერითი F-16. გაუხმაურებელი მონაცემებით, თვითმფრინავში ბომბი იდო...**



**მონაკოს პრინცი ერნსტ-ავგუსტ ჰანოვერსკი, ახლახან გარდაცვლილი მონაკოს ლიდერის რენიე მესამის სიძე, კომაში ჩავარდა. ის მონაკოს ცენტრალური კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს. როგორც ცნობილი გახდა, პრინცი ჯერ კიდევ რენიეს გარდაცვალებამდე, ორშაბათს ჩავარდა კომაში, თუმცაღა, დაავადების მიზეზებს არ ახმაურებენ.**



◎ კანონმდებლები

# მადლობა, ბოდიში და გინება პარლამენტში

(პირველი გვერდიდან)

— კონტრაბანდასთან მებრძოლი უწყების წარმატებაზე თვალის დახუჭვა და პირადულზე საუბარი უსინდისობა იქნება ცალკეული დეპუტატების მხრივ.

იმის მიხვედრას, თუ ვის საქციელს უწოდა უსინდისობა, ცხადია, დიდი მარჩიელობა არ სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, არც დავით ბერძენიშვილს გამოჰპარვია მის ბოსტანში ნასროლი კენჭი. მისი მეორე გამოსვლა კიდევ უფრო ცხარე იყო, თუმცა მანამდე სხვა პარლამენტარებმაც გამოხატეს თავიანთი პოზიცია.

დავით კეზერაშვილის ნაცვლად კიდევ ერთმა დეპუტატმა ილაპარაკა. დავით კირკიტაძემაც გადაუხადა მადლობა ჩეჩელაშვილს პირადულის დავიწყებისთვის, დიდსულოვ-



[illegible]

ეკუთვნის, მე გიხდით ბოდიშს.

ეს სიტყვები იქვე, კულუარებში კირკიტაძის №2 გმირობად მოინათლა.

დავით კირკიტაძის შემდეგ მიკროფონთან ბესო ჯუღელი დადგა. მისი თქმით, დავით კეზერაშვილი უვაჟკაცესი პიროვნებაა, რომელიც გვერდში ედგა რევოლუციონერებს.

— მან თავისი სიტყვა თქვა საქართველოს ისტორიაში.

ჩვენი დროის გმირები რომ არ გვაკლდა, ვიცოდით, მაგრამ მე, პირადად, გუშინდლამდე არ ვიცოდი, ბატონი დავითიც თუ მათს რიგებში იყო ჩარიცხული.

ბესო ჯუღელმა ვაჟკაცობის გამოვლინებად ჩათვალა არაკორექტული სიტყვებიც — კაცი რის კაცია, თუ ასეთი რამეები არ თქვა თავისთვის ან მეგობრებთანო. მას ამაზე მეტად სხვა რამ აღარდებდა — უზნეობაა სხვისი კერძო საუბრების მოსმენაო. ესეც ოპოზიციას ეხებოდა. მე ვინ მეკითხება, თორემ ჩუმად შევახსენებდი ბატონ ბესოს — ის ჩანაწერი ოპოზიციას უკანონოდ არ მოუპოვებია. შესაბამისი უწყებიდან მიაწოდეს.

სხვისი საუბრის მოსმენა არც პარლამენტის თავმჯდომარემ მოიწონა, თუმცა არც მაღალი თანამდებობის პირის უცენზურო სიტყვებით მოხიბლულა მაინცდამაინც.

— კერძო საუბრის დროსაც უნდა ვიყოთ კორექტულები, მით უფრო, როცა კოლეგაზე ვლაპარაკობთ.

უცენზურო სიტყვის თქმის უფლება მაშინაც არ მაქვს, როცა სამზარეულოში ვლაპარაკობ? — იკითხა დაინტერესებულმა ბესო ჯუღელმა. მაშინაც უნდა ვიყოთ კორექტულებიო, — წყალი გადაუწურა ქალბატონმა ნინომ.

კონსერვატორმა კახა კუკავამ ორი შეკითხვა დაუსვა ვალერი ჩეჩელაშვილს. გახმაურებული ჩანაწერი ამხელდა, რომ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობაში ისეთი პირები იყვნენ, რომლებსაც ნარკო-

[illegible]

ნარეობს თუ არა მოკვლევა იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებსაც სახელმწიფო შესყიდვაში უკანონო მონაწილეობაში ედებათ ბრალი. ბატონი ვალერის პასუხიდან გაირკვა, რომ მოკვლევა მიმდინარეობს.

— თუ კერძო საუბრის მოსმენა უზნეობა და უსინდისობაა, ბატონ ვანო მერაბიშვილს მოსთხოვეთ პასუხი. მისი მისამართით თუ ამბობთ, უნდა შეშინდეთ, რადგან მასთან დამოკიდებულებაში დიდ სითამამეს ვერ გატყობთ, — გადაამისამართა მისთვის ნათქვამი სიტყვები დავით ბერძენიშვილმა.

ბატონმა დავითმა კეზერაშვილის გმირად შერაცხვა გააპროტესტა, ის დიდი ვაჟკაცობით არ გამოირჩეოდა, რევოლუციის გმირი არ არის და ისტორიას ნუ გადავწერთო. მას არც კირკიტაძის გამოსვლა მოეწონა.

— კირკიტაძეს უკვე ჩვეულებად ექცა ბოდიშის მოხდა, ხან დაცვის წევრს უხდის ბოდიშს, ხან — მინისტრს. პრეზიდენტი არ უნდა ესალმებოდეს ასეთ საქციელს.

დავით ბერძენიშვილმა „ვიღაც-ვიღაცეებს" ისიც გაახსენა, ადრე დედის გინება რომ

შეურგიათ, ისევე როგორც, მისი თქმით, ჩეჩელაშვილმა შეირგო ახლა.

მისი ცხარე გამოსვლა ივლიანე ხაინდრავამ განაგრძო:

— ხელისუფლება ერგნეთის ბაზრობის დახურვით ამაყობდა — კონტრაბანდა აღიკვეთაო. ახლახან კი ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, შიდა ქართლში კონტრაბანდა არ შემცირებულაო. ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. ჩვენი ქვეყნისთვის სულ ერთია, მამალაძის ბანდა ითარეშებს თუ კეზერაშვილის. რაც შეგეხებათ თქვენ, ბატონო მინისტრო, თქვენი პასუხისმგებლობის საკითხს არ დავსვამ, რადგან ვიცი — ფინანსური პოლიცია თქვენს სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება კი არის, მაგრამ სინამდვილეში თქვენ ექვემდებარებით მას. კეზერაშვილს უფრო აქვს თქვენი დანიშვნა-მოხსნის უფლება, ვიდრე თქვენ — მისი.

სხვათა შორის, დავით ბერძენიშვილმა კეზერაშვილის დამცველ ახალგაზრდა ნაციონალისტებს ასეთი რამ უთხრა — თქვენი ლოკომოტივი სააკაშვილი იყო, სხვაგვარად ვერაფრით მოხვდებოდით პარლამენტში, ურეიტინგოები ხართო. ამით შეურაცხყოფილად იგრძნო თავი საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა რატი სამყურაშვილმა. არც ის მოეწონა, რაც კირკიტაძის ბო-

[illegible]

ველნი უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ გამშვლებლები საკმაოდ გამოჩნდნენ.

ვითარების ჩაცხრომის შემდეგ ჩეჩელაშვილის განცხადება მოვისმინეთ:

— დავით კეზერაშვილმა რამდენიმე დღით ადრე მომასმენინა ამ საუბრის ჩანაწერი. იქ არაკორექტული არაფერი იყო. შემდეგ, როცა ტელევიზიით მოვისმინე, გამიკვირდა, რადგან ეს ვარიანტი არ ემთხვეოდა იმას, რაც კეზერაშვილმა მომასმენინა.

ერთი სიტყვით, ვიღაცამ დაამონტაჟა და უცენზურო სიტყვებიც მას შემდეგ გაჩნდა ფირზე. მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს — კეზერაშვილი თავის ყველა სატელეფონო საუბარს იწერს ხოლმე? როგორც ჩანს, მან წინასწარ იცოდა, რომ მისი ამ საუბრის ჩაწერას, დამონტაჟებას და გამოქვეყნებას აპირებდნენ. ამიტომაც დაიჭირა თადარიგი. თქვენი არ ვიცი, მე კი საკმაოდ გამახალისა ბატონი ვალერის ნათქვამმა.

**რუსუდან გახარია.**

◎ მარიკა ბარათაშვილი 97 წლისაა

# ხარება დღე მიულოცეს

**შესანიშნავი ქართველი პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, ხელოვანი, ჟურნალისტი, თავისი ქვეყნის პატრიოტი და სამაგალითო დედა, — ასეთია ქალბატონ მარიკა ბარათაშვილის სავიზიტო ბარათი. იგი გუშინწინ, ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე, 97 წლისა გახდა. ეს ის ქალია, რომელიც ერთი საუკუნე საკუთარი თავისთვის კი არა, საქართველოსთვის ცხოვრობს, დღემდე საქართველო სტკივა და მისი განკურნებისთვის იღვწის, მისი დაბადება ასეთ დიდებულ დღეს უბრალო დამთხვევა კი არა, კიდევ ერთი სასწაულია და ნიშანი იმისა, რომ ქალბატონი მარიკა ღვთისგან გამორჩეულია. იგი ლექსებს წერს და მასაც ლექსებს უძღვნიან**



დაბადების დღეზე ქალბატონ მარიკას ოჯახში ესტუმრნენ მწერალთა კავშირისა და ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" წევრები.

ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში გაწეული ღვაწლისათვის ასოციაციამ ქალბატონ მარიკა ბარათაშვილს მიანიჭა „ღიმილის პრიზი", აგრეთვე ამცნეს, რომ მიიღო აკაკი წერეთლის სახელობის პრემია, ხოლო საქართველოს ექსპრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მისალოცი წერილი გამოუგზავნა.

შეხვედრაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, მაყვალა გონაშვილმა თქვა, რომ მისი ოცნებაა, ჰგავდეს ქალბატონ მარიკას, მასავით კარგი სახელი ჰქონდეს, რომ მისი თითოეული ნაოჭი ძვირად გვიღირს და მადლობა ჩვენს დროში რომ ცხოვრობთ და ჩვენს ქვეყანაში არსებობთო.

პოეტის მისამართით უამრავი თბილი, სიყვარულით აღსავსე სიტყვა ითქვა, მაგრამ ოქროს სიტყვა მაინც იუბილარმა წარმოსთქვა:

**„მე საქართველოს შევწირე ჩემი სული, ყველაფერი, რაც გამაჩნდა! როდესაც ჩემი ორი შვილი ავად მყავდა, დამღამობით ვერ ვანთებდი შუქს, ბალიშის ქვეშ ვინახავდი ფურცელსა და კალამს, სიბნელეში ვწერდი ლექსებს. ყველაზე მძიმე წუთებში ჩემთან მოდის ხოლმე მუზა, რომელიც მაწერინებს ლექსს, სწორედ ლექსებმა გადამარჩინეს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ 97 წელიწადს ვიცხოვრებდი... საქართველო და ქართველი ხალხი მაძლევს ცხოვრების ძალას, უამრავი გულისტკივილიც მაქვს, ჩემი გული ვერ იტანს იმას, რომ ქართველები გაბნეულები არიან მთელ მსოფლიოში. სამშობლოს მოვუაროთ, ყველა ადამიანს, ყველა ბავშვს მოვუაროთ, რათა არ გადავშენდეთ. მოგვიმრავლდა მშობელი, რომელიც ყიდულობს ბავშვის სწავლა-განათლებას, მწერალი — არამწერალი, ექიმი — არაექიმი, პოლიტიკოსი — არაპოლიტიკოსი, არცხვენენ ქართველი ქალის, დედის სახელს. გვიყვარდეს ერთმანეთი და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ საქართველო მყარად იდგეს ფეხზე. გჯეროდეთ, მე თითოეული თქვენგანისთვის ვლოცულობ".**

ქალბატონი მარიკა დალოცა და კანდელი მიართვა მამა ბართლომემ. უსაჩუქროდ არც იუბილარმა გამოგვისტუმრა — თავისი უსაყვარლესი სიმღერა „საპოვნელა" წამოიწყო და სტუმრებიც აიყოლია.

**ანა ფიცხელაური,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.**

◎ ეს ერთი კვირა

## რით გამოირჩეოდა დროის ამ მონაკვეთი ქვეყნისთვის და პირადად თქვენთვის?

**შეკითხვას უპასუხებს მწერალი ლაშა თაბუკაშვილი**



**ქვეყნისთვის** — გასულ კვირას, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი და გამორჩეული არაფერი მომხდარა. მე უფრო ჯორჯ ბუშის საქართველოში ვიზიტი მაღელვებს. მაინტერესებს, მისი ჩამოსვლა დადებითი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, თუ რაიმე სიურპრიზს უნდა ველოდოთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან...

ვშიშობ, ირანის ისტორია არ განმეორდეს, ანუ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო არ გახდეს სამხედრო პლაცდარმი.

**ჩემთვის პირადად** — ამ დღეებში ცნობილმა აფხაზმა დრამატურგმა ჯუმა ახუბამ დამირეკა, რომელსაც აფხაზეთის ომის დროს მხედრიონელებმა ასაფეთქებელი ნივთიერებები აღმოუჩინეს და დახვრეტა მიუსაჯეს. მან დაყვირება მოასწრო — ლაშა თაბუკაშვილის მეგობარი ვარო და ამით სიკვდილს გადაურჩა... ჯაბა იოსელიანთან ოთხსაათიანი საუბრის შემდეგ იგი გაათავისუფლეს.

ახლა კი ავად ყოფილა და მითხრა, არ მინდა ისე მოვკვდე, შენ არ გნახოო...

კაცი, რომელიც იარაღით ხელში გვებრძოდა, აფხაზეთიდან დღეს მადლობას მეუბნება... დამეთანხმებით, ეს მეტად სასიამოვნო ფაქტია და ამასთანავე, მნიშვნელოვანიც...

**ლელა დონაძე.**
**ზურაბ დათუაშვილის ფოტო.**

◎ აქცენტი

# ვერ მოასწრეს!

**გუშინ პარლამენტმა პლენარული სხდომაზე მიწის პრივატიზაციის შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო. მოგეხსენებათ, ამ კანონპროექტს ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე, აშკარა მოწინააღმდეგეები. მომხრეთა აზრით, მიწა აუცილებლად უნდა მოექცეს იმ არეალში, რასაც ყიდვა-გაყიდვა ჰქვია. მათი თქმით, მიწის პატრონი მიწას უფრო უკეთესად დაიცავს, ვიდრე ის, ვისაც იჯარით აქვს აღებული, ან საერთოდ არა აქვს, ანუ, პრივატიზაციით მიწა საუკეთესო მეურნის ხელში მოხვდება, რაც ქვეყანას სიღარიბისგან იხსნის და სხვა.**

კანონპროექტის ოპონენტები კი თვლიან, რომ ამ კანონის მიღება ჯერჯერობით ნაადრევია, იმ მოტივით, რომ მიწის რეფორმა საქართველოს ყველა რეგიონში არ ჩატარებულა, რაც მოსახლეობას არათანაბარ სასტარტო პირობებში ჩააყენებს, არ არის შესწავლილი მიწის საწყისი ფასი და ა. შ. უფრო რადიკალური მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ ამ კანონის მიღებით შესაძლოა, ქართული მიწა უცხოელების ხელში აღმოჩნდეს. ან კიდევ, ეს კანონი ჩვენი უმნიშვნელოვანესი ფენის — გლეხობის ინტერესს შელახავს, იმდენად, რამდენადაც სოფლებში ასობით ჰექტარი მიწები ერთეულების ხელშია თავმოყრილი, რომლებმაც ოპონენტების აზრით, ეს მიწები რაღაც მაქინაციებით ან ვიღაცის ლობირებით ხელში ჩაიგდეს. კანონპროექტის ოპონენტები თვლიან, რომ გლეხობა ისევ პირშიჩალაგამოვლებული დარჩება. მოგეხსენებათ, მიწის პრივატიზაციის დროს, პირველ რიგში მიწას მოიჯარეებს შესთავაზებენ, შემდეგ სოფლის მოსახლეობას, ბოლოს კი აუქციონზე გაიტანენ.

ერთი სიტყვით, აღნიშნული კანონპროექტი აზრთა დიდ სხვადასხვაობას



იწვევს. **მე დამთმობი ადამიანი ვარ, თუმცა, გარეგნულად შეიძლება ეს არ მეტყობა, — განაცხადა სხდომაზე კახა ბენდუქიძემ და ერთობლივი მუშაობისთვის სრული მზადყოფნა გამოხატა. მან აღნიშნა, რომ ეს კანონპროექტი ყოველგვარი „უვადო გადავადებების გარეშე, აუცილებლად მისაღებია, რათა ქვეყანაში სოფლის მეურნეობა წამყვანი სექტორი გახდეს.**

კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვამდე ერთი თვის მანძილზე დეპუტატები მასზე დეტალურად იმუშავებენ, ჩავლენ რეგიონებში, გააცნობენ მას მოსახლეობას, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ მათ შენიშვნებს.

როგორც ცნობილია, სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებმა საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს, მაგრამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს განჩინების ირგვლივ ჯერჯერობით გაუგებრობაა. სტუდენტები და მათი ადვოკატი ონისე მებონია აცხადებენ, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ განიხილა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წერილი სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორისადმი, რომელშიც კახა ლომაია ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის გამოსაშვები გამოცდების გაუქმებას მოითხოვს. ადვოკატის თქმით, „სასამართლოს გადაწყვეტილებით, ლომაიას წერილს არა აქვს სავალდებულო ძალა და ის ადმინისტრაციულ აქტად არ ითვლება". საპირისპიროს აცხადებს განათლების სამინისტრო. სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ კოლეჯის სტუდენტების სასარჩელო განცხადებას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია. კოლეჯის სტუდენტების საკითხს პარლამენტი კვლავ მიუბრუნდება.

პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად „განათლების შესახებ გარდამავალ კანონში" შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილეს. როგორც დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული, კენჭისყრაზე უნდა დამდგარიყო კონსერვატიული პარტიის წევრის კახა კუკავას ალტერნატიული წინადადება, უფრო სწორად, ცალკე კანონპროექტი იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტებს კოლეჯის გამოსაშვები გამოცდები მისაღები გამოცდების ჩაბარებად ჩაეთვალოთ. მისაღები გამოცდები ჩაიბაროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და პარლამენტის განათლების კომიტეტის წარმომადგენლებმა, რათა მოიხსნას შეკითხვა, მართლა უცოდინარი ბავშვები სწავლობენ თუ არა კოლეჯში. კახა კუკავამ პროექტი კი წარმოადგინა, მაგრამ მისი კენჭისყრაზე დაყენება ვერ მოესწრო. კოლეჯის სტუდენტების საკითხი ერთი კვირით გადაიდო.

**მზია გელენავა.**

◎ ინფორმაცია

## სატელევიზიო ტექნიკა — მომავალ ჟურნალისტებს

**ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ტექნიკური ბაზა ახალი აპარატურით შეივსო. სამუშაო აპარატურა ფაკულტეტის ტელე-რადიო განყოფილების სტუდენტებს საზოგადოებრივმა ტელერადიომაუწყებლობამ გადასცა.

საზოგადოებრივი ტელევიზიის მიერ ფაკულტეტისათვის გაკეთებული საჩუქარი რამდენიმე ვიდეოკამერას და ვიდეომაგნიტოფონს, სამონტაჟო და სამიქშერო პულტებს, მიკროფონებს, განათების მოწყობილობებს, შტატივებს, რადიორეპორტიორებს, წამყვანის სტუდიურ მაგიდასა და სხვა ატრიბუტებს მოიცავს.

ტელევიზიის შეფი ზაზა შენგელია სტუდენტებს სასწავლო სატელევიზიო სტუდიის სრულყოფას დაპირდა და მათ ერთი ავტომანქანის ჩუქების პირობაც მისცა.

## ახალი „სანიტრები" საბაჟოზე

**სახელმწიფო** სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის სანიტარიულ-საკარანტინო სამმართველო საბაჟოებზე ახალი კადრებით შეუდგება მუშაობას. ინსპექციაში ჩატარებული სტრუქტურული ცვლილების შედეგად, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ხუთი განყოფილება ჩამოყალიბდა: განყოფილება „ცენტრი", სადაც თბილისისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული საბაჟო-გამშვები პუნქტები შედის; „აღმოსავლეთი", სადაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე საბაჟო-გამშვები პუნქტები შედის; „სამხრეთი" — სამხრეთ საქართველოში მოქმედი საბაჟო-გამშვები პუნქტები; „დასავლეთი" — დასავლეთის საბაჟო-გამშვები პუნქტები; ცალკე განყოფილებაა „აჭარა".

ახალი თანამშრომლები გუშინ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელმა დავით მესხიშვილმა და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ვარლამ მოსიძემ წარუდგინეს საზოგადოებას.

როგორც ინსპექციის ხელმძღვანელმა განაცხადა, 85 საშტატო ერთეული 58-მდე შემცირდა, აქედან 40 ადამიანი სრულიად ახალი კადრია. შერჩეული თანამშრომლები აღიჭურვებიან სპეცტანსაცმლით და უზრუნველყოფილნი იქნებიან მობილური ტელეფონებით. ამასთანავე, მათი საშუალო ხელფასი გაიზარდა და უკვე 400-დან 500 ლარამდე იქნება.

## კაპიტანთა პირველი ნაკადი

**საქართველოს** თავდაცვის ეროვნულმა აკადემიამ კაპიტანთა სკოლის კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი გამოუშვა. 13 კურსდამთავრებულს გუშინ სერტიფიკატები საზეიმო ვითარებაში გადასცეს.

გამოშვებისადმი მიძღვნილ ცერემონიალს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, აკადემიის ხელმძღვანელები და საქართველოში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების სამხედრო ატაშეები დაესწრნენ.

კაპიტანთა საკარიერო კურსები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და აშშ-ის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობისა და სწავლების მართვის სამსახურის თანამშრომლობის საფუძველზე გაიხსნა. ეს არის პირველი პროგრამა, რომელიც თავდაცვის აკადემიაში ამერიკის დახმარებით განხორციელდა.

საკარიერო კურსების მიზანს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად ოფიცერთა ამ კატეგორიის ნატოს სტანდარტებთან მიახლოება წარმოადგენდა. მსმენელთა აღნიშნული ჯგუფი პირველი მექანიზებულ-მოტომსროლელი ბრიგადის, ქუთაისის მე-2 ბრიგადის, ცალკეული ტექნიკური დაზვერვის ბატალიონის, თბილისის გარნიზონის საკომენდანტო ბატალიონის და გენერალური შტაბის ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი ლეიტენანტებისა და კაპიტნებისგან შედგებოდა.

მიმდინარე წლის განმავლობაში კაპიტანთა სკოლა ხუთ გამოშვებას მოამზადებს, მომდევნო ნაკადის მომზადება კი 3 მაისიდან დაიწყება. კაპიტანთა საკარიერო კურსები მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

კაპიტანთა სკოლა საქართველოში პირველი სამხედრო სასწავლებელია, სადაც სამეთაურო კურსების გავლა შეიძლება. აქამდე ქართველ სამხედროებს ამის საშუალება მხოლოდ უცხოეთში ჰქონდათ.

**ინტერ-პრესი.**

◎ კონტაქტები

# ავსტრიელები ქართველების ცოდნით მოხიბლნენ

**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი საბჭოთა კავშირის პერიოდიდან არსებობს, 2000 წელს კი ჩამოყალიბდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ცენტრის მიზანია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული და, ზოგადად, მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების ხელშეწყობა. იუსტიციის სასწავლო ცენტრი ამზადებს იუსტიციის სამინისტროს აპარატის თანამშრომლებს, ადვოკატებს, ნოტარიუსებს, სასამართლო აღმასრულებლებს, სასჯელაღსრულებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების პერსონალს, საჯარო მოხელეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.**

ახლახან საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა სულხან გამყრელიძემ და ავსტრიის ჰანს-საქს ინსტიტუტის დირექტორმა მარტინ შტიგერმა ხელი მოაწერეს ჩარჩო ხელშეკრულებას თანამშრომლობაზე. .

ამჟამად მარტინ შტიგერი კითხულობს ინტენსიურ კურსს ეკონომიკასა და ადმინისტრირებაში, რომლის მიზანია იურისტებს კომპაქტურად შეასწავლონ ეკონომიკური სფეროს მართვა. კურსის დამთავრების შემდეგ ისინი უკეთ გაერკვევიან ეკონომიკის ძირითად ცნებებსა და საკითხებში. სემინარს, რომელიც 19 მარტს დაიწყო და 23 აპრილს დასრულდება, 14 მსმენელი ესწრება, კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები ჰანს-საქს ინსტიტუტის და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ერთობლივ სერტიფიკატს მიიღებენ, რომელიც აღიარებულია ევროპის მასშტაბით, გარდა ამისა, ახალგაზრდებისთვის კიდევ ორი ავსტრიული კურსის ჩატარება იგეგმება — ფინანსური კონსულტანტი და ინტენსიური კურსი — უძრავი ქონების დაბანდება.

მარტინ შტიგერი ქართველი ახალგაზრდებით მოხიბლულია და თვლის, რომ ისინი უაღრესად განათლებულები არიან, — ხანდახან მათ მიერ დასმული შეკითხვა საფიქრალს მიჩენს, ცოდნის მისაღებად ისინი ღამის 10 საათამდე აქ არიან, დაღლას არ გრძნობენ, შაბათ-კვირასაც მოდიან, ავსტრიაში კვირას სასწავლებელში არავინ დადის, — აცხადებს შტიგერი.

ქართული და ავსტრიული მხარეები ახლო მომავალში MBA-ის სასწავლო პროგრამის განხორციელებას აპირებენ, რაც, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ევროპული მაგისტრის ხარისხის მოპოვებას ნიშნავს. ამ პროგრამის მონაწილენი დარეგისტრირდებიან ავსტრიის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. 4-სემესტრიანი სწავლების კურსი დისტანციური მეთოდით განხორციელდება.

**ლელა ხვადაგიანი.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი ბუშის დასახვედრად ემზადება

**იური სიმონიანი, თბილისი. „ნეზავისიმაია გაზეტა", 8 აპრილი.**

НЕЗАВИСИМАЯ газета

(პირველი გვერდიდან)

„ახალქალაქის და ბათუმის ბაზებს გაიტანენ, და, როგორც ჩანს, ქართული მხარე მოახერხებს მიაღწიოს მისთვის მისაღები ვადების დადგენას. რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება 2-3 წლის განმავლობაში, როგორც ეს საქართველოს ხელმძღვანელობას სურს, მაგრამ 4-5 წელიწადში მაინც დასრულდება ბაზების გატანის პროცესი. და საერთოდ, ეს საკითხი დამოკიდებულია არა იმდენად საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებზე, რამდენადაც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის მორიგების მიღწევაზე", — განაცხადა სამხედრო საკითხების ექსპერტმა ირაკლი ალადაშვილმა. „დაღესტანსა და ყაბარდო-ბალყარეთში დისლოცირებული მოტომსროლელი ნაწილები დაუკომპლექტებელია, და, სავარაუდოდ, ბათუმის და ახალქალაქის ბაზები გახდება მათი სრული დაკომპლექტების წყარო. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ბაზებს უბრალოდ გადაიტანენ სომხეთში, ქვეყანაში, სადაც ყოველთვის დიდი სიხარულით ეგებებიან რუს სამხედროებს", — თქვა ექსპერტმა.

მოსკოვთან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული ამ მოლაპარაკების ინტენსიურობა, ალბათ, უკავშირდება იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს მაქსიმალურად გაარკვიოს ურთიერთობა რუსეთთან, მანამ, სანამ საქართველოს ეწვევა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომლის ვიზიტიც თბილისში 10-11 მაისისთვის არის დაგეგმილი. საქართველო უკვე კარგახანია ემზადება ამ ისტორიული მოვლენისთვის. მაგალითად, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი იქნება სულ ცოტა 80 ათასი დოლარი. „ჯერჯერობით კალკულაცია არ განხორციელებულა, მაგრამ გამოყოფენ იმდენ ფულს, რამდენიც საჭირო იქნება", — დასძინა ნოღაიდელმა. პრემიერის თქმით, სახსრებს გამოყოფენ შესაბამისი უწყებების ბიუჯეტებიდან და საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან. გარდა ამისა, ამერიკის მხარის მოთხოვნით, მასპინძლებმა უნდა გამონახონ სპეციალური რადიოსიხშირეები ამერიკის პრეზიდენტის დაცვის სამსახურის მუშაობისთვის.

რას მოხმარდება 80 ათასი დოლარი? როგორც ნოღაიდელმა თქვა, საპროტოკოლო ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფის გარდა, ფული დაიხარჯება იმ გზების მოსაწესრიგებლად, რომლითაც ბუში იმგზავრებს აეროპორტიდან სახელმწიფო კანცელარიამდე, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კორტეჟის მსვლელობის მარშრუტზე განლაგებული სახლების ფასადების წესრიგში მოყვანისთვის. თბილისის მუნიციპალიტეტის მუშაკები აღნიშნავენ, რომ საქმე ეხება დაახლოებით 60-კილომეტრიან მონაკვეთს, რომლის გასწვრივაც განლაგებულია, სულ ცოტა, ათასი ობიექტი. „ბუნებრივია, ყველა ობიექტს არ სჭირდება წესრიგში მოყვანა, მაგრამ საქმე მაინც ბევრია. და საერთოდ, ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის გარეშეც, ეს სამუშაო ისედაც შესასრულებელი იყო", — თქვეს თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში.

საქმე ეხება აეროპორტის ტრასის გასწვრივ განლაგებული საბჭოური ეპოქის ბლოკით ნაგები სახლების კოსმეტიკურ რემონტს, აგრეთვე, მრავალი სარეკლამო ფარის განახლებას. აეროპორტისკენ მიმავალი მაგისტრალი მოაწესრიგეს „ვარდების რევოლუციის" დასრულებისთანავე. ბუშის კორტეჟი გაივლის საქართველოს დედაქალაქის ისნის კვარტალს და ძველ უბანს — ავლაბარს, სადაც კეთილმოწყობის სამსახურის მუშაკებს ასევე მოუწევთ ზოგიერთი შენობის გარეგნული იერ-სახის განახლება. და ბოლოს, პრეზიდენტის კორტეჟი გადაკვეთს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ხიდს და შევა თბილისის ცენტრში, სადაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მოძველებული სახლების რესტავრაცია. თუ ბუშს თბილისი იმდენად მოეწონება, რომ ორიოდე წლის შემდეგ კვლავ მოისურვებს აქ დაბრუნებას, მას უკვე უმასპინძლებენ არა სახელმწიფო კანცელარიაში — საბჭოური ეპოქის საკმაოდ უსახურ შენობაში, არამედ თბილისის ისტორიულ ნაწილში, სადაც ახლა მიმდინარეობს პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობა — ეს ამ ცოტა ხნის წინ გახსნილი წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მახლობლად მდებარეობს.

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის არაერთ კუთხეს ეწვია იმ მიზნით, რომ შეემოწმებინა სოფლად საგაზაფხულო სამუშაოებისთვის მზადყოფნის დონე. იგი აღნიშნავდა, რომ საავტომობილო გზების შეკეთებისთვის განკუთვნილი ფართომასშტაბიანი სამუშაოები არ უკავშირდება ჯორჯ ბუშის ვიზიტს. „გზების შეკეთება ხდება, პრაქტიკულად ყველგან. მაგალითად, ამ დღეებში დავიწყეთ თანამედროვე მაგისტრალის გაყვანა დასავლეთ საქართველოში, დაბა ჩხოროწყუს მახლობლად, ბუში, იქ ნამდვილად არ აპირებს ჩასვლას", — განუცხადა სააკაშვილმა ჟურნალისტებს. რაც შეეხება თვით ვიზიტს, საქართველოს ლიდერის თქმით, ეს ნამდვილად ისტორიული მოვლენაა და იგი ძალზე კარგად თავსდება იმ გეოპოლიტიკური რევოლუციის კონტექსტში, რომელიც ახლა მიმდინარეობს თვით საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, და რომლის ყველაზე აქტიური მონაწილეცაა საქართველო.

წერილი ესპანეთიდან

# ქართველებისთვის რიცხვი ცხრა ყოველთვის არცთუ ისე ბედნიერია...

**თბილისი, 1989 წლის 7 აპრილი. მთავრობის სახლის წინ უკვე კარგა ხანია ყოველდღე მიმდინარეობს მიტინგები. დღე და ღამე კიბეებზე სხედან მოშიმშილე გოგო-ბიჭები. მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან ნაციონალური მოძრაობის ლიდერები. მათ შორის ყველაზე პოპულარულნი მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია არიან. ისინი ხალხს კომუნისტური რეჟიმის დამხობის, რუსული ჩექმისაგან განთავისუფლების და საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მოუწოდებენ. ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები. ღმერთო, ეს რამდენი განათლებული და სამშობლოსათვის გულანთებული ადამიანი გვყოლია?! რა სასიამოვნოა მათი მოსმენა, რა ლამაზია ქართული ენა!**

მე და მორისი დილის რეპეტიციებისა და საღამოს სპექტაკლების შემდეგ მივდივართ მიტინგებზე და, ათიათასობით ხალხთან ერთად, მთავრობის სახლის წინ გვიან ღამემდე ვდგავართ, ნელ-ნელა გვიქრება რუსი დამპყრობლების შიში. მორისი განსაკუთრებით ელოდება მერაბ კოსტავას სიტყვით გამოსვლას. თურმე ახალგაზრდობაში ბატონი მერაბი ხშირად დადიოდა ჩვენს თეატრში. მას განსაკუთრებით ბალეტი უყვარდა. ერთხელ კი მერაბის დაჟინებული თხოვნით მორისს მისთვის ბალერინაც კი გაუცვნია.

**თბილისი, 1989 წლის 9 აპრილი.** დღევანდელი დღე კიდევ ერთი საზარელი და ტრაგიკული აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში. რუსის ჯარმა, საბჭოთა კავშირის ეგრეთწოდებული „დემოკრატიული“ მთავრობის ხელშეწყობით, რუსთაველის გამზირზე დილის 4 საათზე სასტიკად დაარბია მომიტინგეები.

„სპეცნაზელები“ ორმხრივ ალესილი რკინის ნიჩბებით გაუსწორდნენ მოშიმშილე ახალგაზრდებს და უიარაღო ხალხს. როგორც ამბობენ, მოკლულია 16, დაჭრილი – 150-ზე მეტი კაცი.

გუშინ, საღამოს, რეპეტიციის დამთავრების შემდეგ, როგორც ყოველთვის, მორისი და მე მთავრობის სახლთან მივედით მიტინგზე და დავრჩით ღამის პირველ საათამდე. სახლში, სხვა დღეებთან შედარებით, ცოტა ადრე დავბრუნდით, ვინაიდან ორ დღეში მოსკოვში ვიყავი გასამგზავრებელი, ორღანთან სოლო კონცერტი უნდა მემღერა. ჩავწექი ლოგინში, მაგრამ თვალს ძილი არ მიეკარა. დილისკენ, ცოტა რომ წამთვლიმა, პეტრიაშვილის ქუჩიდან მომესმა აღელვებული ყვირილი: – „ხალხნო, გაიღვიძეთ! რუსის ტანკებმა და ჯარმა გადაგვიარა! ქალები და ბავშვები დაგვიხოცეს!“ სასწრაფოდ წამოვხტი, ჩავიცვი, შეშფოთებულმა მორისს შევძახე; „ახლავე მთავრობის სახლთან უნდა მივიდეთ, ასეთ დროს ჩვენი სახლში ყოფნა ყოვლად დაუშვებელია!“

ჩამოვირბინეთ პეტრიაშვილის ქუჩით. იქ, ქვევით, უკვე დარბეული, სისხლდადენილი გოგო-ბიჭები იდგნენ. მათ გვაჩვენეს ჭრილობები და გვითხრეს: „მთავრობის სახლთან სალდათებმა ჩვენს ირგვლივ შეკრეს წრე და დაუნდობლად გვირტყამდნენ თავში რკინის ნიჩბებს, თან გაჰყვიროდნენ – Âîò âàì çà Ñòàëèíà! Âîò âàì, ÷òîáû íå ðàçîíîæàëèñü! Âîò âàì âàøà ñâîáîäà! მილიცია რომ არ დაგვხმარებოდა, იმ ჯოჯოხეთის წრიდან ცოცხალი ვერ გამოვაღწევდით!“

ისედაც აღელვებული ვიყავი და ამ ამბავმა სულ გამომიყვანა წონასწორობიდან. მე და მორისი გავიქეცით მთავრობის სახლისაკენ, მაგრამ იქამდე ვერ მივაღწიეთ, ვინაიდან სასტუმრო „ივერიასთან“, „იმელის“ შენობის დასაწყისში რუსთაველის გამზირი უკვე გადაკეტილი ჰქონდა რუსულ ტანკებს, ბეტეერებსა და სპეცნაზელებს. ისინი ფარებითა და რკინის ალესილი ნიჩბებით შეიარაღებულნი, მჭიდრო რიგებად იდგნენ გათიშული გამომეტყველებით და რაღაცას ღეჭავდნენ. დაახლოებით მეორე და მესამე რიგებს შორის წინ და უკან ბოლთას სცემდა შავ ფორმაში გამოწყობილი შუა ხნის რუსი ოფიცერი, რომელსაც ხელში იარაღი ეჭირა.

ისე ვიყავი აღშფოთებული, რომ, ეტყობა, შიშისა და სიფრთხილის გრძნობა დავკარგე. მიუხედავად მორისის წინააღმდეგობისა, როგორღაც დავუსხლტი მას და მილიციას, მივედი ჯარისკაცებთან და ყვირილი დავუწყე: „Ñëóøàéòå âû, óáëþäêè! Âû â ñâî¸ì óìå? ×òî âû íàòâîðèëè? Ïîóáèâàëè íåâèííûõ æåíùèí! ×òî âû çà ëþäè òàêèå?! Ãäå âû âûðîñëè? Êàêàÿ ìàòü âàñ ðîäèëà? Èçâåðãè!“!

ამასობაში ჩვენს ირგვლივ, როგორც შემდეგ მორისმა მიამბო, თურმე ტროტუარებიდან დაახლოებით 8-10 კაცი გადმოხტა, შემოგვიერთდა და მათაც დაუწყეს ჯარისკაცებს ყვირილი და ლანძღვა. ჭრელფორმიანი ჯარისკაცები კი გაუნძრევლად იდგნენ. ისინი ცივი, გაყინული სახეებით მოგვჩერებოდნენ, ყოველგვარი ემოციის გარეშე და ღეჭვას განაგრძობდნენ. შავფორმიანი მამაკაცი კი, რომელიც რიგებს შორის იარაღით მომარჯვებული დადიოდა, ჩვენსკენ ზიზღით იყურებოდა, ამიტომ ჩემი ტირადის ბოლო ფრაზაც მას მივახალე სახეში და გულიც მოვიფხანე.

როგორც ჩანს, ეს იყო მისი მოთმინების ბოლო წვეთი. დავინახე, ბრაზით კრიჭაშეკრულმა რაღაც ბრძანება რომ გასცა. იმ ყვირილში მხოლოდ ერთი სიტყვა გავარჩიე: „Âçÿòü!“ ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს „Âçÿòü!“, მაგრამ ჯარისკაები გამოცოცხლდნენ და ნელ-ნელა ამოძრავდნენ. სწორედ ამ დროს მოვარდა ჩვენთან მილიციის ლეიტენანტი, მტაცა ხელი და გამომიყვანა სიტყვებით: „ქალბატონო ლამარა, ახლა თქვენი სისხლიღა გვაკლია აქ! შეხედეთ, რა კაციჭამიებთან გვაქვს საქმე. ესენი მშობელ დედასაც არ დაინდობენ“. ახლაღა შევნიშნე ირგვლივ ჩვენი მილიცია, რომელიც მთავრობამ წინასწარ განაიარაღა. თუმცა, ალბათ, ამ მომენტისთვის ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. ეს რომ არა, დარწმუნებული ვარ, დახოცილთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა.

მალე გამოცხადდა კომენდანტის საათი და რუსის ჯარი შეუდგა რუსთაველის გამზირის ხალხისაგან გაწმენდა-განთავისუფლებას.

მე და მორისი იძულებული გავხდით, მელიქიშვილის ქუჩისკენ წამოვსულიყავით. გზადაგზა ვხედავდით, თუ როგორ ჩნდებოდა აივნებზე შავი სამგლოვიარო დროშები.

თუ დამნაშავეს ვეძებთ, ცხადზე უცხადესია, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ გორბაჩოვი იყო. ცხადია ისიც, რომ მისი ბრძანების გარეშე როდიონოვი ხელსაც ვერ გაანძრევდა. შინ რომ მივედით, სასწრაფოდ მოვძებნე შავი ნაჭერი, შევკერე დროშა და ლარსის ქუჩის მხარეს აივანზე გადმოვფინეთ.

**თბილისი, 1989 წლის 12 აპრილი.** მთელ საქართველოში გლოვა და გაოგნება სუფევს. დახოცილების რიცხვმა 20-ს მიაღწია, ხოლო დაჭრილებისა და გაზით მოწამლულების რაოდენობამ უკვე 400-ს გადააჭარბა.

ამ დღეებში, თითქოს, ოდნავ დავწყნარდი, მაგრამ რა დამაწყნარებდა მაშინ, როდესაც ბოლმა მახრჩობს ჩვენი ქართველი ხალხის, საქართველოს მთავრობის, ჩვენი მილიციისა და თუნდაც პირადად ჩემი უმწეობის შეგრძნების გამო.

ცხრა აპრილის ტრაგედიამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ უზნეობად მივიჩნიე რუსეთში საგასტროლოდ გამგზავრება. 10 აპრილს დავრეკე მოსკოვში, კულტურის სამინისტროში და განვუცხადე, რომ მაშინ, როდესაც რუსის ჯარი ქართველ ხალხს ნიჩბებით ხოცავს, გაზით წამლავს და აწიოკებს, მე არა მაქვს უფლება, ჩამოვიდე თქვენთან და გიმღეროთ-მეთქი. იმ დღეებში ქალაქ ასტრახანში ეწყობოდა საკავშირო ფესტივალი, სადაც 4 სოლო კონცერტი უნდა გამემართა. იქაც გავგზავნე ასეთივე შინაარსის დეპეშა. დეპეშები გავაგზავნე აგრეთვე იმ ქალაქებში, სადაც უახლოეს თვეებში დაგეგმილი იყო ჩემი საგასტროლო სპექტაკლები თუ კონცერტები: სოჭში, ლენინგრადში, კრასნოდარში, ულიანოვსკში, ყაზანში და გორკში.

**ეტყობა, ქართველებისათვის რიცხვი ცხრა ყოველთვის არცთუ ისე ბედნიერია. ჩვენს უახლოეს ისტორიას გადავხედოთ: 1956 წლის 9 მარტი, 1973 წლის 9 მაისს დაიწვა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი და ახლა – 1989 წლის 9 აპრილი. ხერხეულიძეებიც ხომ 9 ძმანი იყვნენ?!**

**ლამარა ჭყონია.**

**მადრიდი, 2005 წლის იანვარი.**




სიმართლის კვალდაკვალ

# ირაკლი გოცირიძემ განაიარაღა გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი!

**გასული საუკუნის ეს ტრაგედია (უკვე მერამდენე მეოცე საუკუნის საქართველოსთვის), თითქმის 100 წლის წინანდელი და, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ღიმილიანი ეპიზოდით მინდა დავიწყო... და თუ რატომ, კვანძს მერე გავხსნი, როგორც დრამაში ხდება ხოლმე...**

**„პირველად აკაკი ათას რვაას ოთხმოცში ვნახე. ამ წელიწადს კიევში გავათავე გიმნაზია, არდადეგებზე სახლში ვიყავი და აგვისტოში ისევ ვბრუნდებოდი კიევში, რომ იქიდან წავსულიყავი მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში“...**

...ახლა მე გავაგრძელებ სათქმელს: თბილისში მიმავალი ყმაწვილი ანდრია კაპანაძეს ჩააბარეს, – აკაკის დიდ პატივისმცემელს და მეგობარს, რომელიც თურმე იმ დროს „ეფათურებოდა“ აკაკის მიერ ჭიათურაში აღმოჩენილ შავი ქვის საქმეს (თვითონ თერძი ყოფილა). გზაშიც უმეტესად აკაკიზე ელაპარაკებოდა ყმაწვილს, ეტყობოდა, რომ უსაზღვროდ უყვარდაო... და აი, თავისი კეთილი მასპინძლის სახლში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ რომ ყოფილა, მეორე დღეს საჩხერიდან ჩამოსულ ამ საარაკო ადამიანს გაიცნობს ჭაბუკი დავით კლდიაშვილი.

**„მე გულისფანცქალით შევყურებდი მაღალ, რაღაც განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე ადამიანს. თვითონ კაპანაძე, მისი მეუღლე, მოსამსახურეც, ყველანი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. აკაკი მეტად ხალისიანად იყო და ხალისიანად ელაპარაკებოდა ყველას. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა მისი დანახვით; მე უკვე კარგად ვიცნობდი მის ლექსებს. სხვებთან ერთად მეც გამომელაპარაკა, მკითხა თუ სად ვსწავლობ, საით მივდივარ... მე ვუთხარი, რომ კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.**

**– გარუსების დასათავებლად?! – მხიარული სიცილით მითხრა აკაკიმ.**

**– არა, მე არ გავრუსდები! – მივუგე.**

**– ვნახოთ, ვნახოთ! – ისევ სიცილით მითხრა მან“.**

იქნებ გედიდათ ციტატა, მაგრამ ეს ხომ იმავე მგოსანს ეხება, ვინც ამოიკვნესა: „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“... დიახ, მწარე სინამდვილემ ათქმევინა აკაკის ეს სიტყვები...

...მეოცესაუკუნელებმაც ბევრი სიმწარე გამოიარეს, მაგრამ შეურიგებლობის, სიმართლის ძებნისა და ხმამაღლა თქმის ნიჭი წინაპართაგან გამოჰყვათ – დავით კლდიაშვილი ერთი ასეთი სიმართლის მაძიებელი კაცის წინაპარი იყო – ეს კაცი კი ჩვენსავით საყვარელ საქმეს – კალმოსნობას შებერებული ირაკლი გოცირიძე გახლდათ, – ვაჟი დავითის უფროსი ასულის – ნუცა კლდიაშვილისა, რომელმაც ძმასთან – მწერალ სერგო კლდიაშვილთან და უმცროს დასთან – ქეთევანთან ერთად ითავა იმერეთის უმშვენიერეს სოფელ სიმონეთში მამისეულ ფუძეზე მუზეუმის შექმნა და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა ამ საქმეს. მისი წყალობით ბევრზე ბევრ ადამიანს უგრძვნია, ისევ დავითისებურად რომ ვთქვათ, – სიმონეთის სიტკბო!.. რა გასაკვირია, თუ ამ სიტკბოს მისი შვილები – ირაკლი და რუსუდანი და შვილიშვილებიც ეტანებოდნენ – იმ კარ-მიდამოში სტუმრობა ერთი დიდი ზეიმი იყო ხოლმე...

– ირაკლის ჩამოსვლა ყველას უხარია, – ძალიან უყვართ, – ამბობდნენ სამეზობლოში...

ირაკლის ეამაყებოდა, რომ მისი ვაჟი – დათო აგრძელებდა ბებიის საქმიანობას – კარგა ხანს იყო მუზეუმის დირექტორი, მაგრამ სამშობლოსთვის უძნელეს წლებში მას მოუხდა ოჯახიანად უცხოეთში გახიზვნა – ეს ცხადია, არ იყო ნებაყოფლობითი ნაბიჯი... მისი ორი ძმა კი



ტრაგიკულად დაიღუპა – უმცროსი გოგი, მხატვარი, თბილისში, მთაწმინდის კალთაზე ნახეს ჩამომხრჩვალი, უფროსი – კინორეჟისორი, რომლის დებიუტიც იყო ძალზე ლირიკული ფილმი „გასეირნება სიმონეთში“, – მოსკოველ თავზეხელაღებულთა მსხვერპლი გახდა...

იხ. მე-4 გვ.

9 აპრილი

# ერთსულოვნებით გავიმარჯვეთ!..

**9 აპრილს იხსენებს ყოფილი დისიდენტი, „წმინდა ილია მართალის“ საზოგადოების აქტივისტი, დღეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი გიორგი თევზაძე:**

– იმ დაწყევლილ ღამეს ყველა ერთად ვიდექით, ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან, სხვა ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან. პატრიარქი მოვიდა, მამაო ჩვენო აღვავლინეთ, ასეთი ამაღლებული განწყობილება არა მგონია, ოდესმე განმეორდეს. საქართველოს ისტორიაში ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვიყავით. თუმცა, არ ველოდით ასეთ საშინელებას. მახსოვს, როგორ შემოვიდნენ რუსები ნიჩბებით და ხელკეტებით, უცებ დატრიალდა საშინელება, მე თავის არეში ჩამარტყეს, გავითიშე და გონს რომ მოვედი, ქაშვეთის ეკლესიაში აღმოვჩნდი. შემდეგ კი თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში წამიყვანეს, სადაც ტვინის შერყევის გამო დიდხანს მიმკურნალეს. დროდადრო აზროვნებას ვკარგავდი. საავადმყოფოს მედპერსონალთან მიხხუბია, გაქცევას ვცდილობდი, არ ვიცოდი, სად გავრბოდი... ერთი სიტყვით, შოკში ვიყავი და... დღემდე ვერ გამოვდივარ ამ მდგომარეობიდან. ისე, მომწამვლელ გაზს ნამდვილად გადავურჩი. ზვიად გამსახურდია ბოლომდე იქ იყო მერაბ კოსტავასთან ერთად. ხალხის დაჟინებული თხოვნით, ისინი რის ვაივაგლახით განარიდეს ამ საშინელებას.

რამდენი რამ არასწორად ითქვა ამის შესახებ... აქციის არც ერთი მონაწილე იქიდან არ გაპარულა. ასე გაერთიანებული ქართველი ერი არ ყოფილა, მაშინდელმა პოლიციამ დიდი გმირობა ჩაიდინა, რომ არა ისინი, გაცილებით მეტი მსხვერპლი იქნებოდა. მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყოფილ საბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც გაილაშქრა იმპერიის წინააღმდეგ. 9 აპრილი მერაბ კოსტავამ შეაფასა, როგორც „დიდგორის ველი“. ეს ნამდვილად ასეა...

9 აპრილს ქართველმა ერმა ერთსულოვნებით გაიმარჯვა.

აი, რა გვაკლია დღეს. ერთობის გარეშე ძლიერ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ.

**ნანა სულავა.**

წინათგრძნობა

# hrbybc rjdpt,bc hfrfherb f[kfw vpfhfdc888

**...მე და ჩემი მეზობელი ყოველ საღამოს ჩავდიოდით პარლამენტის წინ მოშიმშილეთა სანახავად, იქ იდგნენ ზვიადიც და მერაბიც. მათ გამოსვლას და ხალხისადმი მიმართვას მომნუსხველი ძალა ჰქონდა. ჩვენ გვწამდა, რომ მთელი საქართველო გვიყურებდა, რომ თითოეულ ჩვენგანზე იყო დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, ყველას ერთმანეთი გვიყვარდა.**

9 აპრილის ღამესაც იქ ვიყავი. სახლში, დედაჩემთან პატარა ბავშვები მყავდა დატოვებული. ჩვენი ჩამოსახვევი, მთელი ძერჟინსკის ქუჩა სავსე იყო ტანკებით, მე და ჩემი მეგობარი მაინც ჩავედით.

დიდხანს ვიდექით. გვიან ღამით წელი ამტკივდა, გაუსაძლისად. დავაპირეთ სახლში წამოსვლა. ჩიტაძის ქუჩით ამოვედით. იქნებოდა ღამის პირველი, ორის ნახევარი.

არასდროს დამავიწყდება და ახლაც ყურში ჩამესმის, როგორ თქვლეფდნენ რკინის ჯამებით თავის ულუფას რუსი ჯარისკაცები. ჭურჭელში თავჩარგულნი, გულგრილი გამომეტყველებით... რკინის კოვზების რაკარუკი ახლაც მზარავს. აუტანელი, რაღაც საშინელის მოლოდინში განაბულიყო სივრცე...

ჩვენს სახლთან, მთაწმინდაზე, ნიაღვრის შესახვევშიც იდგნენ ჯარისკაცები, ჯავშანჟილეტებით, რკინის ხელკეტებით, მუზარადებით... არ გვატარებდნენ. მერე ძლივს შეგვიშვეს სახლში. ვერაფრით ვერ დავიძინეთ, ცუდის მოლოდინი არ გვასვენებდა, ვგრძნობდით, რომ რაღაც ტრაგედია გვიახლოვდებოდა...

სისხლიანმა განთიადმაც არ დააყოვნა!..

**მარიკა გვეტაძე.**

ექო

# „ღმერთო, გმირებად როგორ მიქციე ეს მეოცნებე გოგო-ბიჭები“

**იმ დღეებში იწერებოდა... მერეც. ახლაც წერენ პოეტები ლექსებს, მუსიკოსები – სიმღერებს.**

**ნაღვლიანია 9 აპრილის მუსიკა. მაჟორული – მისი ლექსები, მანამდე კი...**

**ერთ მუშტად შეკრული იდგა საქართველო, ავაზასავით ცერზე იდგა. თავისუფლების მზე სწყუროდა ბორკილდადებულს... მაშინ იდგა ჟამი ლაღი სიმღერების დაბადების, წარსულის გახსენების, მომავლის იმედის...**

**„ჩვენთვის მონღოლია პირველი სასჯელი“, – ამოიკვნესებდა გოგი დოლიძე და მასთან ერთად გმინავდა ერი.**

**მერაბ სეფაშვილის „თეთრი რაში“ დაჰქროდა მაშინდელ საქართველოში, როგორც სიმბოლო თავისუფლების. სოსო პავლიაშვილის – „კავკასიონზე თენდება“ იმედს უსახავდა გულში ყოველ მამულიშვილს.**

ისევ მოვიდა 9 აპრილი – 16 წლის შემდეგ. გაგვახსენდება ბედკრული ღამე – სისხლისმღომელი, გაგვახსენდებიან ჩვენი ზვარაკნი, მამულის გულზე ფარად აკრულნი: ჩვენი ლამაზი, სიფრიფინა გოგონები, როგორც წმინდანები, იმპერიის ქარიშხალისგან ლერწმებივით გადალეწნულნი, მაგრამ სამარადისოდ რჩეულნი.

რჩეულნი, რადგან თავისუფლებისთვის ამბოხებულებს სურვილი არ აპატიეს. ისე, როგორც ადრე, კოჯორთან. ახლა კი თბილისს უხმობს კოჯორი – მარო მაყაშვილი ეძახის თავის სულიერ დებს: თამარს, ნათიას, ეკას, მანანას, თათიას, ნატოს, ნინოს, ელისოს...

დიდი ტკივილი არასოდეს ავიწყდება ერს, ისევე როგორც დიდი სიხარული. წლები გადიან, მაგრამ დროის გადასახედიდან უფრო მეტად ჩანს 9 აპრილის სიმძაფრე და მნიშვნელობა. თბილისის ტკივილმა შეძრა მთელი საქართველო. კიდით კიდემდე დაირეკა გლოვის ზარები...

**ახლა** ვკითხულობ ხაშურელი პოეტის მურად მთვარელიძის პატარა წიგნს სათაურით „აპრილის სევდა“. ავტორს წიგნი შარშან გამოუცია, და მასში იმ ტრაგიკულ დღეებში დაწერილი ლექსებია შესული. ეცნობი ამ ლექსებს და გრძნობ, – ის ტკივილი,




რაც მაშინ ქართველმა ერმა განიცადა, დღემდე არ განელებულა, პირიქით, ერის ცნობიერებაში კიდევ უფრო ნათლად ჩნდებიან სამშობლოსათვის შეწირულ ადამიანთა სახეები.

**„მე ახლა უფრო ზეცას გავყურებ,**
**ნამეხარ მიწას ისეც ხიბლი აქვს.“**

ამბობს პოეტი და იხსენებს თითოეულ წამებულს ბართლომეს ღამისას, უკვდავყოფს მათ სახელებს და იმედი აქვს, რომ აყვავილდა ახალგაზრდების მწველი სურვილი, რომ უქმად არ დაღვრილა ჩვენი უმანკო გოგო-ბიჭების სისხლი.

ახლა, პოეტის ამ სტრიქონებში კიდევ ერთხელ ცხადდება გარდასული, როგორც კარიბჭე მომავალი განთიადისა:

**„მამულის ძარღვო, ვიცი, ამ ღამით**
**რომ კიდევ ერთხელ გადაიჭრები!..**
**რომ კიდევ ერთხელ ცას ჩამოიქცევ**
**და ცრემლის ტბაში ჩაიძირები,**
**რომ კიდევ ერთხელ ჩაიწიხლები**
**და კიდევ ერთხელ გაიწირები...**
**მზეო, ნეტავი სად გადიკარგე.**
**ვარ გათანგული ბნელი იჭვებით,**
**ღმერთო, გმირებად როგორ მიქციე**
**ეს მეოცნებე გოგო-ბიჭები!“**

**ლია ჭილლაძე.**

სიმართლის კვალდაკვალ

# ირაკლი გოცირიძემ განაიარაღა გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი!

(მესამე გვერდიდან)

ყოველივე ეს კი იმ კაცისადმი შურისძიებით იყო ნაკარნახევი, ვინც პირველი ოპოზიციური გაზეთის — „იბერია-სპექტრის“ რედაქტორი გახლდათ — ირაკლი გოცირიძე ყალყზე დადგა და ბოლომდე სდია 9 აპრილის ტრაგედიის ამბავს — იგი იყო პირველი, ვინც ყურადღება მიიქცია და პატივისცემაც დაიმსახურა ჟურნალისტური გამოძიებით, რასაც მოჰყვა წიგნი — „სიმართლის კვალდაკვალ“ (1990 წ. გამომცემლობა „საქართველო“), რომლიდანაც მკითხველი (ანუ მომავალი თაობა) გაიგებს, რომ ჟურნალისტთაგან ირაკლი გოცირიძეს დაერთო ნება ეწარმოებინა დამოუკიდებელი გამოძიება!.. — **„გთხოვთ, მკვლელად არ შემრაცხოთ...“** ეს ფრაზა გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვს ორჯერ გაუმეორებია ქართველ ჟურნალისტთან შეხვედრისას!

მიხეილ ელიგულაშვილი, რუსულენოვანი ჟურნალისტი, დაინტერესდა, თუ რა გამოარკვია მან ამ გამოძიების დროს, როგორ მოიპოვა ეს უნიკალური ნებართვა.

...და ამბავი იწყება კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლებთან ე. შევარდნაძისა და გ. რაზუმოვსკის შეხვედრის დროიდან. მართალია, ირაკლი გოცირიძე იმ ხანად არა რედაქციაში, არამედ კინოსტუდიაში მუშაობდა, მაგრამ ჟურნალისტური „ჭია“ მაინც არ ასვენებდა — ესეც საგულისხმოა — მან მოღვაწეობის დიდი მონაკვეთი რუსულ პრესას შეალია, მაგრამ არ გარუსებულა!

გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვთან შეღწევა მან თავისი შეუპოვრობით და დაჟინებით მოახერხა, — საუბარი ორ საათსა და ორმოც წუთს გაგრძელდა! როდიონოვი ამბობდა თურმე, რომ ის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედებდა (თავს იმართლებდა?!) — ჟურნალისტს 9 აპრილის ტრაგედიის კვლევაში ძირითადად სამართლებრივი ასპექტი აინტერესებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში არავითარი წერილობითი დოკუმენტური მასალა არ არსებობდა — ყველაფერი სატელეფონო საუბრით „გვარდებოდა“... ასე გაჩნდა რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინა მოედანზე შეუიარაღებელი ქართველობის პირისპირ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან მოზღვავებული ქვედანაყოფები, რომლებიც მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაში მონაწილეობდნენ. — ასე გაიმეტა ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა ი. როდიონოვმა „არასანქცირებული“ მიტინგის მონაწილენი. ი. გოცირიძე ამხელს სსრკ თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, არმიის გენერალ კ. კოჩეტოვსაც (რომელიც თბილისში ჩამოვიდა ორი დღით ადრე — 7 აპრილს) მასში, რომ მან უხეშად დაარღვია მაშინდელი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კონსტიტუციის 119-ე მუხლი თითქოსდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, რაც მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან შეთანხმების გარეშე არამც და არამც არ შეიძლებოდა!



...„ბოლოს და ბოლოს, გენერალ-პოლკოვნიკი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ მან ძალის გამოყენებაზე თანხმობა მიიღო სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსაგან...“ და ჩაძიების შემდეგ: **„ამის თაობაზე პირადად თავდაცვის მინისტრი მელაპარაკაო, თანაც არაერთგზის, უკანასკნელი საუბარი 8 აპრილს ჰქონიათ“.**

კორესპონდენტი:

*— პირველი როდისღა იყო?*

**— კარგა ხნით ადრე, როგორც როდიონოვმა მიპასუხა, უკანასკნელი საუბრის დამლევს, ანუ 8 აპრილს, მინისტრს სარდლისთვის უთქვამს: „შენი შეხედულებისამებრ იმოქმედეო...“**

...აქ სცენაზე გამოდის ისევ კოჩეტოვი, რომლის პირველმა ფრაზამაც გააოცა ირაკლი გოცირიძე.

**„ჩვენი ცოდვილი სულის წასაღებად მოხვედით?“ „ცოდვილი“ — ეს აღიარება მეტად მოულოდნელი იყო ჩემთვის“...**

1989 წლის 16 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ სათაურით: „9 აპრილი: გამოკვლევები დამთავრდა?“ — ასე იწყება: **„გასულ შაბათს გაზეთ „იზვესტიაში“ დაიბეჭდა ფრიად საყურადღებო წერილი, რომელშიც თქვენი დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოკვლევა 9 აპრილთან დაკავშირებით განიხილება, როგორც „კიდევ ერთი ნაბიჯი ჩვეულ წარმოდგენათა ტყვეობიდან თავის დაღწევის გზაზე“ და „ხალხსა და ხელისუფლებას შორის, საერთო ბედით დაკავშირებული ამ ორი მაღალი მხარის, ახალი დიპლომატიური ურთიერთობის პირველსახე“...**

*პასუხი:* **...საბჭოთა ცენტრალური პრესის ამ უაღრესად ავტორიტეტულმა გაზეთმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო“...**

ირაკლი გოცირიძეს მხედველობაში არა აქვს ორიოდე ძუნწი ინფორმაცია, ის მასშტაბურობას გულისხმობს — მასშტაბურობას კი მისმა გამოკვლევამ მიაღწია!

ასე რომ, მისი დუელი გრძელდებოდა...

დუელზე გამახსენდა: რა ორომტრიალი ატეხილა XIX საუკუნის მიწურულში (1895 წ.) ბათუმში ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცდილობდნენ როგორმე ეს პირი ქართველი არ ყოფილიყო. ქართველებმა დავით კლდიაშვილის, მელიტონ ლორთქიფანიძის, გრიგოლ ვოლსკის (უმწიფარიძის), მესხის და ასევე გავლენიან ბერძენ ამომრჩეველთა მეოხებით ეს მოახერხეს — ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავი — ლუკა ასათიანი დაითანხმეს და კიდევაც გაიმარჯვეს...

დავითი წერს: **„დიდი ცოდნის, დიდი გამოცდილების მქონე, მშვენიერი სიტყვის პატრონი, დინჯი, წარმოსადეგი გარეგნობით, იგი ყოველთვის და ყოველგან დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა“...**

მაგრამ ამ ამბავს განსაკუთრებით მტრულად შეხვედრია რუსული მონარქისტული გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“! — **...„საზიზღარი გაზეთი“... ყოველდღე უშვერად ილანძღებოდა და ტალახს ისვროდა. გათახსირებული რედაქტორი პალმი არას ერიდებოდა ასათიანის და ვოლსკის შეურაცხყოფისათვის. ასათიანს მან დაარქვა ლუკერია (გადააკეთა ლუკა) და უწერდა საოხუნჯო ლექსებს, არაკებს და ამგვარებს. ასათიანი ხმას არ სცემდა“...** და მერე: **„საოცარი ტიპის კაცი იყო ეს პალმი — ქართველები რომ შეეჭამა, ეს იყო მისი წადილი“...** დამბეზღებელიც ყოფილა და აი, დავით კლდიაშვილმა გაუფუჭა მადა, — ეს „ტიპი“ დუელში გაიწვია... ასევე მტრობდა თურმე ქართველობას როტშილდის ქარხნის ინჟინერი, პოლონელი ზრდილოვსკი (გვარს დაუკვირდით! ნ. ღ.) შავრაზმული გაზეთი ცილისწამებას არ იშლიდა მისი ურცხვი რედაქტორის თაოსნობით! ეს მაშინაც იკადრა, როცა გარდაიცვალა (1896 წ) ცნობილი ქართველი ეპისკოპოსი გაბრიელი — მაღალი ზნეობის მქადაგებელი, რომელმაც სასტიკი პასუხი გასცაო საოლქო განათლების მზრუნველს იანოვსკის — გაბედულად გადმოუშალაო მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შემოჰქონდა ჩვენს სასწავლებლებში ერის გადაგვარების წადილით...

დიახ, მთელი საქართველო შეინძრაო გაბრიელის გარდაცვალებაზე... და ესეც კი სასაცილოდ აუგდია, რაზეც გაცხარებულმა დავით კლდიაშვილმა წერილის წაკითხვისთანავე ტელეფონით გალანძღა, მერე კი იცოდა რა ჩუბინი მსროლელი იყო დავითი, პალმს კი იარაღის ხმარება არც სცოდნია!.. შუამავლების თხოვნით დავითი დათმობაზე წასულა — თუ მოიბოდიშებსო და მართლაც, საკრებულოს დარბაზში ოფიცრების წინაშე პალმმა ჩემთან ბოდიში მოიხადა და აღმითქვა, რომ გაზეთში თვალსაჩინოდ მოათავსებდა საბოდიშო წერილსო... ...ეს ყველაფერი დავითმა თავის ბრწყინვალე მემუარებში აღწერა, რომელსაც ფიცივით უძღვის მისივე სიტყვები, **„მოგონებებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“** — თითქოს ხატზე იფიცებსო...

**— „რატომ ვლაპარაკობ ყოველივე ამას, რატომ ვამხედრებ ჩემს წინააღმდეგ უამრავ ადამიანს? — მკითხავს ვინმე. იმიტომ, რომ შიში მიპყრობს: თუ ახლა არ ვთქვით სრული სიმართლე, — სრული — თუ კვლავ შევცოდეთ მის წინაშე, მაშინ ნამდვილად აღარაფერი გვეშველება — ისევ ძველი გზით წავალთ და, ვაი, ასეთ სიარულს!“** — ეს უკვე შვილიშვილის სიტყვებია — სიმართლის ქომაგი იყო დავით კლდიაშვილი და სიმართლის კვალდაკვალ იარა ირაკლი გოცირიძემაც!..

**ნანა ღვინეფაძე,**

2005 წ. 7-8/IV.

ინფორმაცია

## ვინ დაესხა თავს ანქვაბს?

**საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტისა და აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს ექს-შეფი ავთანდილ იოსელიანი კატეგორიულად გამორიცხავს აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის ორგანიზებაში საქართველოს სპეცსამსახურების მონაწილეობას.**

**იოსელიანის განცხადებით, ტერაქტში საქართველოს სპეცსამსახურების დადანაშაულება „სისულელეა“, რადგან ქართულ მხარეს აფხაზთა ხელმძღვანელების განადგურების ინტერესი არასდროს ჰქონია.**

**მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრის განადგურება იმის გამოც არ შედის, რომ ანქვაბი არძინბას კლანს ებრძვის, რომელმაც „აფხაზეთი შეჭამა და გაანადგურა და აფხაზ ხალხს თავისი საქმიანობით არანაირი სიკეთე არ მოუტანა“.**

**იოსელიანის შეფასებით, ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმები აფხაზურ საზოგადოებაში არსებულ კლანურ დაპირისპირებას უკავშირდება. „ტერაქტებს ის ძალები აწყობენ, რომლებსაც საპრეზიდენტო არჩევნებისას არ სურდათ ხელისუფლებაში სერგეი ბაღაფშისა და ალექსანდრე ანქვაბის მოსვლა“.**

## გინდათ საწვავზე ფასების შემცირება? — გააუქმეთ აქციზი!

**ნავთობის იმპორტიორები დიზელის საწვავზე აქციზის გაუქმებას მოითხოვენ.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა, მომხმარებელთა და მწარმოებელთა კავშირის“ თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, მსოფლიოში ნავთობპროდუქტების ფასი საკმაოდ დინამიურად იზრდება. უფრო მეტიც, დღეისათვის მსოფლიო ბაზარზე დიზელის საწვავი ბენზინთან შედარებით გაცილებით ძვირია. ეს კი სერიოზულ პრობლემას უქმნის საქართველოს სოფლის მეურნეობას, ადგილობრივ მრეწველობასა და ზოგადად მეწარმეობას.**

**„ვინაიდან ნავთობის ფასის კლების პერსპექტივა არასაიმედოა, ჩვენი კავშირი დიზელის საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმების ინიციატივით გამოდის. ამის შედეგად, საწვავის ფასი შემცირდება, აღარ იქნება კონტრაბანდა და მოხდება ბიზნესის ლეგალიზება“, — მიაჩნია მთვრალაშვილს.**

**მისივე თქმით, აქციზის გაუქმებით, დიზელის საწვავის თვითღირებულება 14 თეთრით, ხოლო საცალო ქსელში მისი ფასი სულ მცირე 20 თეთრით შემცირდება.**

**ინტერ-პრესი.**

ინფორმაცია

## ორი უფასო სასადილო უმწეოთათვის

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში გუშინ უმწეოთათვის დამატებით ორი უფასო სასადილო გაიხსნა.**

**როგორც „ინტერ-პრესს“ რაიონის გამგებლის მოადგილემ სოციალურ საკითხებში გიორგი ქველაძემ განუცხადა, სასადილოები დღეში 400 ადამიანს მოემსახურება. უმწეოებს დღეში ეთხელ ცხელი, კვირაში ორჯერ კი ხორციანი კერძების მირთმევის საშუალება ექნებათ.**

**გამგეობა ერთი ადამინის გამოსაკვებად დღეში 75 თეთრს ხარჯავს.**

**დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში სულ 4 უფასო სასადილოა, რომლებიც დღეში 800 ადამინს მოემსახურება. როგორც გამგეობაში აცხადებენ, 1 მაისიდან უმწეოთა სასადილოებში ბენეფიციართა რაოდენობა 50 კაცით გაიზრდება. ამასთანავე, გამგეობა აღდგომის დღესასწაულისთვის მათი კვების რაციონის გაუმჯობესებას გეგმავს.**

## უსახლკარონი წლეულს დაფინანსდებიან

**საქართველოს მთავრობა წელს მხოლოდ იმ ოჯახებს დააფინანსებს, რომლებიც სხვადასხვა გარემოებების გამო უსახლკაროდ დარჩნენ.**

**როგორც გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები მხოლოდ იმ ოჯახებისთვის, რომლებიც საერთოდ უსახლკაროდ არიან დარჩენილები. რაც შეეხება იმ ოჯახებს, რომლებსაც სტიქიური უბედურებების დროს საცხოვრებელი სახლები დაუზიანდათ, როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, ამ სახის დაზიანებები იმდენად ბევრია, რომ ხელისუფლებას მათი დაფინანსებისთვის საჭირო თანხები ამ ეტაპზე არ გააჩნია.**

## ტრეფიკინგი კვლავ აქტუალურია

**საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში გუშინ ქვეყნის ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.**

**ამ კომისიას, რომელიც ჯერჯერობით ორი წლის ვადით შეიქმნა, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი თავმჯდომარეობს. კომისია სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.**

**როგორც სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, 2004 წელს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული გეგმა შემუშავდა, რომლის მიზანია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ სხვადასხვა უწყებების კოორდინირებული ბრძოლა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით კი, უკვე დამტკიცდა 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა.**

**მისივე თქმით, დღემდე, საქართველოდან ადამიანთა მასიური გადინება ხდებოდა. ამჯერად კი ჩვენი ქვეყანა უფრო სატრანზიტო ფუნქციას იძენს. აქედან გამომდინარე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კომისიის ფუნქცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე მონიტორინგის განხორციელებაც იქნება.**

**ინტერ-პრესი.**

თარიღი

# ამნაირ ადამიანებს ტაძრის კედლებზე ხატავდნენ

## ექვთიმე თაყაიშვილისა და ეროვნული განძის სამშობლოში დაბრუნების 60 წლისთავი

**დიდმა ქართველმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა ასეთი ეპითეტი უძღვნა ექვთიმე თაყაიშვილს:**

**„ექვთიმე თაყაიშვილი მთელი ცხოვრების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ეროვნულ საქმეს. არც დაღლა იცოდა, არც დასვენება... ამნაირ ადამიანებს ძველად ხატავდნენ ტაძრის კედლებზე“. თუ კადნიერებაში არ ჩამეთვლება, აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა წმინდანად შერაცხა ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ღვაწლმოსილი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი. მას სახელად ქართულმა ეკლესიამ ღვთისკაცი უწოდა, ხოლო მის მოსახსენიებელ დღედ ახალი სტილით 16 იანვარი დააწესა.**

განუზომელია ის შრომა და ამაგი, რაც ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა გასწია ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად: არქეოგრაფიაში, ეპიგრაფიკაში, არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ფოლკლორში, ხელოვნებათმცოდნეობაში, ნუმიზმატიკაში, ისტორიულ გეოგრაფიაში, ქართული სამართლის ისტორიაში და ძველ ქართულ მწერლობაში. ამიტომაც მას ღირსეულად აფასებენ საქვეყნოდ ცნობილი ისეთი ქართველი მეცნიერები, როგორებიც ბრძანდებოდნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ჩიტაია, ალექსანდრე ბარამიძე და სხვები. ჩვენი ნათქვამის დასტურად აქვე მოვიშველიებ ბატონ ნიკო ბერძენიშვილის ნათქვამს დიდ მეცნიერზე: „ექვთიმე თაყაიშვილმა „ახალი ქართლის ცხოვრების“ მასალების მოპოვებასა და საქართველოს ისტორიის საკითხების დამუშავებაში იმდენი გააკეთა, რომ მას ბადალი არ ჰყავს“.

როგორც ცნობილია, 1921 წლის მარტში, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში გადაიხვეწა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც საბჭოთა რუსეთის ჯარებმა საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა მოახდინა. ბათუმის პორტიდან ემიგრაციაში გამგზავრებულმა საქართველოს მთავრობამ თან წაიღო ქართული ისტორიული განძი, რომლის მოვლა-პატრონობა დაევალა ექვთიმე თაყაიშვილს. მის მეუღლეს ნინო პოლტორიცკაიასა და იოსებ ელიგულაშვილს. მგზავრობა ბათუმიდან მარსელამდე ხანგრძლივი და ფათერაკიანი გამოდგა. ბათუმის ნავსადგურიდან საფრანგეთის კრეისერი „ერნესტ რენანი“ 11 მარტს დილით ექვთიმე თაყაიშვილის გარეშე გაემგზავრა. იგი გემს კონსტანტინეპოლის ნავსადგურში დაეწია და ჩვენი ეროვნული განძი ერთ-ერთ დაძველებულ გემზე „ბიენ ჰოაზე“ გადაატანინა და გზა გააგრძელა. მარსელის ნავსადგურში გემი 10 აპრილს საღამოს ჩავიდა. ზუსტად ერთი თვის თავაუღებელი შრომა დასჭირდა ექვთიმე თაყაიშვილს, რათა ქართული ეროვნული სიმდიდრე მარსელის ბანკისათვის ოფიციალურად ჩაებარებინა. როგორც ცოტა გვიან ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, „განძის რწმუნებულები ჩემთან ერთად იყვნენ ბენია ჩხიკვიშვილი და ნიკოლოზ ჯაყელი, თუმცა, ბოლოს, მე შემატოვეს ეს ძნელი საქმე“. განძის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „მოვალეობის გრძნობამ გადამარჩინა მე, თორემ განძის სამშობლოში დაბრუნებამდე დავიღუპებოდი; სიტყვას ვაძლევდი ჩემს თავს: სანამ განძს პატრონს არ ჩავაბარებ, არ უნდა მოვკვდე! და გადავრჩი“.

როგორც ცნობილია, ქართველთა ემიგრაცია პარიზის მახლობლად, ლევილში დასახლდა. ემიგრაციაში ყოფნის დროს ექვთიმე თაყაიშვილს ეკონომიურად ძალიან უჭირდა. საკმარისი იყო განძიდან ერთ-ერთი რომელიმე ისტორიული მნიშვნელობის ნივთის გაყიდვა და ის არა მარტო თავს შეინახავდა, არამედ სხვებსაც შეეხიდებოდა. ასეთი რამ მას გონებაში არც კი გაუფიქრია. 1935 წლის 10 აპრილს ემიგრაციაში მყოფმა საქართველოს მთავრობამ განძზე მეურვეობის იურიდიული პასუხისმგებლობა მოიხსნა და მის სრულუფლებიან პატრონად ექვთიმე თაყაიშვილი გამოაცხადა. ახლა უკვე აღარავის აღარ შეეძლო ხელი ეფათურებინა ქართული ეროვნული განძისათვის — შინაურს თუ გარეშეს.

თუ როგორ ცხოვრობდა და როგორ უჭირდა ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს თავის გატანა, ამის დასტურად რამდენიმე მისეული დღიურიდან ჩანაწერს მოვიტან: „თებერვლის თვეში ექვსი დღე ვერ ვისადილე, მარტში კი 13, მხოლოდ ნახევარი ლიტრი რძითა და პურით გავიტანე თავი. წლების მანძილზე თუ ვისადილებდი, რძეს აღარ ვიღებდი, მეორე დღისათვის ვიზოგებდი“. 1938 წლის დეკემბრის თვეში ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ყველაფერი მაკლია, — სამოსელი სულ შემომეხა, საზრდო საყოფი არ მაქვს, დოხტურთან ვერ მივდივარ, წამლებს ვერ ვყიდულობ“... ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე თავის წიგნში წერს, რომ „გაჭირვებამ ექვთიმე თაყაიშვილს თხა აყიდინა, რომელსაც თვითონ უვლიდა და აძოვებდა. იტყოდა: წველის დროს ჯანმრთელი ფეხი თხის თოკზე მედგა, დაიძრა თხა, წამაქცია და შევძახე: მღუპავ ჩემო მარჩენალო, ფეხს მტეხო!..“

ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტს მოვიტან. როდესაც პარიზიდან საქართველოში ეროვნული განძის წამოღება რეალური გახდა, ყველასათვის მოულოდნელად ბატონმა ექვთიმე თაყაიშვილმა სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა. „წარსდგა მშიერი და ვერა ტიტუელიო“, უთქვამს მოხუცს და არაფრით თვითმფრინავში არ ჩამჯდარა. მაშინ გამოფხიზლებულან ქართველები, მაგრამ ომისგან გავერანებული პარიზის მაღაზიებში ვერაფერი შეუძენიათ. შეპირდნენ, რომ ქაიროში აუცილებლად შეიძენდნენ და თვითმფრინავში ჩაჯდომაზე დაითანხმეს. დანაპირები ქაიროში შეუსრულეს.



საქართველოში ექვთიმე თაყაიშვილის დაბრუნებას და ეროვნული განძის ჩამოტანას ხელი შეუწყო წითელი არმიის მიერ ფაშისტური რეჟიმისაგან ევროპის ქვეყნების განთავისუფლებამ და მეორე მსოფლიო ომის დასასრულის მოახლოებამ. ეს ის პერიოდია, იოსებ სტალინის სახელი მთელ მსოფლიოში რომ ჰქუხდა და ყველა ანგარიშს უწევდა. 1945 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაიმართა საბჭოთა მთავრობის მეთაურის იოსებ სტალინისა და საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურის დე გოლის შეხვედრა. რასაკვირველია, მთელ რიგ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან ერთად შეხვედრის დროს იოსებ სტალინმა საფრანგეთში დაცული ქართული ეროვნული განძის სამშობლოში დაბრუნება მოითხოვა, რასაც დე გოლის მხრიდან სრული მხარდაჭერა მოჰყვა. მაშინ იოსებ სტალინმა კრემლში საბოლოოდ გადაწყვიტა ჩვენი ეროვნული განძის მომავალი. დღეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, აღნიშნული მომენტის ასე მარჯვედ გამოყენება რომ არა, კაცმა არ იცის, რა ბედი ეწეოდა მომავალში განძს. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ კრემლი და მისი ხელისუფლება ამ განძის დასაბრუნებლად თავს რომ არ შეიწუხებდა, ეს ნათელია. როგორც ჩანს, ამ მაღალი რანგის მოლაპარაკებაზე გადაწყდა საფრანგეთში მყოფი ბატონი ექვთიმე თაყაიშვილის სამშობლოში დაბრუნებაც.

თბილისიდან პარიზში ეროვნული განძის ჩამოსატანად წავიდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია. მათ თან ახლდნენ ე.წ. განძის გამცილებლები: პ. მელაძე და თ. შავდია. სამშობლოში დაბრუნებისას, რა თქმა უნდა, მათ შეუერთდა ექვთიმე თაყაიშვილი. 1945 წლის 5 აპრილს პარიზის აეროდრომიდან ორმა ამერიკულმა თვითმფრინავმა კურსი თბილისისაკენ აიღო. პარიზი — რომი — ბიზერტა — ქაირო — თეირანი — თბილისი, ასეთი იყო მათი მარშრუტი. 11 აპრილს, საღამოს თბილისის აეროდრომზე დაეშვნენ...

ექვთიმე თაყაიშვილმა 8 წელი იცოცხლა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. 1945 წლის 15 აპრილს მას ირჩევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, მანამდე კი იგი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა 1918-1920 წლებში. 1946 წლის 28 დეკემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო კრებამ ექვთიმე თაყაიშვილი თავის ნამდვილ წევრად აირჩია. ექვთიმე თაყაიშვილი ცხოვრობდა ვერაზე — ვაშლოვანის ქუჩაზე № 6-ში. საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ ბინაში საცხოვრებლად რომ გადმოსულიყო, მას დაეხმარა ცნობილი ქართველი ფეხბურთელი ბორის პაიჭაძე. აი, ამ ვიწრო საცხოვრებელ ბინაში ექვთიმე თაყაიშვილმა, შეიძლება ითქვას, საფუძველი ჩაუყარა მისეულ მცირე მოცულობისა და დიდი მნიშვნელობის „მეცნიერებათა აკადემიას“, სადაც ბევრ ეროვნულ და საშვილიშვილო საქმეზე იყო მსჯელობა. აქ თითქმის ყოველდღიურად მსჯელობდნენ ქვეყნის წარსულზე, ქართულ დამწერლობაზე, ქართულ საეკლესიო საგალობლებზე, ბაგრატის ტაძარზე თუ ხახულის სამონასტრო კომპლექსზე, ილია ჭავჭავაძისა თუ ივანე ჯავახიშვილის ღვაწლსა და ამაგზე. აი, ვინ ბრძანდებოდნენ ის პიროვნებები, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილისეული „აკადემიის“ ნამდვილი წევრები იყვნენ: კალისტრატე ცინცაძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროყვა, ქრისტინე შარაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, იროდიონ სონღულაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სარგის კაკაბაძე, ვარლამ დონდუა, გიორგი ლომთათიძე, ნინო ღოღობერიძე, იოსებ მეგრელიძე და ალექსანდრე კალანდაძე.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის თხოვნით ცნობილმა მეცნიერმა გიორგი ლომთათიძემ და მისმა მეუღლემ ნინო ღოღობერიძემ ოთხი წლის მანძილზე დიდი შრომა გასწიეს და ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები ჩაიწერეს, შემდეგ კი ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნეს. ასევე ბევრი საინტერესო ჩანაწერი აქვს გაკეთებული პროფესორ იოსებ მეგრელიძეს. ის ექვსი წლის მანძილზე თავს დასტრიალებდა მოხუცს და მისთვის ყურადღება არ მოუკლია. აქვე დიდი მორიდებითა და პატივისცემით უნდა მოვიგონოთ ღვაწლი და ამაგი ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძისა და იროდიონ სონღულაშვილისა.

ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა. ის 24 თებერვალს დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე. 1963 წლის 10 თებერვალს დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ნეშტი გადაასვენეს ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში, ხოლო ორი წლის წინათ დიდი მამულიშვილის ნეშტი მთაწმინდის პანთეონში გადაიტანეს.

როგორც პროფესორი იოსებ მეგრელიძე აღნიშნავს, მიცვალებული ვაკის სასაფლაომდე სულ 48 კაცმა მიაცილა. ორგანოს თანამშრომლები ხალხს პანაშვიდის დროს აფრთხილებდნენ, რომ შინ წასულიყვნენ და დაკრძალვას არ დასწრებოდნენ. ჩვენ დავადგინეთ მხოლოდ 27 პიროვნება, რომლებიც ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვას დაესწრნენ. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ სიაში ბოლო ხუთი პიროვნება დღესაც ცოცხალია. აი ისინიც: ქრისტინე შარაშიძე, აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვუკოლ ბერიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ვახტანგ ბერიძე, გიორგი ლომთათიძე, ნინო ღოღობერიძე, ალექსანდრე ბარამიძე, იოსებ მეგრელიძე, ალექსანდრე კალანდაძე, ცაცა ყურაშვილი-გავაშელისა, ლიანა დოლაბერიძე, ირინე წიტაიშვილი, ქსენია კამკამიძე-ლორია, ტარიელ ჩუბინაშვილი, გურამ რამიშვილი, ირაკლი რამიშვილი, ედიშერ გიორგაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, კოტე ჩოლოყაშვილი, ნიკო ქანთარია და ზურაბ კიკნაძე.

მართალია, მაშინ სათანადო ორგანომ ხალხს დაუშალა ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავებაზე მისვლა, მაგრამ აქ ერთი ფაქტიც არის გასათვალისწინებელი: დააკვირდით სიას, აქ არც ერთი ექვთიმე თაყაიშვილის მოყვარე და ნათესავი არ არის. რაც მთავარია, არ არის მისი შვილობილი და მომვლელი ლიდია პოლტორაცკაია. არ არიან მისი მეუღლის ნინო პოლტორაცკაიას ყველაზე ახლობლები გაბაშვილისა და ნიჟარაძეთა გვარიდან. რაც ყველაზე საოცარია, სიაში არ არის თაყაიშვილთა, ფაქტობრივად, ჭირისუფალთა გვარი, მაშინ როდესაც მოხუცის სიცოცხლეში ისინი მუდამ მასთან იყვნენ. ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს 85 წელი რომ შეუსრულდა, ცნობილმა მსახიობმა სესილია თაყაიშვილმა იუბილარს 85-სანთლიანი ტორტი მიართვა. სიაში არ არის აგრეთვე ბატონი ექვთიმეს ორი უახლოესი პიროვნება: ლადო გუდიაშვილი და იროდიონ სონღულაშვილი. ასევე სიაში არ არის ბატონი ექვთიმეს ახლობელი — ნაკაშიძეთა გვარის არც ერთი წარმომადგენელი და სხვ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ აქ თავი მოვუყარეთ იმ ხალხს, ვინც პატივი მიაგო და გააცილა საბოლოო გზაზე დიდი მამულიშვილი და უბადლო მეცნიერი.

**დურმიშხან ცინცაძე.**



**ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №5**

ეპოქის მთავარი თემა:

# ქრისტიანობა და მეცნიერება





როგორც გვასწავლიდნენ, დრო და სივრცე ობიექტურად შეუმეცნებელია... ჩვენი სუბიექტური წარმოდგენები კი, ანუ საგანთა არსის ჩვენეული ხედვა, შეუმცდარობის გარანტიას არ იძლევა.

სად, რომელ სივრცეში შევხვდეთ ერთმანეთს? რას ვუწოდოთ ჭეშმარიტება? თუკი მეცნიერება ჩვენივე დაკვირვებებით, ცდებით და განზოგადებით მოპოვებული ცოდნაა, ესე იგი ადამიანის ძალისხმევით მიღწეული ცოდნა, რა არის ვერმიღწეული? რისი გაგებაა შეუძლებელი მხოლოდ ინტელექტით? – სხვა მრავალ აუხსნელ საგანთან ერთად, ალბათ, ღმერთთან ურთიერთობის საიდუმლოსი, რასაც შეძლებისდაგვარად რელიგია განმარტავს.

მთელი საუკუნის მანძილზე ჩვენ მებრძოლი ათეიზმის ქვეყანაში ვცხოვრობდით. ათეიზმი, როგორც იდეოლოგია, ღმერთის არსებობის წინააღმდეგ მატერიალურ შეხედულებათა დასაბუთებას ცდილობდა. დარვინიზმს განიხილავდნენ, როგორც მეცნიერულ სკოლას მაშინ, როცა თავად ჩარლზ დარვინი საკუთარ „ადამიანის წარმოშობის" თეორიას ერთ-ერთ დაუსაბუთებელ ჰიპოთეზად თვლიდა...

ისიც ცნობილია, რომ ყველა, ასე თუ ისე, დიდი მეცნიერი საბოლოოდ უზენაესი ძალის უპირობო აღიარებამდე მივიდა...

**„ვისაც ღმერთი უყვარს, მას ცოდნა ღმერთისგან ეძლევა"...**

### საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ღვთისმეტყველებისა და მეცნიერების შესახებ:

**„შემთხვევითი არ არის, რომ დავით აღმაშენებელმა უმაღლესი სასწავლებელი მონასტერთან დააარსა. ასკეტიზმი და მეცნიერება ორივე რჩეულთა ხვედრია და მათი შერწყმა იდეალურ პიროვნებაში ხდება. ასეთი რჩეულნი მრავლად ჰყავდა საქართველოს: პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, ათონელი მამანი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი... თვით დავით აღმაშენებელი და სხვანი...**

**შემთხვევითი არ არის ისიც, რომ გელათის აკადემიას უწოდებდნენ მეორე იერუსალიმს და მეორე ათენს. იერუსალიმით აღინიშნება მაღალი სულიერება, ხოლო ათენით – მაღალი მეცნიერული დონე.**

**გელათის აკადემია იყო ის ცენტრი, სადაც იხვეწებოდა და მუშავდებოდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნება და ტერმინოლოგია. აქ ითარგმნებოდა არა მარტო ცნობილ ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა ნაშრომები, არამედ ანტიკური ფილოსოფიის რჩეული ნიმუშებიც, იწერებოდა ორიგინალური შრომები...**

**ამ საუკუნეში ბევრი ცდილობდა რწმენა და ცოდნა გაეთიშა და დაეპირისპირებინა ერთმანეთისთვის. განა შეიძლება რწმენა და ცოდნა დაუპირისპირდეს ერთმანეთს? ისინი ხომ ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მოიცავენ. ერთი – ფიზიკურს, მეორე – სულიერს. მაშასადამე, ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.**

**მეცნიერება ღვთისგანაა ნაკურთხი. იგი ადამიანის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა...**

### „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში – წარსული, აწმყო და მომავალი"

**„იერუსალიმი" და „ათენი", ჭეშმარიტი სულიერება და მეცნიერული აზროვნების სისტემა არის ძირითადი არსი II საერთაშორისო სიმპოზიუმისა, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კულტურის ცენტრმა ჩვენს სამშობლოში ქრისტიანობის გავრცელების ოცსაუკუნოვან იუბილეს უძღვნა.**

სიმპოზიუმის სახელდება თემატიკის მიხედვით ასე განისაზღვრა: **„ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში – წარსული, აწმყო და მომავალი".**

ცირკულარში ვკითხულობთ: „თანამედროვე საზოგადოებაში წონასწორობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის შენარჩუნებისთვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებთან ერთად აუცილებელია მარადიული საკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინება... **წარსული არ შეიძლება განათლების გზაზე აღიმართოს გადაულახავ წინააღმდეგობად.** არ შეიძლება, რომ თანამედროვე ადამიანმა არ შეაფასოს ისტორიული მემკვიდრეობა...

უმთავრესი საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბება უნდა ხდებოდეს უმაღლეს სულიერ ინტელექტუალურ, კულტურულ პირობებში. სამწუხაროდ, გარდამავალ პერიოდში საქართველოში შექმნილმა რთულმა ვითარებამ შეაფერხა სახელმწიფოებრივი, კულტურული და სულიერი ფასეულობების განვითარება. ჩვენს სინამდვილეში ჯერ კიდევ არსებული მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, **საქართველოს სულიერ და ინტელექტუალურ ელიტას ევალება და შეუძლია კიდეც ამ უდიდესი ეროვნული მისიის აღსრულება.** ქვეყანაში არსებული შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციას დიდად შეუწყობს ხელს პატრიარქის მიერ ახლად დაარსებული ფონდი „სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება".

2005 წელს ჩვენს ქვეყანაში იუნესკოს ეგიდით აღინიშნება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ოცსაუკუნოვანი იუბილე.

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულმა ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება **2005 წლის ნოემბერში თბილისში ჩატარდეს საერთაშორისო სიმპოზიუმი...** ვიმედოვნებთ, რომ იუბილეს აღნიშვნაში ჩაერთვება საქართველოში არსებული ყველა სამეცნიერო თუ საგანმანათლებლო დაწესებულება".

### რადგან პირველად იყო ლოგოსი...

**ცნობილია, რომ სამყაროს წვდომის ერთ-ერთი ყველაზე მეტაფიზიკური საგანი – ლიტერატურა, რომელიც მარადიულსა და სულიერზეა დაფუძნებული, რთულ ეპოქათა მიჯნაზე ყოველთვის მისიონერული ფუნქციით იდგა.**

ლიტერატურათმცოდნეობა, წარსულისა და აწმყოს ლიტერატურულ ფასეულობათა ანალიზთან ერთად, ცდილობდა არსებულ დროის ნიშნებზეც საკუთარი მეცნიერული თვალსაზრისი გამოეხატა.

**„ქრისტიანობა და ეროვნება", „ქრისტიანობა და კულტურა"** იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 4 და 5 აპრილს ჩატარებული კონფერენციის ძირითადი თემები. ეს დაწესებულება პირველი გამოეხმაურა საპატრიარქოს ინიციატივას.

ლიტერატურის ინსტიტუტის, როგორც უმნიშვნელოვანესი ფილოლოგიური ცენტრის, აკადემიური ტრადიციები და მაღალი პროფესიული რენომე სიმპოზიუმისთვის საქმიანი და პრესტიჟული დასაწყისი გახლდათ.

სხდომებში მონაწილეობდნენ ლიტერატურის ინსტიტუტის, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის და ორგანიზაცია „მედიაკავკასიას" მეცნიერ-თანამშრომლები: ნესტან სულავა, ლალი ძოწენიძე, ნინო მახარაძე, სოსო მახარაშვილი, შერმადინ ონიანი, გოჩა კუჭუხიძე, ქეთევან ელაშვილი, ასმათ ჯიქია, ქეთევან ვაშაყმაძე, ლია წერეთელი. 4 აპრილის სხდომაზე მოხსენებით წარსდგა ფიზიკოსი პარმენ მარგველაშვილი, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის" მამუკა თავაქარიძისეული ხელნაწერის პროლოგის შესახებ საყურადღებო თვალსაზრისი გაგვაცნო. 5 აპრილის სხდომაში მონაწილეობდნენ: რევაზ ბარამიძე, ირინე მოდებაძე, ლია კარიჭაშვილი, მაია ნაჭყებია, მედეა ღლონტი, მარიამ ნინიძე, მარიამ კარბელაშვილი, ეთერ ინწკირველი, მარინე ცინცაბაძე, ნინო ტარყაშვილი.

გთავაზობთ რამდენიმე დებულებას წაკითხული მოხსენებებიდან:

**„ეროვნული ცნობიერებისა და მართლმადიდებლობის ერთიანობა ამავე დროს არის ერის იდეოლოგია, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად ავლენს ერის ღირსებებს და განსაზღვრავს ერის სახეს. იდეოლოგიის უარყოფა ესეც იდეოლოგიაა, მხოლოდ რეაქციული იდეოლოგია, რომელიც კოსმოპოლიტიზმის ნიღბით ამკვიდრებს ურწმუნოებასა და ნიჰილიზმს ყოველი ფასეულობის მიმართ, სპობს ჰუმანიზმის პრინციპებს და უარყოფს წარსულის კულტურულ ფასეულობებს"...**

(რ. ბარამიძე „ქრისტიანობა და ეროვნული ცნობიერება").

იხ. მე-6 გვ.

ჩვენი პუბლიკაცია

# „ერეკლე II – ტრაგიკული ფიგურა ჩვენს ისტორიაში"...



1942 წლის 4 მარტს, როცა გერმანელები დარიალს უახლოვდებოდნენ, თბილისის მილიციის ცხენოსანთ „ცოცხალი" ერეკლე მეფის უშუალოდ ხილვის იმედი ყოველივეს ავიწყებდათ...

საბედნიეროდ, ისტორიამ შემოგვინახა კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ ქართველი ადამიანი, წესისამებრ, თეატრს მიაკუთვნებდა ყველაზე უფრო მწვავე და მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენათა რიგს.

გერონტი ქიქოძის გამოუქვეყნებელი ეპისტოლე მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის „მეფე ერეკლეს" პრემიერის მეორე დღესვე მიწერილი ვასო გოძიაშვილისადმი, ხსენებული დებულების მეტყველი საბუთია და მისი დასტამბვა, ვფიქრობთ, დააინტერესებს მკითხველს.

**დიდად პატივცემულო ამხანაგო ვასო,**

**თუმცა თეატრში იშვიათად დავდივარ, ხოლო რეცენზიების წერას უკვე დიდი ხანია თავი დავანებე, მაგრამ არ შემიძლია გუშინდელი პრემიერის, თქვენს მიერ ერეკლე მეფის როლის შესრულების გამო, ჩემი შთაბეჭდილებანი არ გაგიზიაროთ ორიოდე სიტყვით. თქვენი საუცხოოდ გაგებული მეფე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მონუმენტალური და ტრაგიკული ფიგურა ჩვენს ისტორიაში. თქვენ იძლევით დაუშრეტელი ენერგიით სავსე, ე.წ. ცხარე ტემპერამენტის მქონე ადამიანის სახეს, გულთბილს ადამიანებთან მიდგომაში, მკაცრს ვალდებულების შესრულების დროს, აღჭურვილს დიდი ჭკუით, რომელიც სხვათა შორის, მის გამსჭვალავ გამოხედვაში ვლინდება. უდაოდ სწორია თქვენი გაგება, რომ ერეკლე მეფე იყო არა მარტო ფართო ჰორიზონტის პოლიტიკოსი მოღვაწე და უნიჭიერესი მხედართმთავარი, არამედ ხორცშესხმული ადამიანი, რომელსაც შეეძლო სისუსტე გამოეჩინა იმ წუთებში, როდესაც უმაღლესი სახელმწიფოებრივი ინტერესების შეგნება მას ნათესავების და მეგობრების დასჯას უკარნახებდა.**

იხ. მე-6 გვ.

*განმეორადობის ცნობილი კანონებით ისტორიულ ანალოგიებთან ერთად ყოველივე მეორდება. გადის წლები. იცვლებიან „მონარქები"... „რა ხაოცარი დასრულდა წლები, მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი"... მაღალი იდეალების თუ დემოკრატიული იდეების განხორციელებისთვის სამსახურში რევოლუციის ხელით ეცემიან ფასფები...*

*ისტორიამ იცის ბანალური უცნაურობანიც, როცა რევოლუციათა მერეც აღრინდელი განუკითხაობა მკვიდრდება.. პრობლემები არ იცვლება. პირიქით, უფრო გამომწვევად დგება ცხოვრების ავანსცენაზე...*

*ჩანაწერი, რომელიც ლაშა ბაქრაძემ აკაკი ბაქრაძის არქივში აღმოაჩინა, დაახლოებით 1990 წლისაა დაწერილი, თუმცა თემის აქტუალობის გამო დიდი სიამოვნებით ახე დავახათერებით:*

# აკაკი ბაქრაძის ჩანაწერი... 2005 წელს



ჩვენი განათლების დონე პირველი კლასის მოსწავლის დონემდე დავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი საქართველო უცხოეთში სწავლობს...

ქართველი ხალხის და საქართველოს სიმცირის გამო ქართული ენის გვერდით ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის არსებობდა რომელიმე დიდი ენა – ხან ბერძნული, ხან არაბული, ხან სპარსული, ხან თურქული. თუ ლეონტი მროველს დავუჯერებთ, ისეთი დროც ყოფილა, როცა ქართველები სომხურად ლაპარაკობდნენ და ქართლში ექვს ენაზე მეტყველებდნენ. უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე კი რუსული იყო გაბატონებული. ადრე ის ნაკლებსაშიში იყო, რადგან არც პრესა არსებობდა, არც რადიო-ტელევიზია და არც წიგნისთვის იკლავდა თავს მაინცდამაინც ქართველი... ახლა ვითარება გართულებულია. ტექნიკური ცივილიზაციის გათვალისწინებით, ყოველ ოჯახში შეიძლება მოვისმინოთ გადაცემა, რომელ ენაზეც გნებავთ. აღარაფერს ვამბობ მოდადგადაქცეულ ინგლისურზე, რომელიც „Мадам из Зестафоны"-ს ვარიანტია. ენების ცოდნა კარგია და ღმერთმა ყველას მოუმართოს ხელი, ვინც ბევრი ენა იცის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ქართული აბუჩად ავიგდოთ და უმოწყალოდ და უნუგეშოდ დავამახინჯოთ.



იმ დროს ვუახლოვდებით, როცა ქართლში ქართული ენა არ იზრახებოდა. რუსული რუსულად დარჩება, მას მოდური ინგლისური მიემატება, თურქულ-სპარსულიც ფეხს მოიკიდებს, რადგან ჩვენს ეკონომიკას ისინი ეუფლებიან და ქართული ჯერჯერობით ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს.

**ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ თავად ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტებს აღარ აწუხებთ ქართული ენის ბედი,** პირიქით, რამდენადაც ნატურალისტურად გადაიტანენ ქუჩურ მეტყველებას, მეტ სანაქებო საქმედ მიაჩნიათ... სულ სხვა იყო ქართული მწერლობის დამოკიდებულება ჩვენი ენისადმი. XX საუკუნის პირველ ნახევარში, თუნდაც ქართველი მეცნიერების ზრუნვა ქართულ ტერმინოლოგიაზე... ახალი შექმნან კი არა, იმასაც კი უარყოფენ, რაც შექმნილია. რასაც ქართულ პარლამენტში ენერგომატარებელს ეძახიან, იმას ენერგოშემცველი ჰქვია, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის განმარტებით ასეა. ვიღაცამ ერთხელ შეცდომით იხმარა ერთი ტერმინი მეორის მაგივრად და ახლა პრეზიდენტით დაწყებული, პარლამენტის დარაჯით დამთავრებული გაიძახის იმას.

**უბატონოდ არსებობა ვერ წარმოგვიდგენია და რუსული თუ არა, ინგლისური მაინც!**

თბილისში შემთხვევით გავლილი ინგლისელი თუ ამერიკელი, თუ გნებავთ ავსტრალიელიც, ვერ მიხვდება, რომელია პოლიციის მანქანა, თუ არშინიანი ასოებით არ დავწერთ **Police?** ანდა პოლიციელს ზურგზე არ წავაწერთ.

რითიმე ჰგვანან მაინც ან ამერიკელ ან ინგლისელ პოლიციელს ქართველი პოლიციელები?..

მარტო ის არ კმარა, ზურგზე გეწეროს **Police**, რაღაცით უნდა ჰგავდე მას, ვისი მშობლიური ენაც ინგლისურია.



## ექოის მთავარი თემა:

# რელიგია და მეცნიერება



(მეხუთე გვერდიდან)

**„სიტყვა, როგორც ზმნა, ლოგოსი – აზროვნება და მეტყველებაა ერთდროულად. სიტყვა თავისთავში ღვთაებრივი, სრულყოფილი გონია. იგი შემოქმედის საშუალებით არსებობს და გამოიხატება. შემოქმედება სიტყვაა, ზმნაა, ამავდროულად იგი მისი გამოვლინებაა, გარეგნული მხარეა. აი, სწორედ ამიტომაა, რომ სამყარო მათთვის, ვისაც მისი შეცნობის ძალა აქვს, უზენაესი სიტყვით წარმოდგება: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმნილსა ხელთა მისთასა მოუთხრობს სამყაროი“ (ფს., 18.12)**

(ქ. ვაშაყმაძე „ამასა ენასა შინა...“)

**„ვეფხისტყაოსნის“ ამბის გზამკვლევი სასოებაა. იგი არ არის „ხილული იმედი“ ე.ი. იგი ემყარება მხოლოდ და მხოლოდ რწმენას და არა ცოდნას. პოემაში ძირითადი წინააღმდეგობების დაძლევის ალბათობა მხოლოდ თეორიულ დონეზე არსებობს... მიზნის მიღწევის პერსპექტივა მცირეა, რადგან არ არსებობს რაიმე წინასწარი ცნობა – ინფორმაცია, რაიმე ორიენტირი ან რეალურად ხელჩასაკიდი... სირთულეებს სძლევს, ჩაკეტილი წრეებიდან პერსონაჟები გამოჰყავს მხოლოდ და მხოლოდ იმედის სხივს ანუ სასოებას“.**

(ლ. კარიჭაშვილი „ქრისტიანული მოძღვრების საღვთისმეტყველო სათნოებანი და „ვეფხისტყაოსანი“)

**„ღვთის განგებით, ქართლი მფლობელია ისეთი უდიდესი სიწმინდის, როგორიცაა ქრისტეს სამოსელი, კვართი უფლისა, რომელიც საქართველოში მცხოვრებმა ებრაელმა ელიოზმა ჩამოიტანა მცხეთაში. წმ. ნინოს საქართველოში ჩამოსვლა, ქართველთა გაქრისტიანება შემთხვევითი ფაქტი კი არ არის, არამედ წინასწარმიმასწავებითია, ღმრთის ნების, წინასწარგანზრახვის აღსრულებაა“...**

(ს. მახარაშვილი „წმ. ნინოს ცხოვრება“ და ქართული მესიანისტური იდეის საფუძვლები)

**„წმ. ნინოს „ცხოვრების“ თავდაპირველ ვერსიაში სხვა თხრობა უნდა გვქონოდა. აშკარაა, წმ. ნინო იცნობდა სომხეთის მოქცევის ისტორიას, რიფსიმესა და გაიანეს „მარტვილობას“. ისიც მათს ნაკვალევზე უნდა მისულიყო სომხეთში და სომხეთიდან საქართველოში. ეს ასე უნდა ყოფილიყო წმ. ნინოს „ცხოვრებაში“, რომელიც შემდგომ საუკუნეებში გადაუკეთებიათ...“**

(შ. ონიანი, „რიფსიმესა და გაიანეს „მარტვილობა“ წმ. ნინოს „ცხოვრებაში“)

**„საგალობელი ემყარება ძველ აღთქმისეულ წინასწარმეტყველურ სიბრძნეს, რის გამოც იგი წინასწარმეტყველთა საქმის გაგრძელებად აღიქმება, ევანგელურ სისადავესა და სულიერ მშვენიერებას, მისი დაფარული აზრის სიღრმესა და ადამიანის გონებისაგან ჩაუწვდომლობასაც გულისხმობს, ბიბლიურ სიმბოლურ-ალეგორიულ და იგავურ აზროვნებასაც, რაც აღმყვანებელია სულიერი სამყაროსაკენ, ზნეობრივი სისრულისაკენ, სრულყოფილებისაკენ. საგალობელში ღვთაებრივი ჩანაფიქრი და მოქმედება მარადიულობას სწვდება, უწყვეტია, „უჟამო ჟამია“. მასში საკრალური დრო-სივრცე, ხატებისა და ფრესკების დარად, შეჩერებული წამი და გასიმბოლურებული სივრცე აისახება, რაც, ფაქტობრივად, – ზღვარს შლის სივრცულ-ზესივრცულსა და დროულ-ზედროულს შორის, რადგან ეს შეჩერებული წამი მარადიულია...“**

(ნ. სულავა „საგალობლის ლიტურგიული, შემეცნებით-აღმზრდელობითი და ესთეტიკური მნიშვნელობა“).

**„ეროვნულმა სულიერებამ სრული გამოხატულობა ჰპოვა ქართულ გალობაში, რომელიც შეიქმნა ბერძნულ-ბიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკის სიღრმისეული ათვისების პრინციპებზე და რომელიც არის ერთგვარი საბადო ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიის კვლევისათვის, რომელშიც მოიაზრება ყოვლად წმინდა სამების იდეა სამხმოვანებისა და რომელიც არცერთ ქრისტიან ერს ამ ნიშნით არ გაუმჟღავნებია“.**

(მ. ცინცაბაძე „IV-X საუკუნეების ქართული კულტურის, როგორც სისტემის ისტორიულ-ფილოლოგიური პრობლემატიკა“).

**„საქართველოს სახელოვან მეფეთათვის ნიშანდობლივია ერის მსახურების მიჩნევა ღვთის მსახურებად... ეროვნული სულით და ქრისტიანული მოძღვრების მაღალი ეთიკური პრინციპებით გამსჭვალულ ეპისტოლეებში ქართველი ხალხის მაღალზნეობრიობასთან ერთად წარმოჩენილია ქრისტიანობის უდიდესი მნიშვნელობა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებაში. ქრისტიანული რწმენა გადაჯაჭვული იყო ქვეყნის ერთგულებასა და სიყვარულთან. ეს აძლევდა ძალას საუკუნოვან ბრძოლაში ქართველ ხალხს“.**

(ლ. ძოწენიძე, „ეროვნული თვითშემეცნება და ქრისტიანობა, ეპისტოლეების მიხედვით“).

* * *

**„პირველითგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი...“** – იოანეს სახარების პირველი ფრაზა ცხუმ-აფხაზეთის და ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილი) ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ კონფერენციას დაუკავშირა: **„გმადლობთ, რომ პირველად სიტყვის მსახურებმა გადადგით ეს ნაბიჯი... ერს ყოველთვის უჭირდა, როცა განათლება და სულიერება სუსტდებოდა. ათეისტური მსოფლმხედველობის შედეგი იყო მეცნიერების და რელიგიის დაპირისპირება. სინამდვილეში კი მათი არსი და საწყისები ჰარმონიულ მთლიანობას გულისხმობს, რისი ერთ-ერთი დადასტურებაც დღეს, ამ დარბაზში გაცხადდა...“**

ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა **გურამ ბენაშვილმა** იმ განსაკუთრებულ ღირებულებებზე ისაუბრა, რაც საეკლესიო და სამეცნიერო წრეების შემოქმედებითი ურთიერთობებით ყალიბდება. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევას კი ახალი ეტაპი უწოდა ჩვენი აკადემიის ცხოვრებაში, რაც ქართული მეცნიერების უმდიდრეს ტრადიციებსა და აწმყოს საშიში შეტევებისაგან დაიფარავს...

* * *

„იერუსალიმისა“ და „ათენის“ ჰარმონიული ერთიანობა გრძელდება. 2005 წლის 11 აპრილს, 14 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი, თანამედროვე ფილოსოფიის პრობლემათა კვლევის ცენტრი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრში (მელიქიშვილის ქ. № 10) აწყობს კონფერენციას თემაზე: **„ქრისტიანობა და ფილოსოფიური ანთროპოლოგია“.**

* * *

გერმანელი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი აცხადებდა: „თავისუფლებასა და აუცილებლობას შეუძლიათ იმგვარად თანაარსებობა, რომ ერთსა და იმავე ქმედებაში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ. ასევე ჩვენი ყოველგვარი ქმედებაც გონებაჭვრეტითი და გრძნობადი მიზეზის პროდუქტია...“

**„კვირაძალს საკითხავის“** ერთგულ მკითხველებს შემდეგ ნომერში აუცილებლად მოვუთხრობთ, როგორ წარიმართება მეცნიერებასა და რელიგიაზე ქართველ „ფილოსოფოსთა ბრძნობანი“...

## ვინ არის ეს ქალი...

ქართული საოპერო ხელოვნების მრავალი თაყვანისმცემლის მეხსიერებაში შემორჩა მომღერალ მერი ნაკაშიძის მშვენიერი ხმა. გასულ წელს, იუბილესთან დაკავშირებით კვლავ გაიხსენეს ეს შესანიშნავი მომღერალი. ქართული ენციკლოპედიის მოკლე ცნობაში აღნიშნულია: „დაიბადა 1914 წელს სიღნაღში. ქართველი ლირიკული კოლორატურული სოპრანო, საქართველოს სახალხო არტისტი (1954). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. სწავლობდა ცნობილ პედაგოგთან პროფესორ ოლღა ბახუტაშვილ-შულგინასთან. 1935-60 წ.წ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტია. ფაქიზი, ლამაზი ხმისა და შესანიშნავი გარეგნობის მქონე მსახიობმა მრავალი საინტერესო ვოკალურ-სცენური სახე შექმნა, რომელთაგან ნატიფი ლირიზმითა და პოეტურობით გამოირჩევა: მარო (ზ. ფალიაშვილის „დაისი“), ქეთო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“), ცირა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“), მზია, ბულბული (ა. ანდრიაშვილი „ჩხიკვთა ქორწილი“, „კაკო ყაჩაღი“), ლაკმე (ლ. დელიბის „ლაკმე“), ვიოლეტა, ჯილდა (ჯ. ვერდის „ტრავიატა“ და „რიგოლეტო“), მარფა (ნ. რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“), როზინა (ჯ. როსინის „სევილიელი დალაქი“) და სხვა.“

## ბულბული, [illegible] მერი ნაკაშიძე

ეს მშრალი ცნობები, რა თქმა უნდა, სრულიადაც ვერ გადმოსცემს მერი ნაკაშიძის სიმღერით და მშვენიერებით გამოწვეულ აღტაცებას, რომელსაც თაყვანისმცემლებმა ისევე, როგორც ოდესღაც ვანო სარაჯიშვილს, საქართველოს ბულბული უწოდეს. დღეს ძნელი წარმოსადგენია სხვადასხვა მომღერლების თაყვანისმცემელთა დაჯგუფებებისთვის დამახასიათებელი მგზნებარება და ენთუზიაზმი. ბევრს კიდევ ახსოვს იმ დროს პოპულარული სახუმარო ლექსი:

„Мери душка, Мери свет,
Мери розовый букет...“

მერი ნაკაშიძის საოპერო კარიერის დასაწყისი ჰოლივუდური ფილმების სიუჟეტს ჰგავს – კონსერვატორიის სტუდენტ გოგონას ნიჭიერებას ამჩნევს ცნობილი დირიჟორი და მთავარ როლზე იწვევს. ასე ხდებოდა ხანდახან საბჭოთა კავშირშიც... მერი ნაკაშიძის გზის გამკვლავი საოპერო სცენაზე სახელგანთქმული რეჟისორი ევგენი მიქელაძე იყო. სამწუხაროდ, საბჭოთა ზღაპარს ჰოლივუდურთან შედარებით ტრაგიკული დასასრული ჰქონდა. არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც კრემლში, **1937 წელს, ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა საპატივცემულო მიღებაზე ბატონ ევგენის მიერ აღიარებული ახალგაზრდა ვარსკვლავი ცნობილ საოპერო არიას მღეროდა და სტალინისგან საჩუქრად ავტოგრაფიან ფოტოს იღებდა... სწორედ ამ წუთებში მისი სცენური ნათლიის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა...**

მერი ნაკაშიძის ქალიშვილს უცნაური, მაგრამ ლამაზი სახელი ილტანა ჰქვია. ძველმა თეატრალებმა შეიძლება გაიხსენონ პერსონაჟი ცნობილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლიდან „ზაგმუკი“. მერის მეუღლე – ინჟინერი ვლადიმერ კობალაძე, რომელიც ხელოვნების და ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო, მეგობრობდა ახმეტელების ოჯახთან. სწორედ ამიტომ დაარქვა შვილს ილტანა. რეჟისორის მეუღლეს, მსახიობ თამარ წულუკიძეს ბავშვის მონათვლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ არ დასცალდა... ისინი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირნენ...

მერი ნაკაშიძე შემოქმედებითი ცხოვრება საკმაოდ ხანგრძლივი იყო. ურთიერთობდა შესანიშნავ მომღერლებთან, კომპოზიტორებთან, მწერლებთან. მერი ნაკაშიძის პარტნიორები იყვნენ ნიკო ქუმსიაშვილი, დავით ბადრიძე, დავით გამრეკელი, დავით ანდღულაძე. მოგვიანებით ზურაბ ანჯაფარიძესთან ერთადაც გამოდიოდა. სცენაზე მღეროდა სახელგანთქმული დირიჟორების – ევგენი მიქელაძის, პავერმანის, ოდისეი დიმიტრიადის, ჯემალ გოკიელის ხელმძღვანელობით. მან იმღერა კოლორატურული სოპრანოს თითქმის ყველა ცნობილი პარტია. თანამედროვენი ხმასთან ერთად მის სცენურ ნიჭსაც აფასებდნენ.

პროფესიონალები გამოარჩევენ მერი ნაკაშიძის ხმის არაჩვეულებრივ ტემბრს. ცნობილი მომღერალი და პედაგოგი ნოდარ ანდღულაძე ბრძანებს: **„მისი ტემბრი ძნელი აღსანიშნავია ერთმნიშვნელოვანი სიტყვით. იმდენად მდიდარი იყო მისი ელფერი, იმდენად მრავალფეროვანი იყო მისი პალიტრა, რომ იძულებულები ვართ ფერწერას შევადაროთ. ის იყო ერთდროულად მდიდარიც, რბილიც, კაშკაშაც. ის იყო მყარიც და არაჩვეულებრივად მთრთოლვარეც. გასაოცარი იყო მისი დიაპაზონი. მერი ნაკაშიძის სიმღერაში გმირის განცდების გარდა თითქოს ცაში აჭრილი ტოროლას გალობა ისმოდა“...**

არ არის გასაკვირი, რომ სხვებიც, რომლებიც ეპითეტებს ეძებდნენ მომღერალი ქალის ოსტატობის დასახასიათებლად, ასევე ადარებდნენ ხან ბულბულს, ხან იადონს. ამით ყველა ცდილობდა აღენიშნა მისი სიმღერის ბუნებრიობა. მერი ნაკაშიძის შემოქმედების ერთ-ერთი თაყვანისმცემელი მსახიობი პიერ კობახიძე წერდა:

**„სარაჯიშვილის ნანატრო მარო,
ციცინათელავ ჩვენი ცხოვრების,
ბულბულო, ვარდის ეშხით
დამწვარო,
სამშობლოს მუდამ ემახსოვრები...“**

გარდა საოპერო სცენისა, მერი ნაკაშიძე ბრწყინავდა კონცერტებზეც, სადაც ბრწყინვალე შესრულებასთან ერთად მაყურებელს აოცებდა არაჩვეულებრივად ეფექტური ჩაცმულობით – კრინოლინიანი ქვედაბოლოთი, საკმაოდ ღრმა დეკოლტეთი, ნაირგვარი შარფებით. საბჭოთა ეპოქის გარკვეულ ეტაპზე ესეც ძალზე დიდ ნოვაციად ითვლებოდა. მისი სცენაზე გამოსვლა გარკვეულ ეფექტს ახდენდა მანამდეც, ვიდრე მომღერალი ხმას ამოიღებდა. საინტერესო იყო მერი ნაკაშიძის შემოქმედებითი შეჯიბრი 50-იანი წლების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მომღერალთან, იტალიიდან ახლადდაბრუნებულ გოჰარ გასპარიანთან.

მერის ხმა უკვდავყოფილია ქართულ კინოფილმებში. მისი კინოროლები არ არის ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ კადრს მიღმა შესრულებული ვოკალური პარტიები ფილმების აღქმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მერი ნაკაშიძის წვლილი ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებში „ქეთო და კოტე“. ქეთოს როლი თავდაპირველად მასვე უნდა ეთამაშა, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო ეს ვერ მოხერხდა, თუმცა მასაც მიუძღვის წვლილი, რომ როლი მშვენიერ მედეა ჯაფარიძეს ერგო. ფილმის რეჟისორს ვახტანგ ტაბლიაშვილს ეკუთვნის მერის სიმღერის სტილის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი დახასიათება – „არ ვიცი, რას შევადარო მისი ხმა. ვიცი, რომ არსებობს ჩვეულებრივი ზარი, არსებობდა ფაიფურის ზარები, მაგრამ არ ვიცი არსებობდა თუ არა ბროლის ზარები, მაგრამ რატომღაც ასე წარმომიდგენია, რომ ბროლის ზარივით რეკდა მისი ხმა. შეყვარებული ვიყავი მის ხმაში. მერის ხმა შევინახე ჩემს შემოქმედებაში, სამწუხაროდ, ოპერაში მასთან ვეღარ მომიხდა მუშაობა. სამაგიეროდ, იგი „მოვიტაცე“ ჩემს კინოფილმში „ქეთო და კოტე“ და ქეთოს პარტია მერის ჩავაწერინე“...

საოპერო არიების გარდა, მერი ნაკაშიძის მდიდარი რეპერტუარი შეიცავდა რომანსებსა და სიმღერებს. იგი ვალსების მეფის იოჰან შტრაუსის ნაწარმოებების შეუდარებელი შემსრულებელი იყო. განსაკუთრებით უყვარდა მსმენელს ვალსი „ცისფერი დუნაი“, აგრეთვე ალიაბიევის „ბულბული“, ბრუსილოვსკის რომანსი „ორი მერცხალი“, ანუ ის სიმღერები, რომლებიც მომღერლის ხმის უმდიდრესი შესაძლებლობების გამომჟღავნების საშუალებას იძლეოდა. „ორ მერცხალს“ პოეტმა სოსო გრიშაშვილმა ლექსიც უძღვნა:

**„მერცხალმა თქვა: „ეს ვინ არის,
საკრმელთან რომ მღერის?“
აჭიკჭიკდა, შეეჯიბრა
ნაკაშიძე მერის.
მაგრამ იგრძნო, რომ მერივით
ვერ იტყოდა სათქმელს,
დაირცხვინა, დაიკვნესა
და მოშორდა საკმელს...“**

გრიშაშვილმა 1946 წელს გამოცემული ლექსების კრებული უძღვნა მომღერალს, წარწერით „მერი ნაკაშიძეს – საქართველოს ბულბულს“.

მერი ნაკაშიძის გარეგნობა, სცენური სახე ფუნჯის ოსტატთა ყურადღებას იქცევდა. 1942 წელს იგი დახატა კორნელი სანაძემ. სადა პორტრეტი განსხვავდება კორნელის სხვა, მსახიობებისადმი მიძღვნილი საპარადო პორტრეტებისგან. უფრო ახლოა მსახიობის ხასიათთან ჟანი მეძმარიაშვილის ტილო – ეფექტურ საკონცერტო კაბაში, თმაში ჩაწნული წითელი ყვავილით, ჰაეროვანი შარფით დამშვენებული მომღერალი სცენაზე გასვლის წინ ან სცენიდან დაბრუნებისას არის გამოსახული. იგი კვლავ ოვაციების შთაბეჭდილებებითაა აღსავსე, მისი პოზა, გამომეტყველება საოპერო პრიმადონის ხასიათს სრულად გამოსახავს. ასეთივე ხასიათისაა ფერმწერ გივი მაისურაძის პორტრეტიც. ეფექტურია აგრეთვე სომეხი მხატვრის ს. კამილიანის რამდენადმე იდეალიზირებული პორტრეტიც.



გრაფიკოსმა არკადი ლურიემ თავის კომპოზიციაში მერი გამოსახა უშუალოდ საკონცერტო შესრულებისას დირიჟორ პავერმანთან ერთად. სურათზე ყველაფერია, რაც ასე უყვარდა მერის – აღფრთოვანებული მაყურებელი, გაჩირაღდნებული, ბრწყინვალე დარბაზი, ღვთაებრივი მუსიკა და შემოქმედება...

მისი ქალიშვილის ილტანას ოჯახის წევრთა უმრავლესობა ხელოვნებასთანაა დაკავშირებული. თავად მუსიკოსია, მეუღლე გურამ კალანდაძე – ცნობილი არქიტექტორი. მუსიკას დაუკავშირეს ბედი შვილიშვილებმა ლანიმ (ეს სახელი ბებიამ დაარქვა) და ცისიამ (ეს სახელი გოგლა ლეონიძემ შეურჩია).

დიდ იმედებს ამყარებენ პატარა მერიზე, რომელიც, როგორც ამბობენ, მუსიკალური ნიჭით დიდ ბებიას დაემსგავსა.

სამწუხაროა, რომ შემორჩენილი დოკუმენტური მასალა, ჩანაწერები მხოლოდ ფერმკრთალი ანარეკლია იმ შესანიშნავი მომღერლის შემოქმედებისა, ხალხმა საქართველოს ბულბული რომ უწოდა. გაცილებით შთამბეჭდავია ეს სახე იმ თაობის მოგონებებში, ვისაც ხვდა ბედნიერება მისი სცენაზე ხილვისა...

**ნინო ზაალიშვილი.**

## ისევ წავიკითხოთ კლასიკოსები...

**კლასიკა – ლათ. classicus – სანიმუშო**

„ხშირად კარგავენ დროს უსარგებლო ამბების კითხვაში, კაცმა მხოლოდ ის უნდა წაიკითხოს, რაც აღტაცების ღირსია“.

**უილიამ შექსპირი.**

„ყველა კარგი წიგნის კითხვა გასული საუკუნეების ყველაზე წესიერ ხალხთან – მათ ავტორებთან საუბარს ჰგავს“.

**დეკარტი.**

„არ არსებობს გონების გამაცოცხლებელი უკეთესი საშუალება, ვიდრე ძველი კლასიკოსების კითხვაა. საკმარისია ხელში აიღო რომელიმე მათგანი, თუნდაც ნახევარი საათი იკითხო, – და მაშინვე თავს იგრძნობ განახლებულად, განწმენდილად, ამაღლებულად... თითქოს სხეული სუფთა წყაროში ყოფნით გამოგიცოცხლდა...“

**არტურ შოპენჰაუერი**

„...ან ფლეგმაა ჩვენი დამღუპველი, ანდა დილეტანტობა. ორივეს სიუხვეა საქართველოში. უმთავრესად კი უკანასკნელის. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა უცოდინარია. ჩვენი „ინტელიგენცია“ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით არის ნაკვები... მძიმე აზრს ვერ ერევიან უღონონი... ევროპაში წუხან იმაზე, რომ ჟურნალისტიკამ გადაიბირა მკითხველი და გადააჩვია სერიოზული წიგნების კითხვას. ჩვენ თითქოს ამგვარი წუხილი არ გვჭირდება. ჩვენში გაზეთმა და ჟურნალმა გაუწია საზოგადოებას წიგნობა...“

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

„შეიძლება ბედმა გაგვიღიმოს და დიდ პოეტს მოვკრათ თვალი, მისი ხმა გავიგონოთ ან რაიმე ვკითხოთ მეცნიერს, რომელიც თავაზიანად გვიპასუხებს, ან ცხოვრებაში ერთხელ მაინც შემოგვხედოს დედოფალმა და მაინც, ამ წამიერ შემთხვევებს შევნატრით, წლებს შევალევთ... გრძნობებს და უნარს ვახმართ კიდევ უფრო უმნიშვნელო რამეს, არადა, ამასობაში არის საზოგადოება, რომელსაც მუდამ ღია აქვს კარი ჩვენთვის, ადამიანები, რომლებიც, რამდენ ხანსაც გვინდა, იმდენ ხანს გვესაუბრებიან, ვინც არ უნდა ვიყოთ, რანგის მიუხედავად, საზოგადოება – იმდენად დინჯი და მომთმენი, რომ შეგვიძლია მთელი დღე ვალოდინოთ; საზოგადოება, რომელსაც მეფეები და საზოგადო მოღვაწენი მოთმინებით ელიან... ჩვენ კი არასდროს ვეძებთ სადა შესასვლელებში, სადაც ორივე მხარეს წიგნის თაროები ჩამწკრივებულა, არასოდეს ვუსმენთ, რომ გავიგოთ, რისი თქმა უნდათ ჩვენთვის...“

**რესკინი – „მეფეთა საუნჯე“**

„კარგი წიგნების ერთ-ერთი გასაოცარი თვისება სწორედ ისაა, რომ ავტორისთვის მას შეიძლება „დასკვნები“ ერქვას, მკითხველისთვის კი „ბიძგი“... მშვენივრად ვგრძნობთ, რომ ჩვენი სიბრძნე იწყება იქ, სადაც მთავრდება ავტორის სიბრძნე და გვინდა, ავტორმა გვიპასუხოს კითხვებზე, არადა, მას მხოლოდ სურვილების აღძვრა შეუძლია... გონების თვალით უცნაური და, სხვათა შორის, განგებით განსაზღვრული კანონით... რომელიც ალბათ იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტებას ვერავინ გვიბოძებს და რომ ის თავად უნდა შევქმნათ...“



**მარსელ პრუსტი.**

ჩვენი პუბლიკაცია

# „ერეკლე II – ტრაგიკული ფიგურა ჩვენს ისტორიაში“...

(მეხუთე გვერდიდან)

**თუ მახსოვრობა არ მღალატობს, ერთი მისი თანამედროვე გადმოგვცემს: მასზე ისეთი ძლიერი გავლენა იქონია შეთქმულთა დასჯის სცენის დანახვამ ფანჯრიდან, რომ შემდეგ კარგა ხანს თავის კანტური დასჩემდაო.**

**ცხოვრებაში განცდილი ტრაგიკული კონფლიქტების მიუხედავად ერეკლე მთლიან, თითქოს ერთი ზოდიდან გამოკვეთილ პიროვნებად დარჩა სიცოცხლის ბოლო წუთებამდე. ქართლ-კახეთის სამეფოს მძიმე ტვირთმა ის ოდნავ მხრებში მოხარა, მაგრამ ვერ გასტეხა. მან გასაოცარი ახალგაზრდული ენერგია და გამძლეობა შეინარჩუნა სიბერემდე, რასაც მისი სიკვდილის წინ დაწერილი წერილებიც მოწმობენ. ერეკლე მეორის შვილიშვილი თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც მის სიკვდილს დაესწრო თელავის სასახლეში, სხვათა შორის, ამბობს: როდესაც სულთმობრძავი ერეკლე მეფე რამდენიმე წუთით გონს მოვიდა, მსახურებს უბრძანა, მხრებში შემიდექით და გარეთ გამიყვანეთო, ვინაიდან მას ვაჟკაცობისთვის შეუფერებლად მიაჩნდა ბუნებრივი მოთხოვნილება საწოლ ოთახში დაეკმაყოფილებინა.**

**შეიძლებოდა თუ არა ერეკლე მეფეს შუა ასაკში ისეთი დატანჯული და ნაოჭებით დაფარული სახე ჰქონოდა, როგორც თქვენ გაქვთ მისი როლის შესრულების დროს? მე მგონია, არა! შეიძლებოდა თუ არა ბესიკის დაკითხვის დროს მას ასეთი სენტიმენტალობა გამოეჩინა, რომ მისთვის: „ჩემო ხუჭუჭა ბიჭო“ ეწოდებინა? არავითარ შემთხვევაში! (უნდა ითქვას, რომ აქ მეტი ბრალი ავტორს და რეჟისორს ედება, ვიდრე თქვენ). საერთოდ, მე მგონია, რომ მესამე მოქმედების იმ სცენებში, სადაც ერეკლე ჯერ პაატა ბატონიშვილს ხვდება, ხოლო შემდეგ ბესიკს, თქვენ ცოტა არ იყოს, ღალატობთ სწორად აღებულ ტრაგიკული მონუმენტალობის სტილს და შესრულებაში ზომაზე მეტი ნერვიულობა, სიცხარე და მგრძნობიარობა შეგაქვთ. თუ თავისი ქარიშხალიანი და ტრაგიკული კონ-**



**ფლიქტებით აღსავსე ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერეკლე მეფე თავისი გრძნობების გამოვლინებაში დიდად თავდაჭერილი არ ყოფილიყო, იმდენ ბრძოლას ვერ გადაიხდიდა და ვერ მოიგებდა და ამდენი მტრის შემოსევას ვერ უკუაქცევდა, ამიტომ თქვენს შესრულებაში, ჩემი აზრით, ყოველთვის უნდა იგრძნობოდეს, რომ ერეკლე მეფე იყო ადამიანი, რომელიც უფრო ხშირად უნაგირზე იჯდა, ვიდრე ტახტზე და უფრო ხშირად რკინის ჯავშანს ატარებდა, ვიდრე რბილი სიასამურის თუ ყარაყუმის მანტიას.**

**იმედი მაქვს, რომ ამ უპრეტენზიო და ნაჩქარევად დაწერილ შენიშვნებს მიიღებთ, როგორც თქვენი დრამატიული ნიჭის, არტისტული გემოვნებისა და კეთილსინდისიერების პატივისმცემლის სიტყვებს და არ მიწყენთ, თუ ისინი უსამართლოდ და უადგილოთ გეჩვენებიან.**

**დიდად გმადლობთ იმ კარგი წუთებისათვის, რომელიც გუშინდელმა წარმოდგენამ და თქვენმა შესრულებამ განმაცდევინა.**

**თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი –**



**05.03. 1942.**

**(პუბლიკაცია მოამზადა მიხეილ გიქიძერელმა).**

**ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მზეხა მახარაძე, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.**



# ყველაფერი ყველაფერზე

## მკვლელი კომეტები

**ადამიანებს ჯერ ეშინოდათ კომეტებისა, შემდეგ აღტაცებას ეძლეოდნენ იმათი გამოჩენისას, ბოლოს კი ისევ შიშში ვარდებიან ამ დაუპატიჟებელი სტუმრების მიზეზით. მართალია, დედამიწას ასტეროიდებიც უახლოვდებიან, თანაც მომქროლავ კომეტებთან შედარებით ასჯერ მეტი ოდენობით, მაინც ეს უკანასკნელნი უფრო სახიფათონი არიან.**

საქმე ის გახლავთ, რომ კომეტები ასტეროიდებზე რამდენჯერმე უფრო სწრაფად მოფრინავენ, ამიტომ დედამიწასთან მათი შეჯახება ათჯერ მეტ ენერგიას გამოჰყოფს, ვიდრე იმავე მასის ასტეროიდისა. შემდეგი გარემოებაც ანგარიშგასაწევია: „სახიფათო“ ასტეროიდის გამოაშკარავება, რაღაც დაცვითი ზომების მისაღებად, შეიძლება დაჯახებამდე რამდენიმე წლით ადრე; ყოველი „ახალი“ კომეტის შემჩნევა კი საშიშ მოახლოებამდე 9 თვეზე ადრე არ ხერხდება. სათუოა, რომ ეს ვადა საკმარისი იყოს ეფექტიანი წინაღგომის განსახორციელებლად.



დაცვითი ზომების რიცხვში ამჟამად განიხილება: მომცრო ბირთვული მუხტის აფეთქება კომეტის გვერდით, მისი ორბიტის შესაცვლელად; კომეტაზე მზის იალქნის დაყენება, ისევ და ისევ ორბიტის შესაცვლელად; ან კომეტის ერთი ნაწილის შეღებვა თეთრად — თეთრი ფერი აირეკლავს მზის სინათლეს, რამაც აგრეთვე უნდა შეცვალოს ორბიტა. ეგეც კია, საამისოდ კომეტის დაწევა უნდა შეძლო. მაგალითად, ცნობილი ჰალეის კომეტა, რომელმაც ჩვენი „მხარე“ 1880-იან წლებში მოინახულა, წამში 75 კილომეტრის სიჩქარით მოფრინავდა.

ბირთვული მუხტით კომეტის აფეთქებას რაც შეეხება, ამას რა მოჰყვება, კიდევ საკითხავია და განუჭვრეტი...

## კვლავ ერთად

**1994 წელს ეკრანებზე გამოვიდა კვენტინ ტარანტინოს ფილმი „კრიმინალური საკითხავი“, სადაც ერთად თამაშობდნენ ჯონ ტრავოლტა და უმა თურმანი. მას აქეთ ისინი აღარ შეხვედრიან. მსახიობი ქალი ტარანტინოს კიდევ ერთ სურათში გამოჩნდა — ეს იყო დილოგია „ბილის მოკვლა“.**




ამჯერად ჰოლივუდელი ორი ვარსკვლავის გზები ისევ გადაიკვეთა. თურმანსა და ტრავოლტას გადაიღებენ ფილმში „გახდი მაგარი“. ორივემ განაცხადა, რომ უხარიათ ისევ ერთად თამაში. „ჯონი და მე როცა პირველად შევხვდით ერთმანეთს, სუსხიანი ახალგაზრდა გოგო ვიყავი, — უთხრა თურმანმა ჟურნალისტებს, — და ვერც წარმოვიდგენდი, რომ უმალვე შევეწყობოდით“.

ერთ-ერთი ძირითადი სიუჟეტური ხაზი „კრიმინალურ საკითხავში“ ნარკოტიკებია, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი — მიას მიერ დიდი დოზის მიღება (მას თურმანი თამაშობს) და ადრენალინის ნემსი, რომელსაც მიას უკეთებს ვინსენტი (ტრავოლტას შესრულებით). სურათში „გახდი მაგარი“ კი მათი ახალი პერსონაჟები წესიერი მოქალაქეები იქნებიან. ფილმი სიქველია ლენტისა „მომგვარეთ ჯუჯა“, რომელშიც ჯონ ტრავოლტა გადაღებული იყო დენი დე ვიტოსთან ერთად.

## პავაროტის ქირურგები შეაჩერებს



**სახელგანთქმულმა იტალიელმა ტენორმა ნიუ-იორკში ქირურგიული ოპერაცია გადაიტანა ორი კისრის მალის მდებარეობის გასასწორებლად. მომღერალი მანჰეტენის ჰოსპიტალში დააწვინეს, სადაც წარმატებით გაუკეთეს კიდევაც ოპერაცია.**

ინფორმაცია ამის შესახებ მასმედიაში მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა ლუჩანო პავაროტი საავადმყოფოდან გამოეწერა. მიუხედავად გადატანილისა, მას განზრახული აქვს გამოსათხოვარი ტურნეს გაგრძელება, რომლის შემდეგი ეტაპები იქნება იოჰანესბურგი, დუბაი, კიევი, როტერდამი და პრაღა.

12 ოქტომბერს მომღერალს 70 წელი უსრულდება. ბოლოს მან 2004 წლის მარტში იმღერა საოპერო სცენაზე და განაცხადა, რომ იუბილეს შემდეგ საერთოდ გამოეთხოვება სიმღერას.

# მისი შემოქმედება ტოტალურია

## ზურაბ წერეთლის გამოფენა სანკტ-პეტერბურგში

**ჩრდილოეთის დედაქალაქის მანეჟში გაიხსნა გამოჩენილი ხელოვანის ნამუშევართა გამოფენა — პირველი მისი დიდი პერსონალური გამოფენა ნევაზე მდებარე ქალაქში. ზურაბ წერეთელმა მისთვის ჩვეული სიუხვითა და გაქანებით წარადგინა მომთხოვნ და მკაცრ პეტერბურგელთა სამსჯავროზე თავისი შემოქმედება, უფრო სწორად კი, საკუთარი თავი: შემოქმედების დაუოკებელი სტიქია, ექსპერიმენტატორობის ჟინი, ლტოლვა გამომსახველობითი ხელოვნების ყველა ფორმასა და სახეში განუწყვეტელი, დაუცხრომელი შექმნისაკენ — სკულპტურა იქნება, ფერწერა, გრაფიკა თუ გამოყენებითი სფერო.**

მონუმენტური ძეგლები, რელიეფები და დიდი ბრინჯაოს სკულპტურები, ხასიათით ახლონი მისსავე წვრილ პლასტიკასთან; დაზგური ფერწერა ზეთითა და აკვარელით და მოზაიკა, მონუმენტური ნამუშევრები; მინანქარი და ფერადი აბრეშუმოგრაფია; ყალმით შესრულებული ნახატები, შავი აბრეშუმოგრაფიის ტექნიკაში გადაყვანილნი... მგონი, არ არის ისეთი ტექნიკა, რომელსაც ყურადღება არ მიაგო წერეთელმა, არ დაეუფლა მაღალი კლასის პროფესიონალის ოსტატობით, რომლისგანაც არ ეცადა შესაძლებლობათა მაქსიმუმის ამოღებას. ბრინჯაოში ჩამოსხმა, მინანქრის მოულოდნელი, უჩვეულო ფორმები — თვით მინანქრულ რელიეფებამდე, ბეჭდვური ტექნიკა... ხელოვანი დაუღალავად სინჯავს, იგონებს, სიცოცხლეს უბრუნებს და ამდიდრებს დაკარგულ მივიწყებულ ტექნიკას.



ასევე ფართოა წერეთლის თემების, ინტერესების, მიდრეკილებების დიაპაზონი — ის მთლიანად, მისი ნატურისათვის დამახასიათებელი გატაცებით ეძლევა პორტრეტზე, ნატურმორტზე, ურიცხვ თაიგულზე, საყვარელი საქართველოს პეიზაჟებზე, მშობლიური ძველი თბილისის სახეებზე, ისტორიულ ციკლებსა და ბიბლიისადმი, წმინდა ისტორიისადმი მიძღვნილ ციკლებზე მუშაობას; ქმნის ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა ბრინჯაოს რელიეფური პორტრეტების გალერეასა და ყველა შესაძლო პროფესიის ადამიანთა მწვავე, გროტესკისელემენტებიან ტიპებს; ეხმაურება მსოფლიო მოვლენებს, გულგრილი არ რჩება არაფრისადმი, რაც აღელვებს, აზანზარებს თანამედროვე სამყაროს.

ყოველ ნამუშევარში ხელოვანი ყველაფერს დებს — თავის ტემპერამენტს, უსაზღვრო ენერგიას, თავის ჭეშმარიტად სამანდაუდებელ, დაუმცხრალ წყურვილს შემოქმედებისა; მერე კი, განსაცვიფრებელი სისწრაფით შექმნილი ახალი ნაწარმოები უმალვე მიაქვს და ჩუქნის ადამიანებს, ქალაქს, ქვეყანას. მიცემის, გაყოფის, გაჩუქების მოთხოვნილება წერეთლის, ადამიანისა და ხელოვანის ერთობ დამახასიათებელი თვისებაა.

... მანეჟის შესასვლელთან, გამოფენის მეწინავედ წამომართულა პეტრე დიდი — მკაცრ აკადემიურ ტრადიციებში გაკეთებული მონუმენტური ძეგლი, რომლითაც იმპერატორი ხორცშესხმულია, როგორც თავისი ქალაქის შემქმნელი და მფარველი; ეს გახლავთ პეტერბურგისადმი ხელოვანის უდიდესი პატივისცემისა და მადლიერების გამოხატულება.

პეტერბურგელთათვის კიდევ ერთი ძვირფასი სახე — იოსებ ბროდსკი — გამოფენის პირველ დარბაზშია წარმოდგენილი. პოეტის ასევე ტრადიციულად რეალისტური ძეგლი გეგონება, საუცხოო პორტრეტული თავითა და ტანისამოსში ნობელის პრემიის ლაურეატის მანტიის სიმბოლური შეთავსებით — ხეტყის ჭრაზე გადასახლებულის დაბამბულ ჯუბასა და ჩექმებთან... მსგავსი შეთავსებანი, უცნაურნი, თვითნებურნი — და ორგანულნი, ბუნებრივნი თავის პირობით თეატრალობაში, მხატვრული ფანტაზიის თავისუფალი თამაშით შობილნი, ნიშანდობლივია წერეთლისათვის, რომლის შემოქმედება ღრმად თეატრალურია თავისი ბუნებით.

„მეეზოვე“, „ფოტოგრაფი“, აქვე „ლუჟკოვი მეეზოვის სახით“ — ზოგიერთია წერეთლის თეატრის „მსახიობთა“ სიმრავლიდან, ნატურალური სიდიდის ბრინჯაოს ფიგურებია, იუმორით გამსჭვალულები, ზოგჯერ თითქმის კარიკატურულები და ყოველთვის ადამიანურები, ჩვენი სასტიკი დროისათვის იშვიათი სიკეთით შესრულებულები. ადამიანურობა და სიკეთე ჩვეულია წერეთლის მთელი შემოქმედებისათვის. როგორი პირობითი, განზოგადებული, უტრირებულიც არ უნდა წარმოდგნენ ადამიანები მის თვალწარმტაც პორტრეტებში, ქანდაკებებში, ტიპაჟთა გრაფიკულ მონახაზებში, მათში არასოდეს არ არის მხატვრის ქედმაღლური უგულებელყოფის ელფერი — ადამიანებისა, როგორც მარიონეტებისა, რაც ასე ნიშანდობლივია XX საუკუნის ბევრი ოსტატისათვის, წერეთელი საკუთარი ნიჭითა და ფანტაზიით შექმნილ სამყაროში, თავისიანია თავისიანთა შორის, თანასწორია თანასწორთა შორის, გინდა მისი თანატოლები იყვნენ (პოეტები და მსახიობები, მეგობრები და სტუმრები ბარაქიან ქართულ სუფრასთან), გინდა ესპანელი ტორერო ან იერუსალიმის ტიპები, ან „ძლიერნი ამა სოფლისა“ — მოსკოვის მერი, პრეზიდენტი ძიუდოისტის სპორტულ სამოსში...

ზურაბ წერეთელი ხელოვნებაში პიროვნების უბრწყინვალესი მაგალითია, განუმეორებელი ინდივიდუალობისა, „თვითგამოხატვის“ განბორკილი თავისუფლებისა, ვინმესა და რამის მიუხედავად, გარედან თავს მოხვეული. როცა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, მისი მეთაურობით მყოფ რუსეთის სამხატვრო აკადემიის კალთის ქვეშ, პატივისცემით იწვევს ყველა მიმართულების მხატვრებს, როცა გულისხმიერებით ეკიდება ხელოვნებაში ყველა ძიებას, ცდას თუ ექსპერიმენტს, თუნდაც პირადად მისგან დიდად დაშორებულთ, ხელოვანს უფლება აქვს, რომ ელოდეს: თვით მას, აგრეთვე ხელოვნებაში თანამოღვაწეებსა და თანამოაზრეებს ასეთივე პატივისცემით მოეპყრობიან, მოეპყრობიან როგორც ნათელ გვერდს თანამედროვე რუსული და, არ მეშინია თქმა, მსოფლიო ხელოვნებისა. ზურაბ წერეთელი ისეთია, როგორიც არის — სტუმართმოყვრული გულუხვობით გაგიღებთ კარს თავის სამყაროში, მიგიხმობთ თავის თეატრში, დაგსვამთ თავის დოვლათიან სუფრასთან, რომელსაც დასტრიალებს გულითადი სევდიანობით სულში ჩამწვდომი, ქართული მრავალხმიანი სიმღერის ხმები...

**მარია ჩეგოდაევა.**
**„Культура“**

# ქრონოგრაფი

## 11 აპრილი, 1812 წელი



**ინგლისელმა ლუდიტებმა — ხელსაწყო-დანადგართა მნგრეველებმა (სახელწოდება წარმოსდგება ცნობილი ხელსაწყოთშემქმნელ-ინჟინერ ნედ ლუდის სახელისგან, რომელმაც თავისავე გამოგონილი დანადგარი გაანადგურა) დაარბიეს მექანიკური საქსოვი მანქანის შემქმნელი ედმუნდ კარტრაიტის კერძო საქსოვი ფაბრიკა, რადგან იგი უმუშევრად ტოვებდა თავისი გამოგონების „წყალობით“ ათასობით მუშას. ეს ვანდალური აქტი პირველი შემთხვევა არ იყო ინდუსტრიული ინგლისის ისტორიაში. აღშფოთებულმა ხელისუფლებამ პარლამენტში სასწრაფოდ მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ მათ მიმართ, ვინც შემდგომში ამგვარ ამბოხებას გამოიწვევდა. პარლამენტის დადგენილებას პროტესტი გამოუცხადა ცნობილმა პოეტმა და ინგლისის ლორდთა პალატის წევრმა სერ ჯორჯ გორდონ ბაირონმა. მისი თქმით, „ხელისუფლებას მუშათა სიცოცხლე უფრო ნაკლებღირებულად მიაჩნია, ვიდრე საქსოვი დაზგებიო“.**

## 12 აპრილი, 1796 წელი



**საფრანგეთის არმიის 27 წლის დივიზიის გენერალმა, შემდგომში ლეგენდარულმა ნაპოლეონ ბონაპარტემ მონტენოტის ბრძოლაში თავისი პირველი სერიოზული გამარჯვება მოიპოვა. 1792-1797 წლების „იტალიურ კამპანიაში“ საფრანგეთი ევროპელ მმართველთა პირველ კოალიციას ებრძოდა. ნაპოლეონს თავისი 42-ათასიანი არმიით „მეორეხარისხოვანი“ დავალება ჰქონდა — დაეკავებინა ჩრდილოეთ იტალია და შებრძოლებოდა კოალიციის წევრს ავსტრიას. მაგრამ მონტენოტის ბრძოლამ საფრანგეთს სახელი და დიდება მოუტანა. ნაპოლეონმა იტალიელებთან ერთად კოალიციის ჯარებიც დაამარცხა.**

## 13 აპრილი, 1995 წელი



**მდინარე დორაზე პორტუგალიის მთავრობის მიერ გადაწყვეტილი ჯებირის აგების წინააღმდეგ ათასობით სტუდენტი გამოვიდა. ყველაზე მძლავრი და ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები მოეწყო ქვეყნის დედაქალაქ ლისაბონში, ქალაქ კოიმბრასა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. გაფიცულთა აზრით, დამბა — ჯებირის აგება ქვეყნის ამ რეგიონს უდიდეს მოგებას მოუტანდა, სამაგიეროდ, წყალქვეშ აღმოჩნდებოდა იბერიის ნახევარკუნძულზე არსებული ვილა-ნოვა-დე-ფოშ-კოას ლეგენდარული, მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური, პალეოლითის ეპოქის კლდის საუკეთესო მხატვრობა. „25 საუკუნის წინანდელი კულტურა ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ჯებირის გაკეთების შემდეგ მორწყული მინდვრები და მდინარის სანაპიროზე მოყვანილი უხვი მოსავალი“, — განაცხადეს ახალგაზრდებმა.**

## 14 აპრილი, XIII საუკუნე



**წმიდა იოანე შავთელისა და ევლოგი წინასწარმეტყველის ხსენების დღე, რომელიც XIII საუკუნიდან მომდინარეობს. ღირსი იოანე XII-XIII საუკუნის საქართველოს გამოჩენილი პოეტი, რიტორი და ფილოსოფოსი გახლდათ. მან განათლება გელათის აკადემიაში მიიღო, შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა და მოღვაწეობდა ვარძიის მონასტერში. როდესაც ქართველთა სპა დავით სოსლანის ხელმძღვანელობით ბასიანში საბრძოლველად გაეშურა მეფეთ-მეფე თამარი ოძრხეში წავიდა სალოცავად. მას თან ახლდა ქართლის კათოლიკოსი თევდორე, ეპისკოპოსები, მონაზვნები და მათთან ერთად იოანე შავთელიც. აქ ერთი სასწაული მოხდა: ღვთისგან წინასწარმცნობელობის მადლით შერაცხული ევლოგი სალოსი წირვის დროს სამგზის დაეცა და ხალხს აუწყა ცნობა იმისა, რომ ქართველთა ლაშქარი მტერს დაამარცხებდა. ყველა მიხვდა, რომ მან ღვთისაგან გამოცხადება მიიღო. წმიდა ევლოგი, რომელიც ქრისტესთვის მოგონილ სისულელეში მალავდა თავის სულიერ ღვაწლს, კაცთაგან განდიდებას და მყის დაიმალა. წმიდა იოანე შავთელმა ქართველთა საბრძოლო გამარჯვების სამადლობლად დაწერა „გალობანი ვარძიის ღვთისმშობელისანი“, მასვე ეკუთვნის „აბდულმესიანი“. წმიდანები ღრმა სიბერეში აღესრულნენ.**

## 15 აპრილი, 1993 წელი




**შეიქმნა „ნავთობკომპანია ЮКОС“-ი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა 30 წლის ინჟინერ-ქიმიკოსი მიხეილ ხოდორკოვსკი. გასული საუკუნის 90-იან წლებში „ЮКОС“-ი გახდა რუსეთის ერთ-ერთი და მსოფლიოში უძლიერესი ნავთობკომპანია. თავად ხოდორკოვსკი მსოფლიოს უძლიერეს, უნიჭიერეს და უმდიდრეს ადამიანად აღიარეს, რომლის ქონებაც სულ რამდენიმე წელიწადში 15,2 მილიარდ დოლარად შეაფასეს. 2003 წლის ოქტომბერში კომპანიის ხელმძღვანელს მიხეილ ხოდორკოვსკის ბრალდება წაუყენეს ფინანსური მაქინაციების მოტივით და დააპატიმრეს. იგი დღესდღეობითაც პატიმრობაში იმყოფება.**

## 16 აპრილი, 2000 წელი



**ესპანურ კორიდაზე პირველად მიიღო მონაწილეობა რუსეთელმა რომან კარპუხინმა. პატარა ქალაქ ჩუგუევოს მკვიდრი კარპუხინი სამხედრო მფრინავი გახლავთ, თადარიგში გასვლის შემდეგ ესპანეთში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც სამეჯლისო ცეკვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. შემდეგ ტორეროობამ გაიტაცა და კატალონიის სკოლაში დაეუფლა ამ ურთულეს ხელოვნებას. ერთი წლის შემდეგ კორიდაზე წარსდგა მაყურებელთა წინაშე, მაგრამ არცთუ წარმატებულად, რადგან ხარი პირველივე ცდით ვერ დაამარცხა, როგორც ესპანური კორიდის კანონებით ითვლება. მიუხედავად ამისა, ესპანეთის პრესამ პირველ უცხოელ ტორეადორს გული არ გაუტეხა და იმით დააიმედა, რომ ამ რთულ პროფესიას დაუღალავი შრომის ერთი წელი არ ჰყოფნის. რომან კარპუხინი პირველი რუსეთელი და ერთ-ერთი უცხოელი ტორეადორია ესპანეთში.**

## 17 აპრილი, 1839 წელი

**ცენტრალური ამერიკის ფედერაციაში შემავალმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამის შედეგად ფედერაციის ერთ-ერთი პროვინცია გვატემალა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნეს.**

# „ნიუტონი“ მოგვითხრობს

**სათაურში გამოტანილი, ბრჭყალებში ჩასმული გენიალური სწავლულის გვარი იტალიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის სახელია. მისი ერთ-ერთი ნომრის პუბლიკაციამ, გარდა იმისა, რომ ფრიად აქტუალურ და საგულისხმო თემას აშუქებს, ცნობილი ქართველი მეცნიერის მოხსენიებითაც მიიპყრო ჩვენი ყურადღება. იგულისხმება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი თამაზ ჭელიძე (სხვათა შორის, ორგზის დოქტორი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა და ქიმიის მეცნიერებათა...)**

**ახლა კი ვნახოთ, რას წერს იტალიური ჟურნალი.**

## მიწისძვრების ქარხანა

**საქმე ეხება რუსულ სამხედრო მანქანა-დანადგარს, რომელიც დედამიწაში მძლავრ ელექტრულ იმპულსებს აგზავნის პატარა ხელოვნური მიწისძვრების აღსაძვრელად. სამომავლოდ ცდების მიზანია დამანგრეველი მიწისძვრების ზემოქმედების (თუ გნებავთ, „ქვემოქმედების“) შესუსტება დაგროვილი ენერგიის ნაწილ-ნაწილ გამონთავისუფლების გზით.**

ეს მანქანა-დანადგარი მეცნიერებას გადაეცა საჩუქრად. ასეთი „მიწისძვრების ქარხანა“ იძლევა ნიადაგის ზონდირებისა და დედამიწის ქერქში მძლავრი ელექტრომაგნიტური იმპულსების გაშვებით, ხელოვნური მიწისძვრების გამოწვევის შესაძლებლობას.

ვარაუდობენ, რომ სამერმისოდ ამ ხერხით შეასუსტებენ დიდი ამპლიტუდის მქონე რყევებს, არა ფართომასშტაბიანი მიწისძვრის, არამედ მრავალი მცირე მიმდევრობითი მიკრობიძგის მოსახდენად. პროექტი „ინტასმა“ დააფინანსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში „ემ-ქუეიკ“-ის სახელწოდებითაა ცნობილი (ემ-ქუეიკ — ელექტრომაგნიტური მიწისძვრები). მისი კოორდინატორი გახლდათ იტალიელი პროფესორი ვალერიო დე რუბეისი. კვლევაში ჩაბმული იყვნენ, აგრეთვე, პროფესორები ვლადიმერ ზეიგარნიკი (მოსკოვი, მაღალი ტემპერატურების გაერთიანებული ინსტიტუტი), გენადი სობოლევი (მოსკოვი, დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტი), პროფესორი თამაზ ჭელიძე (თბილისი, გეოფიზიკის ინსტიტუტი). მათთან ერთად მოღვაწეობდნენ საბერძნეთისა და ისრაელის წარმომადგენლები.




## ახალი სახეობის ენერგიის წყარო

**1970-იან წლებში, სამხედრო მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარების წყალობით, საბჭოთა კავშირში პირველად აამუშავეს მაგნიტოჰიდროდინამიკური (მჰდ) გენერატორი.** ეს იყო მობილური მანქანა, რომელსაც ელექტრობაში სითბოს პირდაპირ გადაყვანა შეუძლია, მექანიკურ ენერგიაში გარდაქმნის ფაზის გაუვლელად. დანადგარი ჩაფიქრებული იყო, როგორც ენერგიის წყარო ახალი ტიპის იარაღისათვის, მაგრამ შექმნიდან რამდენიმე წელიწადში, ზოგიერთი გეოფიზიკური თუ გეოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენეს, კერძოდ, გეოელექტრული მეთოდებით ძიების განსახორციელებლად და მიწისძვრების წყაროების შესასწავლად. სისტემა რაკეტების მსგავსი ორი დანადგარისაგან შედგება, რომლებიც ელექტროგამტარ გაზს (ეგრეთწოდებულ პლაზმას) აწარმოებენ. გაზი ვრცელდება მაგნიტურ ველში და მაგნიტებს შორის დიდი სისწრაფით გავლისას წარმოქმნის ინტენსიურ ელექტროდენს (ათასობით ამპერს).

## ელექტრობით წარმოქმნილი ბიძგები

**მჰდ გენერატორი სეისმოლოგიაში 1980-იან წლებში გამოიყენეს. მას მიუერთეს დედამიწის სიღრმეში 4 მეტრით ჩაშვებული, მცირე მანძილით დაშორებული ორი ელექტროდი. ამგვარად შეეცადნენ, ხელოვნურად, პატარა მიწისქვეშა ბიძგების გამოწვევას.**

დაკვირვებები ტარდებოდა ყირგიზეთის დედაქალაქის მახლობლად, ბიშკეკის პოლიგონის ტერიტორიაზე. „ამ პროექტით კმაყოფილი ვართ, — ამბობს დე რუბეისი, — შეგვიძლია ელექტრომაგნიტურ იმპულსებსა და სუსტ მიწისძვრებს შორის არსებული კორელაციის დამტკიცება“.

კვლევა-ძიებამ ეფექტურად გვიჩვენა, რომ გენერატორისაგან გამოცემულმა ელექტრომაგნიტურმა იმპულსებმა გამოიწვია ლოკალური მცირე მიწისძვრების რიცხვის საგრძნობი ზრდა, განსაკუთრებით გაშვების მე-2 და მე-6 დღეებს შორის ინტერვალში.

## ლაბორატორიული ცდები

**ამჟამინდელი ცდები, რომლებიც ლაბორატორიაში ეწყობა, კარგ შედეგებს იძლევა.** თამაზ ჭელიძე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემია) ხელმძღვანელობს მკვლევართა ჯგუფს, რომელიც ექსპერიმენტებს ქანების ნიმუშებზე ატარებს — ერთიმეორის მიმართ მათ წასანაცვლებლად, ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით. ცდების შედეგები იმ აკუსტიკური რხევების ჩანაწერებს წარმოადგენს, რომლებიც მიკროწანაცვლებებით აღიძრა. მოსკოვში გენადი სობოლევი ქართველთა ანალოგიურ ექსპერიმენტებს უძღვება.

## შევძლებთ თუ არა სტიქიასთან შებრძოლებას?

**„ცნობილია ადამიანის აქტიურობით გამოწვეული სეისმურობის შემთხვევები. ეს გვიკარნახებს, რომ „ერთ მშვენიერ დღეს შესაძლებელი გახდება სეისმურობის გაკონტროლება“,** — ამტკიცებს ვლადიმერ ზეიგარნიკი. სიღრმეში წყლის დაწნეხვა დედამიწის წიაღში რეგულირებად ძვრებს იწვევს. სეისმურ ზონებში ამგვარი ექსპერიმენტების მოწყობის შედეგად, ამერიკელი გეოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიწისქვეშა წყლები საპოხ ნივთიერებად შეიძლება გადაიქცეს გეოლოგიური რღვევისათვის, რაც იწვევს მიწისძვრას. რუსმა მკვლევარებმა სტატისტიკური მეთოდით დაადგინეს, თუ როგორ გაიზრდება ან შემცირდება ამა თუ იმ ზონის სეისმურობა ბირთვული აფეთქების შემდეგ.

დღეს მეცნიერები განაგრძობენ კვლევას და ყოველი მათგანის ოცნება ერთნაირია: ერთ მშვენიერ დღეს შეძლონ სტიქიასთან შებრძოლება, მცირე ბიძგების რეალურად გაკონტროლება, რომ დედამიწის ქერქი ცოტათი მაინც გაანთავისუფლონ ჭარბი ენერგიისაგან.

**ნახატზე: რა სიძლიერის რხევებს გამოიწვევს მიწისძვრა? ეს დამოკიდებულია დედამიწის ზედა ფენების სტრუქტურაზე. მარჯვენა ნაწილში ნაჩვენებია, როგორ ძლიერდება რხევები ნალექის ფენაში.**

საქართველოს რესპუბლიკა

№ 82-83. შაბათი. 9 აპრილი. 2005 წელი.



# ბიოლოგიური მრავალსახეობა ყოველ... 62 მილიონ წელიწადში მეორდება

**ბოლო 542 მილიონი წლის მანძილზე დედამიწაზე არსებულ განამარხებულ ცხოველთა კვალის ახალმა ფართომასშტაბიანმა და დეტალურმა ანალიზმა გამაოგნებელი შედეგი მოიტანა. როგორც ჩანს, ცოცხალი ორგანიზმების ბიომრავალსახეობა რაღაც იდუმალი გზებით მატულობს და კლებულობს ყოველ 62 მილიონ წელიწადში, რასაც მეცნიერებმა რაციონალური ახსნა ვერ მოუძებნეს. ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს ეროვნული ლაბორატორიის (ბერკლის ლაბორატორია) და ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა ანალიზმა საგულდაგულო შემოწმებები გაიარა, ამდენად, მიღებული შედეგების უტყუარობა 99 პროცენტს აღემატება.**

„ის, რასაც ჩვენ ვაკვირდებით, იმის რეალური და ნათელი მინიშნებაა, რომ სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე ციკლურად ვითარდება, თანაც თითოეული ციკლის ხანგრძლივობა 62 მილიონი წელია. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ ევოლუციის თანამედროვე თეორიას არ შეუძლია ამ ფენომენის ახსნა, – განაცხადა ფიზიკოსმა რიჩარდს მიულერმა, რომელიც ერთდროულად მუშაობს ბერკლის ლაბორატორიის ფიზიკის განყოფილებაში და ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. – ეს ნიშანი სრული სიცხადით ვლინდება ბიომრავალსახეობაში, თუმცა იგი თავს იჩენს როგორც სახეობათა წარმოშობაში, ასევე მათ გადაშენებაში“.

რ. მიულერმა და მისმა ასპირანტმა რობერტ როჰდმა თავიანთი გამოკვლევის შედეგები ჟურნალ „ნეიჩურის“ 2005 წლის 10 მარტის ნომერში გამოაქვეყნეს. ჟურნალის ამავე ნომერში აღნიშნული გამოკვლევის კომენტირებისას ბერკლიში კალიფორნიის უნივერსიტეტის დედამიწისა და პლანეტარულ მეცნიერებათა პროფესორმა ჯეიმს კირკნერმა განაცხადა: „ხშირად ამბობენ, რომ საუკეთესო მეცნიერული აღმოჩენები ისინი არიან, რომლებიც გაცილებით უფრო მეტ კითხვას წარმოშობენ, ვიდრე პასუხს იძლევიან და, სავსებით ცხადია, რომ ამჯერად საქმე გვაქვს სწორედ ასეთ შემთხვევასთან“.

რ. მიულერმა და რ. როჰდმა ნამარხი ბიომრავალსახეობის 62-მილიონწლიანი ციკლი მონაცემთა ამომწურავი ბაზის კომპიუტერული ვერსიის შექმნისას აღმოაჩინეს, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტის აწ გარდაცვლილმა პალეონტოლოგმა ჯეკ სეპკოსკიმ შეადგინა. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზა „განამარხებულ ზღვის ცხოველთა გვარების კომპენდიუმი“ ამჟამად არსებული ყველაზე სრული ცნობარია, რომელიც ბიომრავალსახეობის და გადაშენებისთვისაა განკუთვნილი. იგი მოიცავს ფანეროზოულ ერას, ანუ ბოლო ხუთას მილიონ წელს, რომლის მანძილზე მრავალუჯრედიანმა ორგანიზმებმა კლდეებზე მრავალრიცხოვანი განამარხებული კვალი დატოვეს; ცნობარის საფუძველს წარმოადგენს გვარები – ეს ის დონეა, რომელიც ტაქსონომიაში სახეობებზე მაღლა დგას – ვინაიდან მათი კლასიფიკაცია უფრო ადვილია და ამავე დროს, იგი მხოლოდ ნამარხ ზღვის ცხოველებს მოიცავს, ვინაიდან მათი ნაკვალევი ხმელეთის ცხოველის ნაკვალევზე უფრო დიდხანს და უკეთ ინახება.

თავიანთი გამოკვლევებისათვის რ. მიულერმა და რ. როჰდმა ნამარხი მრავალსახეობა განმარტეს **როგორც გამოკვეთილ გვართა ოდენობა, რომელიც ამა თუ იმ მოცემულ დროში ცხოვრობდა.** შედეგად მათ, საბოლოო ანგარიშით, მიიღეს 36380 გვარი, რომელთა ისტორიას კალიფორნიელმა მეცნიერებმა დროში გაადევნეს თვალი, რისთვისაც სტრატიგრაფიის საერთაშორისო კომისიის 2004 წლის დროის შკალა გამოიყენეს.

„ჩვენი დასკვნების გამოტანისთვის, დროის შკალის ქრონოლოგიურ ფორმატში მოთავსებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან სეპკოსკის მიერ გამოყენებულ დროის გეოლოგიურ შკალაზე კონკრეტული წლები მითითებული არ იყო, – განაცხადა რ. მიულერმა. – ჩვენ პირველებმა მოვახდინეთ მრავალსახეობის რეკონსტრუირება სეპკოსკის კომპენდიუმის ფინალური ვერსიის საფუძველზე და ასევე პირველებმა გამოვიყენეთ 2004 წლის ნიმუშის გეოქრონოლოგიური დროის შკალა. ჩვენი სამუშაო, გარკვეულწილად, დროის ახალი შკალის შემოწმებად იქცა“.

აღნიშნულ გამოკვლევას მეცნიერები ორი წლის განმავლობაში ატარებდნენ, ხოლო 62 მილიონი წლის ხანგრძლივობის ბიომრავალსახეობის ციკლი პირველად 2003 წლის ნოემბერში აღმოაჩინეს. მთელი 2004 წლის მანძილზე კი ისინი ცდილობდნენ ამ ფენომენის ახსნას, ან უარყოფას. კალიფორნიელმა გეოლოგებმა ციკლურობის 14 გეოფიზიკური და ასტრონომიული მიზეზი გააანალიზეს, მაგრამ მკაფიო განმარტების ჩამოყალიბება მაინც ვერ შეძლეს. რ. მიულერს ამის თაობაზე საკუთარი ჰიპოთეზა აქვს, რ. როჰდს კი – თავისი.

რ. მიულერი ფიქრობს, რომ 62-მილიონწლიანი ციკლის მიზეზია გარკვეული ასტროფიზიკური მექანიზმი. „იმის გამო, რომ მზის სისტემა პერიოდულად გადის მოლეკულურ ღრუბლებს, გალაქტიკურ „განშტოებებს“, ანდა ძლიერი გრავიტაციული ზეგავლენის მქონე რომელიმე სხვა სტრუქტურას, შესაძლოა, დედამიწამდე აღწევდნენ ოორტის ნისლეულიდან მოსული კომეტები, – განაცხადა მიულერმა. – თუმცა, აღსანიშნავია, რომ არ არსებობს არავითარი მონაცემები, რომლებიც თუნდაც სავარაუდოდ მიანიშნებდნენ მსგავსი სტრუქტურის არსებობას“.

რ. როჰდი კი უპირატესობას გეოფიზიკურ მექანიზმს ანიჭებს, რომლის გამოხატულება შესაძლოა დედამიწის ზედაპირთან მაგმის სვეტების ამოსვლით გამოწვეული მძლავრი მიწისძვრები იყოს. მაგმის სვეტები – ესაა დედამიწის გულიდან ამოსული ცხელი მასალის აპველინგები, რომლებიც, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პერიოდულად მეორდება.

„ჩემი ჰიპოთეზა, რომელიც ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, – აღნიშნა როჰდმა, – იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ 62 მილიონ წელიწადში დედამიწა მაგმის სვეტების სახით სითბური ენერგიის ნაკადს უშვებს და როცა ისინი ზედაპირს აღწევენ, მძლავრ ვულკანურ აქტივობას, რომელსაც, ცხადია, ცხოველთა გადაშენების გამოწვევა შეუძლია, მაგრამ ამჟამად არ არსებობს საკმარისი გეოლოგიური მონაცემები, რომლებიც ბაზალტების ამოფრქვევის, ანდა მაგმის სვეტების ამოსვლის თანაბარი პერიოდულობით გამეორებას მოწმობდნენ“.

მიღებული შედეგების გაანალიზებისას, რ. მიულერმა და რ. როჰდმა აღმოაჩინეს, რომ განამარხებული მრავალსახეობის ციკლი უფრო ცხადი ხდება მოკლე დროის მანძილზე არსებული გვარების (ანუ ისეთების, რომელმაც 45 მილიონ წელიწადზე ნაკლები იარსებეს) განხილვისას. მათ ასევე დაადგინეს, რომ, როგორც ჩანს, ზოგიერთ ორგანიზმს ციკლისადმი იმუნიტეტი აქვს, ხოლო ზოგიერთი კი მის მიმართ მგრძნობიარეა. მაგალითად, მარჯნები, ღრუბლები და ტრილობიტები ციკლს მისდევენ, ხოლო თევზები, კალმარები და ლოკოკინები – არა. ზოგადად კი, ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებული გვარები, რომლებიც მრავალფეროვნებითაც და გავრცელების ფართო არეალითაც გამოირჩევიან, 62 მილიონი წლის ხანგრძლივობის ციკლს უფრო წარმატებით უძლებენ.

გარდა ამისა, მეცნიერმა გეოლოგებმა ასევე აღმოაჩინეს მეორე, უფრო შენიღბული მრავალფეროვნების ციკლი, რომ ხანგრძლივობა 140 მილიონი წელია.

„140-მილიონწლიანი ციკლი ასევე ძლიერია, მაგრამ 542 მილიონი წლის მანძილზე ჩვენ დავადგინეთ მონაცემთა მერყეობის მხოლოდ ოთხი შემთხვევა, – განაცხადა რ. მიულერმა. – ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ციკლურობა შესაძლოა შემთხვევითი იყოს და არა რომელიმე გარეშე მექანიზმით გამოწვეული“.

თუკი ნამარხი მრავალსახეობის 140-მილიონწლიანი ციკლი მართლაც არსებობს, შესაძლოა იგი გამყინვარების პერიოდის ასევე 140-მილიონწლიან ციკლს მიებას. „არ არის გამორიცხული, რომ 140 მილიონი წლის ხანგრძლივობის ნამარხი მრავალსახეობის ციკლი დედამიწის მიერ გალაქტიკის განშტოებების გავლით იყოს გამოწვეული“, – აღნიშნა რ. როჰდმა.

მეცნიერები განაგრძობენ ორივე ციკლის შესახებ მონაცემთა შესწავლას და ცდილობენ მათ ახსნას.



**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ.**

# ჩინგის ხანის ახალგაზრდული წლები

**სერგეი ბოდროვის ჩანაფიქრი უახლოეს ხანში, შეიძლება რუსეთული კინოს ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ პროექტად განხორციელდეს. ჩანაფიქრი კი ჩინგის ხანის სიჭაბუკეს ეხება – იმ კაცის ისტორიას, რომელიც ლეგენდად, ნახევარი მსოფლიოს მპყრობელად იქცა. მაშინ, იმ სიჭაბუკეში, არავინ იცოდა, რომ თემუჟინი ყველა მონღოლის დიდი ხანი გახდებოდა.**

მომავალი ეთნიკური საგის დევიზად მონღოლური ანდაზაა არჩეული – „ნუ გეზიზღება სუსტი ნაშიერი, ეგებ ის ვეფხვის ძე აღმოჩნდეს“.

ფილმის ბიუჯეტი 10 მილიონ ევროს შეადგენს. გადაღებების სავარაუდო ადგილებია რუსეთი, ყაზახეთი, მონღოლეთი, ჩინეთი. პროდიუსერთა შორის ვხვდებით ერთ-ერთ წამყვან ჰონკონგელ ოსტატს ფილიპ ლის, მრავალ ჰოლივუდურ სურათსა თუ ტელეპროექტზე რომ მუშაობდა. სათვალავში შედის ფილმები „ფეხაკრეფით მიმავალი ვეფხვი, მიმალული დრაკონი“ („ოსკარის“ 4 პრემია), „გმირი“, „მადამ ბატერფლაი“, „80 დღე დედამიწის გარშემო“, „დრაკონი. ბრიუს ლის ისტორია“.

სცენარი უკვე ითარგმნა რამდენიმე ენაზე. სერგეი ბოდროვმა ის არიფ ალიევთან თანაავტორობით დაწერა (სხვათა შორის, ასევე ერთად მუშაობდნენ „კავკასიელ ტყვეზე“).

პროექტს მაღალმხატვრულად მიიჩნევენ და დიდი ინტერესით ეკიდებიან: დასავლეთში ხომ კარგა ხანია, რაც ჩინგის ხანის გარკვეული იმიჯი არსებობს, როგორც სისხლისმსმელი ტირანისა. „მონღოლის“ შემქმნელები კი იმის ჩვენებას ელტვიან, რაც მან სინამდვილეში გაუკეთა მსოფლიოს. ამას წინათ ისინი მონღოლეთიდან დაბრუნდნენ, სადაც კასტინგი მოაწყვეს და გადაღებებისათვის ნატურა შეარჩიეს. პროექტის ავტორებმა აღიარეს, რომ ყრმა თემუჟინის სახის გააზრებას მონღოლეთში არ ეთანხმებიან – იქ ხომ ბელადს ღმერთივით ეთაყვანებიან. ოდესღაც ლევ გუმილიოვი ოცნებობდა ჩინგისხანზე წიგნის დაწერაზე და ზოგიერთ მის მიგნებას იყენებს კიდევაც გადამღები ჯგუფი.



ფილიპ ლი თავიდან ცდილობდა რუსეთელი პარტნიორების დარწმუნებას – ფილმის გადაღება ინგლისურ ენაზეა საჭიროო. სერგეი ბოდროვმა მოუჭრა – ეგეთ რამეს როგორ გვთავაზობ შენ, რომელმაც „გმირი“ ჩქან ლოუს ჩინურზე გააკეთებინეო. მერე „ქრისტეს ვნებანის“ მაგალითიც გაახსენეს (მელ გიბსონის ამ სურათში ძველებრაულად ლაპარაკობენ). საბოლოოდ, სურათს თემუჟინის შესახებ გმირის მშობლიურ ენაზე – მონღოლურზე გადაიღებენ.

სერგეი ბოდროვის ახალი ფილმი მოგვითხრობს დიდი მეომრის ბავშვობასა და ყრმობაზე, ამასთან სიყვარულის ისტორიაც არის. როგორი იყო ბიჭუნა თემუჟინი, რომელმაც შიმშილიც გამოსცადა, დამცირებაც და მონობაც? ეს ზუსტად არავინ იცის. სცენარში იმის აღწერაც ყოფილა, თუ როგორ იჯდა გალიაში თემუჟინი – ამ მომენტმა მონღოლი პარტნიორების გულისწყრომა გამოიწვია...

მომავალმა ჩინგის ხანმა გადასინჯა დიპლომატიური მისიების პრაქტიკა, წამებები აკრძალა. მას სდევნიდნენ, აწამებდნენ, ღალატობდნენ. თემუჟინი გადარჩა, რადგან მისი ძალ-ღონე, ჭკუა და ნებისყოფა ბევრად აღემატებოდა ჩვეულებრივი კაცის შესაძლებლობებს. ჩინგის ხანს ამხნევებდა ბორტეს, პირველი და უძვირფასესი ცოლის სიყვარული, რომლის წართმევა ვერავინ შეძლო.



ასეთი მთავარი გმირის როლის შესრულება მოუწევს 25 წლის ჩენ ტატუმს, რომელმაც კარიერა პროფესიულ სპორტსმენად დაიწყო, კუნგფუში შავი ქამარი მოიპოვა და კინოში მცირე ხნის წინათ აიდგა ფეხი. ითამაშებს აგრეთვე იაპონელი მსახიობი ტადანობუ ასანო („ტაბუ“, „ამილესე“ და სხვა).

ჯგუფი გადაღებების დაწყებას ივლისში გეგმავს, დამთავრებას – 2006 წლის კანის კინოფესტივალამდე ცოტა ხნით ადრე, სადაც „მონღოლი“ ეგებ გაემგზავროს კიდეც...

# დურგლობიდან... რეჟისორობამდე

**სამამულო კინო ჯერ კიდევ იშვიათი და მორიდებული სტუმარია ჩვენი კინოთეატრების რეპერტუარში. მას არ ახლავს მძლავრი პიარი, თუ „პირველი არხის“ პროდუქცია არ არის, არც პირთამდე სავსე დარბაზებით კვეხნა შეუძლია...**

დღეს იმ რეჟისორს ვესაუბრებით, ვისი ფილმებიც გადის მოსკოვსა და სხვა ქალაქებში; ასეთ სურათებს სანახაობითად ნათლავენ, თუმცა კრიტიკოსები თავიანთ შეფასებებში მაინცდამაინც არ მიმართავენ დიდ ცერემონიებს...

გიორგი შენგელიამ 1988 წელს დაამთავრა საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტი (მარლენ ხუციევის სახელოსნო). მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ მოიპოვა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დადგმის უფლება, თანაც ერთბაშად „დაიქუხა“: 1992 წლის „ზარაფები“ შვეიცარიაში კომედიური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის „ჩარლი ჩაპლინის ოქროს ხელჯოხის“ ჟიურის სპეციალური პრიზით აღინიშნა. ამ სურათს მოჰყვა „მოუსვენარი მშვილდოსანი“ (1993), „შეუბერე“ (1995), „კლასიკოსი“ (1998), „მენაგვე“ (2001) და ყოველ მათგანს მაყურებლის მოწონება ხვდა. სულ ახლახან კი კრიმინალური დრამა „უმართავი ნამქერი“ გამოვიდა.

**– მოგილოცოთ ბოლო სურათის გაქირავების წინასწარი შედეგები?**

– ჯერჯერობით კონკრეტული ციფრები არ გამაჩნია, მაგრამ მაყურებლები ძალიან კარგად ხვდებიან – თვითონაც არაერთხელ გავხდი მოწმე. ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება. თეატრალური გაქირავებით თუ რამე დანაკლისი გვექნება, ვიდეოთი და ტელევიზიით ამოვქაჩავთ. კრიტიკა არაერთგვაროვნად გამოგვეხმაურა, თუმცა ასე, 30 პროცენტი, ჩვენს სასარგებლოდაა.

**– მეც შევესწარი ორი კრიტიკოსის კამათს. ერთი აღშფოთებული ჩანდა: ეს სულაც არ არის ის შენგელია, რომელიც უფრო ჭკვიანი, ღრმა, საინტერესო იყო და ასეთ აშკარა დრამატურგიულ ჩავარდნებს არ დაუშვებდაო. მეორე არ ეთანხმებოდა: ეგ კაცი ხომ სანახაობით კინოს აკეთებდაო...**

– ჩემს კარიერაში არც ერთი სურათი არ ყოფილა, რომლის მერეც. კრიტიკოსებს არ დაეწერათ, რომ მოსაწყენი, არაფრის მთქმელი კინო გავაკეთე. „აბა, ვის სჭირდება „ზარაფები“... „მოუსვენარი მშვილდოსნისათვის“ ეგ კინემატოგრაფისტთა კავშირიდან უნდა გააგდო და კამერასთან არც მიუშვა“... „კლასიკოსი“ ხომ პირდაპირ აბურთავეს... „მენაგვის“ ფასიც კაპიკიაო – არადა, გრან-პრი მიიღო ვენეციის სატელევიზიო ფესტივალზე, ხაზგასმით ვიმეორებ, გრან-პრი. რა გითხრათ? ყველას თავისი გემოვნება აქვს. ეს ხომ კრივი არ არის, სადაც გამოდიხარ და გახსნილ ორთაბრძოლაში იმარჯვებ ან მარცხდები...

**– პირადად თუ ყოფთ კინოს ასე – სანახაობითი და დანარჩენი?**

– რასაკვირველია, ვყოფ. თუმცა ცნება „სანახაობითი“ ახლა დევალვირებულია: ჩვენს ეკრანებზე უხეიროდ გამართული უამრავი ამერიკული ბლოკბასტერი გამოდის...

**– განა ადრე ცოტა იყო?...**

– ჰო, მაგრამ ისინი ჯობდნენ, არ ჩანდნენ ისეთი პრიმიტიული და ბრიყვული, როგორც ახლა. იმაში კი, ზოგი ფილმი რომ თავიდანვე მასობრივ მაყურებელზეა ორიენტირებული, სხვები კი – გამორჩეულ აუდიტორიაზე, ცუდი არაფერია; ხომ არსებობს ჩარლი ჩაპლინის კინო, რომელიც ერთდროულად საავტოროც იყო და მასობრივიც.









**– „უმართავი ნამქერი“ იმთავითვე მასობრივ მაყურებელზე მიმართეთ?**

– პირველ ყოვლისა, მინდოდა, რომ ხალხს ინტერესით ენახა და გმირებისათვის ეთანაგრძნო... ეს სულაც არ არის პრიმიტიული ფილმი, ბევრ ფარულ შემოქმედებით აზრს, გმირების შემოქმედებით მოძრაობას შეიცავს. სინამდვილეში ისეთივე გამოცანაა, როგორც წინანდელი „მენაგვე“.

**– ადრე ყოველთვის ვარსკვლავებს იღებდით. ახლა კი ცნობილ მსახიობთაგან მარტო მარია ზვონარიოვაა დაკავებული, რომელიც ჯერ მხოლოდ ვარსკვლავობის კანდიდატია. ასეთი არჩევანი სურათის ბიუჯეტმა გიკარნახათ?**

– არა, ყოველი პროექტი თავის მსახიობებს მოითხოვს. „მენაგვეში“ რომ გუბერნატორის როლში იანკოვსკი ან ტაბაკოვი გადამეღო, კარგი საცქერი იქნებოდა, მაგრამ დამირღვევდა იმ უტყუარობის ხარისხს, რომელსაც ვესწრაფოდი...

„უმართავ ნამქერში“ კი, როგორც მე მეჩვენება, საინტერესო და ძალიან ზუსტი ანსამბლი შეიკრა.

**– მთავარი გმირი საიდან გამოჩნდა?**

– პეტრე ფიოდოროვი ჯერ კიდევ ლეონიდ მარიაგინის სურათიდან „101-ე კილომეტრი“ მახსოვს, მაშინ 17 წლისა იყო... იცით, დიდი შემოქმედებითი ბედისა ვარ. სანამ დამოუკიდებლად გადაღებას დავიწყებდი, გზა დურგლიდან მეორე რეჟისორის მოვალეობის შემსრულებლამდე გავიარე შვეიცერის „მკვდარ სულებში“...

**– რატომ „მოვალეობის შემსრულებლამდე“?**

– მაშინ შეუძლებელი გახლდათ ერთბაშად მეორე რეჟისორობა. საბჭოურ ხანაში ყველაფერი რთულად, სწორად კეთდებოდა და ადამიანები, ჩვეულებრივ, თავიდან ბოლომდე შეიცნობდნენ პროფესიას. იმაზე გეუბნებით, რომ კინემატოგრაფში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს და ამიტომაც ვიცი მსახიობები, თვალყურს ვადევნებ მათ ხვედრს. აი, პეტიაც ასე იყო: თავში ჩამებეჭდა და მისი დღევანდელი ფოტოგრაფიები რომ ენახე, მივხვდი, მაგას შეუძლია „უმართავ ნამქერში“ ოლეგის თამაში-მეთქი.

**– რეციდივისტიც ერთობ სიმპათიური გამოგივიდათ...**

– იური გორინი ჯერ კიდევ სადიპლომო ფილმში გადავიღე, „ჩირაღდნებისკენ“ ერქვა. შემდეგ „ზარაფებში“ ბრმა გაითამაშა – ამ როლისთვის უსაშველოდ ბევრი მსახიობი სინჯეს, ამბობდნენ, რომ გორინმა საოცრად ითამაშა. „მენაგვეშიც“ იყო პატარა ეპიზოდით დაკავებული... აი, აქ, „ნამქერში“, რატომღაც ყველას ძალიან მოეწონა. მე კი, როცა როლზე ამყავდა, ფეხებზე მეკიდა, მოეწონებოდა ვინმეს თუ არა, რადგანაც ვიცოდი: გორინზე უკეთესად ამას ვერავინ ითამაშებს.

**– ბევრ რეჟისორს შურს თქვენი იმ მხრივ, რომ სურათის დაფინანსებაში სახელმწიფოს მონაწილეობას მიაღწიეთ...**

– ბევრსაო? განა მაგათი, ან ყველა ფილმი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაწილობრივი, ზოგჯერაც სრული სახელმწიფო დაფინანსებით არ კეთდება?...

**– რამე ახალი პროექტი თუ გაქვთ? რა სტადიაშია?**

– სულ ცოტა ხნის წინათ მივიღე „ჰედჰანტერების“ სცენარის პირველი ვარიანტი – ინგლისურიდან თუ ვთარგმნით, „თავებზე მონადირენი“. ეს ბიზნესი რუსეთში 1998 წელს ჩაისახა. კრიმინალური სურათი როდია – ლაპარაკია ინტელექტუალურ კადრებზე ნადირობის შესახებ.

**– ვინ გიფინანსებთ პროექტს?**

– ნაწილობრივ „ეროვნული ფილმის ცენტრი“, ნაწილობრივაც – სახელმწიფო. მინდა დაჯერება, რომ ჩემი ახალი პროექტიც გამოიწვევს ხალხის გამოხმაურებას. „ინტელექტუალურ“ რებუსებს არ ვაკეთებ, სულის რებუსებს, ადამიანთა პიროვნული ურთიერთობების რებუსებს ვქმნი. მე თუ მკითხავთ, ეს გაცილებით საინტერესოა, ვიდრე შიშველი მათემატიკური გამოცანების თხზვა.

**3-16 მარტის რუსეთული „კულტურიდან“.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### ამერიკაში კვლავ მოსდევენ დარვინს

**კინოთეატრების ქსელი IMAX მსოფლიოს 35 ქვეყანაზეა მოდებული და 240 „ერთეულს“ მოიცავს. გაერთიანების რამდენიმე კინოთეატრმა, შეერთებულ შტატებში, უარი განაცხადა ეკრანზე იმ ფილმების გაშვებაზე, რომლებშიც ევოლუციის თეორიაა მოხსენიებული – მორწმუნეთა პროტესტების შიშით. სასინჯი ნახვისას ზოგიერთი სამეცნიერო-პოპულარული სურათი მაყურებლებმა ღვთის გმობად მიიჩნიეს, რამდენადაც ისინი ადამიანის წარმომავლობის ბიბლიურ გააზრებას ეწინააღმდეგებოდნენ.**

საყვედურები გამოიწვია ისეთმა ფილმებმა, როგორც „კოსმოსური მოგზაურობაა“, „გალაპაგოსი“ და „წყალქვეშა ვულკანები“. შედეგად **IMAX**-ის 12 კინოთეატრში სურათების დემონსტრირება აკრძალეს. ერთ-ერთ მათგანში „წყალქვეშა ვულკანები“ ეკრანიდან მოხსნეს მაყურებელთა ნეგატიური გამოხმაურებების შემდეგ, რომლებიც დარვინის თეორიას არ ემხრობიან – აქაოდა, ბიბლიას უპირისპირდებაო. სამხრეთ კაროლინის კინოთეატრის დირექტორმა კი განაცხადა: „ჩვენს მაყურებელთა შორის გაცილებით მეტია ღვთიური წარმოშობის თეორიის ქომაგი, ვიდრე ევოლუციის თეორიისა“.

გარდა სამეცნიერო-პოპულარული ლენტებისა, **IMAX**-ის კინოთეატრებში უჩვენებენ ბლოკბასტერებს „ვარსკვლავური ომები. ეპიზოდი 2: კლონების შეტევა“, „ადამიანობა-2“ და მულტიპლიკაციურ „რობოტებს“.

### სიმპსონები კორეიდან არიან

**აგერ უკვე 15 წელია, რაც მთელ მსოფლიოში ცნობილი მულტიპლიკაციური სერიალი სიმპსონების ოჯახზე სამხრეთ კორეაში იქმნება და არა აშშ-ში. ამერიკელმა პროდიუსერებმა ფილმის წარმოება ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანეს მანამდე კარგა ხნით ადრე, სანამ უცხოეთში იაფი სამუშაო ძალის გამოყენების პრობლემაზე ალაპარაკდებოდნენ პოლიტიკოსები. ამერიკელ დამკვეთებს, პირველ ყოვლისა, კორეელი კოლეგების მაღალხარისხიანი გარჯა იზიდავთ.**

სეულში „სიმპსონების ოჯახს“ იღებენ 1989 წელს. შემდგარი სერიალის პრემიერიდან დაწყებული, სამხრეთ კორეა ანიმაციური წარმოების უეჭველ ლიდერად ითვლება. მომავალი ფილმის კონტურები ფერადდება დამკვეთის ინსტრუქციების შესაბამისად. სიმპსონების ოჯახის უფროსის, ბარტის ნათესავებისა და მეგობრების ყოველ სიტყვასა თუ მოძრაობას 120 კორეელი ანიმატორი დასტრიალებს თავს, რომლებიც ამერიკიდან გამოგზავნილი კინოკადრების განაწილებასა და ინსტრუქციებზე დაყრდნობით ქმნიან 20-წუთიან სერიებს. აქვე უთავსებენ მზა ფერად გამოსახულებას გმირების ხმებს. მუსიკასა და დამამთავრებელ შტრიხებს უმატებენ უკვე აშშ-ში.

15 წლის მანძილზე სეულის სტუდიამ „სიმპსონების“ ასობით სერიალი გააკეთა. ეგ არის, რომ კორეელი ანიმატორები ახლა დაშინებული არიან, ვაითუ სარფიანმა დაკვეთებმა აზიის სხვა ქვეყნებში გადაინაცვლონო – ისეთში, როგორც ჩინეთია ან ფილიპინები, სადაც მსგავსი შრომა კიდევ უფრო იაფი ღირს...






# რომი ეთხოვება იოანე-პავლე II

**ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე დასრულდა სამგლოვიარო მესა, რომელიც აღავლინეს რომის პაპის იოანე-პავლე II დაკრძალვასთან დაკავშირებით.**

სამსაათიანი ცერემონიის შემდეგ, პაპი დაკრძალეს წმინდა პეტრეს ბაზილიკის ქვეშ მდებარე აკლდამაში.

მესას ესწრებოდნენ მთელი მსოფლიოდან ჩამოსული რელიგიური და პოლიტიკური ლიდერები, მათ შორის ოთხი მეფე, ოთხი დედოფალი, სულ ცოტა 70 პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, ათობით სხვა რელიგიური კონფესიების ლიდერები.

წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრებილი იყო ათი ათასობით პილიგრიმი, რომლებმაც ამ სამგლოვიარო დღეებში მთელი მსოფლიოდან მოაშურეს ვატიკანს. ხალხით იყო სავსე მოედნის მიმდებარე ყველა ქუჩა, მრავალმა ადამიანმა ღამე ღია ცის ქვეშ გაათია.

ქალაქში დადგმული იყო გიგანტური ვიდეოეკრანები და ყველა მსურველს შეეძლო ენახა დაკრძალვის ცერემონია.

პაპის დაკრძალვას პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

სამგლოვიარო ცერემონიას უძღვებოდა კარდინალი იოზეფ რატცინგერი. იგი სათავეში ჩაუდგა კონკლავს, რომელმაც 18 აპრილს უნდა აირჩიოს ახალი პაპი.

დაკრძალვის ცერემონია მცირე ხნით შეწყდა მაშინ, როცა ათასობით პილიგრიმი, ძირითადად პოლონელები, მოითხოვდნენ იოანე-პავლე II დაუყოვნებელ კანონიზირებას.

როცა კარდინალმა ქადაგება დაასრულა, მოედანზე შეკრებილმა ადამიანებმა ერთხმად შესძახეს: „იგი უკვე წმინდანია!“ რასაც მოჰყვა მქუხარე ტაში.

სამგლოვიარო ცერემონიები იმართება ასევე პოლონეთის ქალაქ კრაკოვში, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდა იოანე-პავლე II, და მსოფლიოს სხვა ქალაქებში.

# აკაევს ყველა პრივილეგია ჩამოართვეს

**ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტს ასკარ აკაევს ჩამოართვეს ყველა ის პრივილეგია, რომელიც მას კანონით ეკუთვნოდა, როგორც სახელმწიფოს ყოფილ მეთაურს. ასეთი გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღო ქვეყნის პარლამენტმა.**

აკაევი, პოსტსაბჭოური ყირგიზეთის პირველი პრეზიდენტი, დაამხეს 24 მარტს პარლამენტის არჩევნების გაყალბების გამო უკმაყოფილო ოპოზიციის მიერ გამართული მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად. მაგრამ არც ამ მოვლენების დროს და არც ყირგიზეთიდან გაქცევის შემდეგ, აკაევს არ მოუთხოვია თანამდებობიდან გადადგომა.

იგი გახდებოდა ქვეყნის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი და ექნებოდა მასმედიასთან ურთიერთობის საშუალება.

ამ ბოლო დღეებში ამ საკითხის თაობაზე გაცხარებული დებატების დროს, ზოგიერთი დეპუტატი აღნიშნავდა, რომ ყირგიზეთს პატივი უნდა მიეგო აკაევისთვის ყოველივე იმ კარგის გამო, რაც მან გააკეთა ქვეყნისთვის, დათანხმებოდა მის გადადგომას.

მაგრამ გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა და პარლამენტის სხდომაზე გამოსულმა მთელმა რიგმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ არ შეიძლება აკაევს დართონ უბრალოდ გადადგომის უფლება და იგი უზრუნველყონ პენსიით და სახელმწიფოს ყოფილი მეთაურისთვის დანიშნული სხვა პრივილეგიებით.



საბოლოო ანგარიშით სწორედ ამ მოსაზრებამ გაიმარჯვა; ახლა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ყურმანბეკ ბაკიევმა ხელი უნდა მოაწეროს შესაბამის დოკუმენტს, რათა მან მიიღოს კანონის ფორმა და მაშინ, როცა აკაევს ჩამოართმევს ყველა პრივილეგიას, პარლამენტს შეეძლება მიიღოს ექსპრეზიდენტის გადადგომა და გამოაცხადოს ახალი პრეზიდენტის არჩევნების გამართვის თარიღი.

შესაბამისი განცხადება ამჟამად რუსეთში მყოფმა აკაევმა დაწერა მხოლოდ მიმდინარე კვირის დამდეგს, რითაც ყირგიზეთის პარლამენტი გარკვეულწილად ჩიხში მოაქცია: თუ კანონმდებლები დათანხმდებოდნენ აკაევის გადადგომას, მაშინ, ყოფილი პრეზიდენტი ავტომატურად მიიღებდა უამრავ შეღავათს და შეძლებდა ქვეყანაში დაბრუნებას, როგორც პატივსაცემი და გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა.

კერძოდ, აკაევს მიეცემოდა პარლამენტისთვის მიმართვის, მთავრობის სხდომებზე გამოსვლის უფლება,

ამავე დროს, ზოგიერთ დეპუტატს მიაჩნია, რომ აკაევის ოჯახის წევრებს არა აქვთ უფლება იყვნენ დაცული სასამართლო დევნისგან: ექსპრეზიდენტის ვაჟები, მისი ქალიშვილი და სიძე ფლობენ მთელ რიგ ობიექტებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ყირგიზეთის ბიზნესში.

# უკრაინის ახალი ხელისუფლება დაპატიმრებებისთვის ემზადება

**იუშჩენკოს ადმინისტრაცია იწყებს ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო მოხელეთა შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას. როგორც მოელიან, ამას მოჰყვება მთელი რიგი დაპატიმრებები, რასაც ამჟამინდელი ოპოზიცია მიიჩნევს შურისძიებად იმის გამო, რომ ისინი მხარს უჭერდნენ გასული წლის დეკემბრის არჩევნებში დამარცხებულ ვიქტორ იანუკოვიჩს.**

დონეცკის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ბორის კოლესნიკოვი დააკავეს ოთხშაბათს, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ეს მხოლოდ დასაწყისია. შინაგან საქმეთა მინისტრმა იური ლუცენკომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ეს პოლიტიკა არ გახლავთ, ეს ნამდვილი ბანდიტიზმია! ეს საქმე გავა ახალ დონეზე და შეეხება მრავალ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს — ყოფილ მინისტრებს, საოლქო ადმინისტრაციებისა და მსხვილი საწარმოების ყოფილ ხელმძღვანელებს“.

როგორც ლუცენკო ამტკიცებს, ის, რაც ამჟამად ხდება უკრაინაში, არის „კლასიკური საქმე ქვეყნის წარსულისთვის ჩვეულებრივი ბანდიტიზმის ბრალდებით. საქმე ეხება თანხების გამოძალვას, მუქარას. ზოგიერთები დაეპატრონენ სხვის ქონებას, და შემდეგ ახორციელებდნენ ოპერაციებს გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მიზნით“. მაგრამ დამარცხებული ექს-პრემიერის იანუკოვიჩის ბანაკი დარწმუნებულია, რომ იუშჩენკოს ხალხი ანგარიშს უსწორებს ოპოზიციას.



ხუთშაბათს დონეცკში გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომლის მონაწილეები პროტესტს უცხადებდნენ ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების მოქმედებას.

ბორის კოლესნიკოვის დაპატიმრების საქმეს, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, მაინც დაჰკრავს პოლიტიკური ელფერი. შეგახსენებთ, რომ 2004 წლის ნოემბერში, სწორედ კოლესნიკოვი აცხადებდა, რომ იუშჩენკოს გამარჯვების შემთხვევაში, უნდა შეიქმნას „ახალი ფედერაციული სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთი რესპუბლიკის ფორმით, რომლის დედაქალაქი ხარკოვი იქნება“. იანვარში დონეცკის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გამოიძახეს გენერალურ პროკურატურაში ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობის ბრალდების გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

# მოკლედ

**რუსეთის ფედერაციის ელჩი უკრაინაში ვიქტორ ჩერნომირდინი ურჩევს ინტერპოლს არ გამოეპაროს უკრაინაში დევნილი რუსი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის შესაძლო ჩასვლა. „ამ ადამიანის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, და მას ეძებს ინტერპოლი“, — განაცხადა ჩერნომირდინმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. როგორც იგი ვარაუდობს, უკრაინის ხელისუფლება არ დართავს ბორის ბერეზოვსკის ამ ქვეყანაში შესვლის და ცხოვრების ნებას.**



* * *

**ჩეხეთის პრეზიდენტის თვითმფრინავის პილოტი იძულებული გახდა დაესვა იგი მიუნხენის აეროპორტში. პილოტის კაბინის ერთ-ერთ მინაზე ფრენის დროს აღმოაჩინეს ბზარი. რისკის თავიდან ასაცილებლად, ხომალდის მეთაურმა გადაწყვიტა, რომ „ჩელენჯერის“ ტიპის თვითმფრინავი დაესვა მიუნხენის აეროპორტში. ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი მიფრინავდა რომში იოანე-პავლე II დაკრძალვის ცერემონიაზე დასასწრებად.**



* * *

**ფლორიდაში კვლავ გაიხსნა პლაჟები. მიმდინარე კვირის დამლევს ატლანტის ოკეანის წყლებში, ქალაქ პალმ-ბიჩის ჩრდილოეთით, ნაპირთან საკმაოდ ახლოს, ათასობით ზვიგენი დაცურავდა, რის გამოც ფლორიდის შტატის ხელისუფლება იძულებული გახდა დაეხურა პლაჟები. ეს გამოწვეულია ზვიგენების საგაზაფხულო მიგრაციით, რომლებიც წელიწადის ამ დროს მიაშურებენ ატლანტის ოკეანის უფრო ცივ წყლებს, სადაც გაცილებით მეტი საკვებია.**



* * *

**ფარმაცევტები აცხადებენ, რომ ორი წლის შემდეგ გამოუშვებენ კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინას. საქმე ეხება საშვილოსნოს ყელის კიბოს, რომლის შედეგადაც მსოფლიოში ყოველწლიურად იღუპება 274 ათასი ქალი.**

**ვაქცინაზე მუშაობს ამერიკის Merck&Co Inc კომპანია. კლინიკური გამოცდის პირველი შედეგები, რომელშიც 277 ქალი მონაწილეობდა, ძალზე დამაიმედებელი გამოდგა.**

## ◎ ევროტურნირებზე

## ფეხბურთი

**უეფას თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ რაუნდში ყველანი გააოცეს მოსკოველმა არმიელებმა — ვალერი გაზაევის გუნდმა შინ შავი დღე აყარა „ოსერს“ — 4:0 და საპასუხო შეხვედრას ინტერესი დაუკარგა.**

აღსანიშნავია, რომ ფრანგული კლუბის რბევა თვით მისმა მოთამაშემ დაიწყო — 21-ე წუთზე გოლი საკუთარ კარში მატისმა გაიტანა, ძირითადი მოვლენები კი დასკვნით 15 წუთში განვითარდა, როცა იგნაშევიჩმა (პენალტით), ვაგნერმა და გუსევმა სტუმრებს ბოროდინო გაახსენეს.

სენსაცია „გამოცხვა“ ესპანეთში, სადაც პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი ლიდერი „ვილიარეალი“ ჰოლანდიურ „ალკმაართან“ შერცხვა — 1:2 (გოლები: რეკელმე; ლანზაატი, ნელისე).

შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოსთან“ ერთად „ნიუკასლი“ და ლისაბონის „სპორტინგი“ ერთ ჯგუფში თამაშობდნენ. კენჭისყრის ნებით, ეს გუნდები ამ ეტაპზეც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძველ მეტოქეთა ინგლისური დუელის ბედი შირერის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა — 1:0.

რაც შეეხება „აუსტრია“-„პარმას“ წყვილს, მათი მატჩი ფრედ დასრულდა — 1:1 (მილა; ბონერა).



## კალათბურთი



**მოგეხსენებათ, მაისის დასაწყისში მოსკოვი ევროლიგის ფინალური კვარტეტის გადამწყვეტ ბატალიებს უმასპინძლებს. ამ დღეებში მომავალი ტურნირის სამი მონაწილე გამოვლინდა. ესენია ცსკა, „ტაუგრესი“ და „მაქაბი“ — თითოეულმა მათგანმა მეტოქეებს ორივე მეოთხედფინალური მატჩი მოუგო: ცსკა — „ულქერი“ 88:74, 82:64; „ტაუგრესი“ — „ბენეტონი“ 98:59, 66:64; „მაქაბი“ — „სკავოლინი“ 88:60, 103:100. რაც შეეხება „პანათინაიკოსისა“ და „ეფესპილსენის“ ბრძოლას, იქ ჯერჯერობით ბერძნები დაწინაურდნენ — 1:0 (102:96).**

## ◎ უნივერსიადა — 2005

# გუშინ იჭიდავეს, დღეს იცურავებენ

**თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის (უფროსი გია უდესიანი) თაოსნობითა და დაფინანსებით გრძელდება დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების უნივერსიადა, რომელშიც 16 უნივერსიტეტისა და აკადემიის წარმომადგენლები სპორტის რვა სახეობაში ეცილებიან ერთმანეთს პირველობას.**

ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრში უკვე იასპარეზეს ძიუდოისტებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: ლაშა ტვილდიანი (60 კგ.), გიორგი შოშიაშვილი (66, ორივე — თსუ), ოთარ ახალაია (73, სპორტის აკადემია), ხვიჩა ხუციშვილი (81, თსუ), ლომერ ქორქოლიანი (90, სტუ), რევაზ ჩიკოიძე (100, სპორტის აკადემია), ლევან გუჯეჯიანი (მძიმე წონა, თსუ).



გუშინ ამავე დარბაზში თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა დაამთავრეს ასპარეზობა, რომელსაც ესწრებოდა სახელოვანი ფალავანი, ოლიმპიადების ორგზის გამარჯვებული ლევან თედიაშვილი. 50-ზე მეტი მონაწილე იბრძოდა ჩემპიონობისთვის. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ვალერი რიკაძე (55 კგ., სპორტის აკადემია), მალხაზ ქურდიანი (60), ზურაბ მახარაშვილი (66), მიხეილ ზარქუა (74, სამივე — სტუ), მიხეილ ბაგაური (84, სპორტის აკადემია), ბელდუხ გავაშელი (96, სტუ), დავით სისაური (120, სპორტის აკადემია).

დღეს დილმის ოლიმპიური მზადების ცენტრის ცისფერ ბილიკებზე სტარტს აიღებენ მოცურავეები.

**გიორგი გაგუა.**

## ◎ ვაკანსია

# სფფ-ს ახალი შეფი ეყოლება

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ სფფ-ს ოფისში ადვოკატის მეშვეობით გააგზავნა წერილი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. მან ასეთი ნაბიჯი ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გადადგა, რადგან მიიჩნევს, რომ ამ საქმეს ჯეროვნად მხოლოდ თავისუფალი ადამიანი გაუძღვება და არა პატიმარი, — განაცხადა შალვა შავგულიძემ.**

რაც შეეხება სფფ-ს ახალ შეფს, დებულების თანახმად, იგი უნდა დაინიშნოს არაუგვიანეს ორი თვისა. მომავალი, რიგგარეშე ყრილობის თარიღი, სავარაუდოდ, დღეს, სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე დასახელდება.

საზოგადოებაში უკვე გაჟღერდა ფედერაციის თავკაცის პოსტზე შესაძლო კანდიდატთა რამდენიმე გვარიც — რომან შოთაძე, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, ნოდარ ახალკაცი-უმცროსი, კოტე გაბაშვილი, რევაზ არველაძე, დიმიტრი რამიშვილი. რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები, მალე შევიტყობთ.

**საკუთარი ინფორმაცია.**

## ◎ ჭიდაობა

# ხალიჩაზე — ახალგაზრდები

**გორში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის. 22 ქალაქისა და რაიონის 120-მდე წარმომადგენელი იბრძოდა კვარცხლბეკზე ასასვლელად. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: აკაკი კოტორაშვილი (მცხეთა), ვალერი დვალიშვილი (გორი), მალხაზ ზარქუა (აფხაზეთი), მალხაზ მუზიაშვილი (გორი), არჩილ ქიტუაშვილი (გურჯაანი), ნიკოლოზ გაგნიძე (თბილისი), ზაალ მარტიაშვილი (გორი) და ბაჩანა კარანაძე (რუსთავი).**



საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეები მოემზადებიან მსოფლიო პირველობისთვის, რომელსაც 5-10 ივლისს ვილნიუსი უმასპინძლებს. მანამდე ახალგაზრდა ფალავნები საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, 20-22 მაისს კი ბურსას (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავენ ძალებს და ნაკრების მწვრთნელებიც ლიტვაში წამსვლელთა ვინაობასაც მერე დაასახელებენ.

**გიორგი გაგუა.**

**სურათზე: ასპარეზობის მომენტი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

## ◎ ჭადრაკი

# აბსოლუტური რეკორდი

**ბუქარესტში დამთავრდა მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ანატოლი კარპოვსა და ახალგაზრდა რუმინელ დიდოსტატ ანდრეა ისტრატესკუს შორის. ორთაბრძოლა ორი „რაუნდისაგან“ შედგებოდა. მეტოქეებმა 4 „კლასიკური“ პარტია გაითამაშეს, ოთხიც — „სწრაფი ჭადრაკის“ წესებით. ორივე „რაუნდი“ 54 წლის კარპოვის გამარჯვებით დასრულდა: „კლასიკურში“ — ანგარიშით 2,5:1,5, სწრაფში — 3,5:0,5.**



საინტერესო ის არის, რომ კარპოვმა დაამყარა აბსოლუტური რეკორდი — 1966 წლიდან საერთაშორისო შეჯიბრებებში 160 გამარჯვება იზეიმა (აქ ითვლება საერთაშორისო ტურნირებში პირველი პრიზებიც და მატჩების მოგებაც).

## ◎ კრივი

# „გეოგრაფია“ გაიზარდა, დონეც ამაღლდა



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბოლო დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჯანსაღი თაობის აღზრდას, სპორტულ საქმიანობაში მათს ფართოდ ჩაბმას, ხშირად აფინანსებს შეჯიბრებებს, რომლებშიც ჭაბუკი ათლეტები ასპარეზობენ.** მორიგი ამგვარი ღონისძიება გორის რაიონის სოფელ ვარიანში გაიმართა — გიორგი კანდელაკის მიერ აშენებულმა სპორტულმა კომპლექსმა 1990-1993 წლებში დაბადებულ მოკრივეთა საქართველოს პირველობას (მთავარი მსაჯი ავთანდილ შოშიაშვილი) უმასპინძლა. რინგზე 23 ქალაქისა და რაიონის 170 წარმომადგენელი გამოვიდა. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა მაღალმთიანი აჭარის, კერძოდ, შუახევის (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნოშრევან დავითაძე) რაიონის ნორჩმა მოკრივეებმა **სოსო წინამძღვრიშვილის** ხელმძღვანელობით.

— ვარიანში ქსანმაც ჩამოიყვანა გუნდი, რომელსაც ცნობილი მოკრივე ვასილ ცერცვაძე უდგას სათავეში, — მითხრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავით კვაჭაძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კრივის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სასპორტო სკოლის დირექტორმა **რევაზ მეგრელიშვილმა**. — ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში კარგა ხანს მივიწყებული იყო კრივი, მაგრამ პაპუნა თოდუამ შეძლო ტრადიციების აღორძინება და საკმაოდ პერსპექტიულ სპორტსმენებს მოუყარა თავი. იგივე ითქმის სენაკელ მწვრთნელ ზაზა ხურცილავაზეც, რომლის ერთ-ერთი შეგირდი — გიორგი გუნია კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა...

რაც შეეხება შეჯიბრებას, ორივე ასაკში (1992 და 1990-91 წ. წ.) იმდენი მონაწილე იყო, რომ ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, ზოგიერთ წონაში ორ-ორი გამარჯვებული გამოევლინათ. თავი გამოიჩინეს გიორგი ამაღლობელმა (აჭარა), ლუხუმ ხარხიანმა (გარდაბანი), მერაბ კაპანაძემ (ჭიათურა), გიორგი მაისურაძემ (წინანდალი), ჯაბა შალუტაშვილმა (ბორჯომი), რობერტ ცინცაძემ (ტყიბული), მიხეილ პავლიაშვილმა (ვარიანი), ბექა როგავამ (თბილისი), ვალერი დათეშიძემ (რუსთავი), ბაქარ ყურმანაშვილმა (ახალციხე), ირაკლი გვენეტაძემ (ქუთაისი), ირაკლი ქოროღლიშვილმა (გურჯაანი), ლადო ცაციაშვილმა (გორი), გიორგი კილასონიამ (ფოთი) და სხვებმა.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. წონებში საუკეთესოები ახლა გორში საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, შემდეგ სომხეთში ან აზერბაიჯანში ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე გამოცდიან თავიანთ ოსტატობას, 12 ივლისიდან კი უნგრეთში მსოფლიო პირველობაში ჩაებმებიან.

— გულს ახარებს, რომ ბოლო დროს საქართველოში კრივის გეოგრაფია საგრძნობლად გაიზარდა, — მითხრა საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი კანდელაკმა. — ნიჭიერი თაობა მოდის. მთავარია, მათ ნორმალური სავარჯიშო პირობები შევუქმნათ და საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის შესაძლებლობა მივცეთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელმაც მარტო წლეულს ჭაბუკთა რამდენიმე შეჯიბრება და საწვრთნელი შეკრება დაგვიფინანსა. მერწმუნეთ, ამგვარი ყურადღება კვლავაც მოიზიდავს ახალგაზრდებს სპორტულ სექციებში, რითაც მოზარდებს ქუჩას მოვწყვეტთ. შესაძლოა, მათგან ყველა სახელოვანი სპორტსმენი ვერ გამოვიდეს, სამაგიეროდ, გვეყოლება ფიზიკურად ძლიერი და სულით ჯანსაღი თაობა, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და სამშობლოს კეთილდღეობაში საკუთარ წვლილს შეიტანს.

**ვაჟა დანელია.**

## ◎ სპორტულ ორბიტაზე

### ანანდის — საჭადრაკო „ოსკარი“



**უკვე მეათედ რუსულმა ჟურნალმა „64-შახმატნოე ობოზრენიე“ გამოავლინა გასული წელიწადის საუკეთესო დიდოსტატი.**

2004 წლის „ოსკარის“ მფლობელი მეოთხედ გახდა ინდოელი ვიშვანათან ანანდი. 75 ქვეყნის 445 გამოკითხული ჭადრაკის სპეციალისტიდან ინდოელ მოჭადრაკეს პირველი ადგილი მიაკუთვნა 279-მა, რითაც ანანდმა 5205 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გარი კასპაროვი — 3664 ქულა (60 პირველი ადგილი), მესამეზე უნგრელი პეტერ ლეკო — 3485 (43), შემდეგ მოდიან ვლადიმერ კრამნიკი — 3344 (37), რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — 2088 (12), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — 1858 (2), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 1398 (7), მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 1378 (2) და ა.შ.

### პრეზიდენტის მადლობა ინვალიდ სპორტსმენებს

**გუშინწინ, მოსკოვში, კრემლში გაიმართა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრა პარაოლიმპიური, სურდოოლიმპიური, აგრეთვე სპეციალური ოლიმპიადების ზამთრის თამაშების პრიზიორებთან, აგრეთვე რუსეთის პრეზიდენტის თასზე ინვალიდთა საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებულებთან.**

ქვეყნის თავკაცმა მადლობა გადაუხადა სპორტსმენებს შეჯიბრებებში გამოვლენილი პირადი გმირობისთვის, პრეზიდენტმა აღიარა, რომ დიდხანს ინვალიდებს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამავე დროს პუტინმა აღნიშნა, რომ ბოლო ხუთ წელიწადში ორჯერ გაიზარდა ინვალიდებისთვის ადაპტირებული სპორტული ობიექტების რიცხვი.

### სიკვდილი — ფეხებშივარდნისთვის

**მხეცური შემთხვევა მოხდა ინგლისის ბირმინგემში სამოყვარულო (ანუ როგორც ინგლისში ეძახიან, საკვირაო) ლიგის გუნდების მატჩზე. ერთი ფეხბურთელი ცემით სასიკვდილოდ გასწორეს, რის მიზეზიც გახდა ბურთისთვის ბრძოლაში ფეხებში ჩავარდნა.**

„სენტ-ჯოზეფი“ თამაშობდა ბირმინგემის სხვა რაიონის გუნდთან „ლოზელი“. შეხვედრის ბოლოსთვის ერთ-ერთ ეპიზოდში „სენტ-ჯოზეფის“ 39 წლის მოთამაშე, მრავალშვილიანი მამა ტომი სლატერი უხერხულად ჩაუვარდა ფეხებში მეტოქის მოთამაშეს. ბურთის წართმევა უნდოდა, მაგრამ ფეხებში კი ჩასცხო. ამან ტრიბუნები აღაშფოთა, ხოლო, მსაჯის ბოლო სასტვენზე მინდორზე გამოვარდა რამდენიმე ვაჟბატონი და სლატერი წააქციეს და ფეხებით შესდგნენ.

თანაგუნდელები ცოტა დაგვიანებით მიეშველნენ ამხანაგს და ხულიგნები გააქციეს, მაგრამ სლატერი ისე იყო ნაცემი, რომ თავის ქალის უამრავი ტრავმით საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.



თუმცა ძალზე უცნაური ისტორიაა: იმ დღეს სლატერის არ უნდა ეთამაშა, მაგრამ ის თავის ძმას „სენტ-ჯოზეფის“ 17 წლის ფეხბურთელს, ტომის გაჰყვა სტადიონზე, და სწორედ იმ დაწყევლილ კვირა დღეს გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე არ მივიდა თამაშზე, მაშინ სლატერმა მოინდომა გუნდის დახმარება და მინდორზე გავიდა.

ბირმინგემის პოლიციამ შეძლო სამი ბოროტმოქმედის შეპყრობა, მაგრამ განა ეს დიდი შეღავათია მისი ქვრივისთვის, 9 ობოლი შვილი რომ დარჩა?

# ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორიაზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გრძელვადიანი იჯარის საკონკურსო პირობები

**1. შესავალი**

1.1. ქალაქ ბათუმის ზღვისპირა პარკში ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორიაზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობისთვის სათანადო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 5 აპრილის №54 დადგენილების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს ტერიტორიის გრძელვადიანი იჯარით გაცემაზე.

**2. არსებული მდგომარეობა**

2.1. ზღვისპირა პარკში საზაფხულო თეატრს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა გართობისა და დასვენების ობიექტებს შორის, როგორც ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას და არქიტექტურულ ძეგლს. 1999 წელს საზაფხულო თეატრის შენობა მთლიანად დაიწვა და დაიკარგა როგორც საქალაქო ინფრასტრუქტურის ორგანული ნაწილი. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორიაზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობის აუცილებლობა და ამ მიზნით სათანადო ინვესტიციების მოზიდვა.

2.2. ტერიტორიის ფართი შეადგენს 9600 კვ.მ-ს.

2.3. ამჟამად ტერიტორიის მოვლა-პატრონობას ახორციელებს შპს „ბათუმგამწვანება".

**3. პროგრამის ამოცანები და მოსალოდნელი შედეგები**

3.1. საინვესტიციო პროგრამის განხორციელების, და შესაბამისად, ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობას წარმოადგენს ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორიის გრძელვადიანი იჯარით გაცემა მასზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობისთვის კონკურსის საფუძველზე.

3.2. ამ პროგრამის რეალიზაციის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის მთავარი მიზანია, გამოავლინოს ტერიტორიის პოტენციური ოპერატორი, რომლის საპროექტო წინადადებები და შემოთავაზებები ოპერირებისა და ქონების იჯარის თაობაზე საუკეთესოდ იქნება მიჩნეული საკონკურსო კომისიის მიერ.

3.3. კონკურსის შედეგების მიხედვით ქალაქ ბათუმის მთავრობა კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც აისახება ტერიტორიის იჯარით გადაცემის საკითხი.

3.4. საკონკურსო საფუძველზე შერჩეულმა ოპერატორმა საკუთარი გარანტიებითა და პასუხისმგებლობით უნდა უზრუნველყოს პროექტის შემუშავება ქალაქის მთავრობასთან შეთანხმებით და ინვესტიციების მოზიდვა მისი განხორციელებისთვის.

**4. კონკურსის თემა და პირობები**

4.1. ქალაქ ბათუმის მთავრობა აცხადებს კონკურსს, რომლის პირობებითაც გათვალისწინებულია 49-წლიანი იჯარით გაიცეს ყოფილი საზაფხულო თეატრის ტერიტორია მასზე გართობისა და დასვენების ცენტრის მშენებლობისთვის მთლიანად ფართით 9600 კვ.მ. პირველი წლის საიჯარო ქირის ოდენობა ცენტრალური ზონის პირველი ქვეზონისთვის 1 კვ.მ.-ზე წელიწადში 1,05 ლარის გათვალისწინებით შეადგენს 10080 ლარს, ხოლო შემდეგ წლებში, კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური საიჯარო ქირის ოდენობის ცვლილების შემთხვევაში, საიჯარო ქირა განისაზღვრება ხელშეკრულების დადების მომენტში საიჯარო ქირასა და კანონმდებლობით დადგენილ მინიმუმს შორის სხვაობის პირდაპირპროპორციულად.

4.2. საიჯარო გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი საანგარიშო მეექვსე თვის ბოლოს.

4.3. ტერიტორიის რეაბილიტაციის ბიუჯეტი უნდა განისაზღვროს არანაკლებ 1,5 მილიონი აშშ დოლარით, დაბანდების ვადით არაუმეტეს 3 წლისა.

4.4. იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ხელშეკრულების გაგრძელება 20 წლით ან ახალი საიჯარო ურთიერთობების გამოცხადების შემთხვევაში თანაბარი პირობების არსებობისას მოიჯარეს ეძლევა უპირატესი უფლება სხვა კონკურენტებთან შედარებით. საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ტერიტორიაზე აშენებული კაპიტალური შენობები გადადის ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში.

4.5. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ კომპანიებს ან მათ კონსორციუმებს, აგრეთვე ფიზიკურ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას მთავრობასთან (შემდგომში ეს პირები მოიხსენიება, როგორც პრეტენდენტი).

4.6. კონკურსში მონაწილეობისთვის პრეტენდენტმა საკონკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც მითითებული იქნება მისი ვინაობა და დადასტურებული იქნება კონკურსში მონაწილეობის სურვილი. განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს სადამფუძნებლო დოკუმენტების (იურიდიული პირებისთვის) ან პირადობის მოწმობების (ფიზიკური პირებისთვის) დამოწმებული ასლები.

4.7. პრეტენდენტმა განცხადებასთან ერთად საკონკურსო კომისიას წერილობით, დალუქული კონვერტით უნდა წარუდგინოს განაცხადი, საპროექტო წინადადებების შესახებ (შემდგომში – განაცხადი), რომლებშიც ასახული უნდა იყოს პრეტენდენტის ხედვა ამ საკითხებთან დაკავშირებით. განაცხადში ასახული უნდა იყოს (მოკლე რეზიუმე):

ა) რა ღონისძიებების გატარებას აპირებს პრეტენდენტი იმისთვის, რომ მოაწყოს თანამედროვე დონის გართობისა და დასვენების ობიექტი;

ბ) რა მოცულობის ინვესტიციების მოზიდვას აპირებს პრეტენდენტი, რა წყაროებით და გარანტიებით, როგორია ინვესტიციების განთავსებისა და ამოღების წინასწარი სქემა. წარმოდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს პრეტენდენტის შესაძლებლობას განახორციელოს ეს ინვესტიციები;

გ) რა ვადებში აპირებს პრეტენდენტი სამშენებლო სამუშაოების დასრულებას და ობიექტის სრულფასოვნად ამოქმედებას.

4.8. კონკურსში მონაწილეობისთვის პრეტენდენტს „ბე"-ს სახით, მთავრობის მიერ მითითებულ ანგარიშზე შეაქვს პირველი წლის საიჯარო ქირის 5% ანუ 504 ლარი, რომელიც გამარჯვებულ პრეტენდენტს ჩაეთვლება პირველი წლის გადასახდელი საიჯარო ქირის ანგარიშში, ხოლო დამარცხებულს (დამარცხებულებს) დაუბრუნდება ერთი კვირის ვადაში.

4.9. სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისთვის.

4.10. საიჯარო ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში პრეტენდენტის მოზიდული ან საკუთარი სახსრებით შექმნილი გაუმჯობესებანი არ გამოიწვევს საიჯარო ქირის გაზრდას.

4.11. საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის თანხმობის ან/და ახალი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პრეტენდენტი უფლებამოსილია ტერიტორიაზე გართობისა და დასვენების გარდა პარალელურად განათავსოს კანონით ნებადართული სხვა ობიექტები.

**5. კონკურსის ორგანიზება და შედეგების გაფორმება**

5.1. ქალაქ ბათუმის მთავრობის მიერ დადგენილ ვადაში, პრეტენდენტი წარუდგენს საკონკურსო კომისიას განცხადებას კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, ბეს გადახდის დამადასტურებელ საბუთს და განაცხადს ერთი დალუქული პაკეტის სახით, სახელწოდებით „განაცხადი" და წარწერით „გაიხსნას მხოლოდ საკონკურსო კომისიის თანდასწრებით".

5.2. საკონკურსო კომისია, კონკურსის დღეს, დანიშნულ დროს, პრეტენდენტთა წარმომადგენლების თანდასწრებით გახსნის „განაცხადის" დალუქულ პაკეტს და განიხილავს პრეტენდენტის წინადადებებს.

5.3. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება იმ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი, საპროექტო წინადადებები და შემოთავაზებები, რომლებიც საუკეთესოდ იქნება ცნობილი საკონკურსო კომისიის მიერ და რომელიც სრულად დააკმაყოფილებს საკონკურსო პირობებს. თუ წარმოდგენილი იქნება 2 ან მეტი განაცხადი, რომლებიც საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული იქნება, როგორც თანაბარი, უპირატესობა მიენიჭება იმას, რომელიც ითვალისწინებს უფრო მეტი საიჯარო ქირის გადახდას.

5.4. თუ წარმოდგენილი განაცხადი ან დართული დოკუმენტები საჭიროებს შემოწმებას ან დაზუსტებას, საკონკურსო კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების მიღება იმ ვადით, რაც დასჭირდება ამ მონაცემების შემოწმებას ან დაზუსტებას, მაგრამ არა უმეტეს ერთი კვირისა.

5.5. გამარჯვებულ პრეტენდენტთან, რომელიც შემდგომში მოიხსენიება როგორც ოპერატორი, მთავრობა 1 თვის ვადაში გააფორმებს ოპერირებისა და იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და წინამდებარე პირობების შესაბამისად გადასცემს მას საიჯარო ქონებას. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, გამოცხადებული კონკურსის პირობების და შემოტანილი განაცხადის საფუძველზე.

5.6. ხელშეკრულებით ოპერატორს დაეკისრება ამ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების, საკონკურსო პირობების, აგრეთვე მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულება. ხელშეკრულების ნებისმიერი პუნქტის დარღვევა შეიძლება გახდეს მისი გაუქმების საფუძველი.

5.7. ხელშეკრულების შესრულებისას ოპერატორი იქნება დამოუკიდებელი კონტრაქტორი, მაგრამ მას არ შეუძლია თავისი უფლებები გადასცეს სხვა იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, მათ შორის მისივე მონაწილეობით შექმნილ სააგენტოს, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს ან რაიმე სხვა ერთობლივ ორგანიზაციას მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

5.8. ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ოპერატორი.

5.9. მთავრობა არ ჩაერევა ოპერატორის საქმიანობაში. მისცემს მას საშუალებას, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ოპერირებისა და სხვა საკითხები.

5.10. მთავრობა იღებს ვალდებულება, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაასხვისებს, ან რაიმე სხვა ფორმით არ გადასცემს სხვა ნებისმიერ პირს იმ ტერიტორიას, რომელიც ოპერატორს (მოიჯარეს) გადაეცემა მოვლა-პატრონობის უფლებით.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური. სულხან-საბა ორბელიანის ქ. № 7, ტელ: 7-26-45.

**განაცხადების მიღება შეწყდება 2005 წლის 6 მაისს 17 სთ-ზე.**

**კონკურსის შდეგები გამოცხადდება 2005 წლის 16 მაისამდე.**

**კონკურსში მონაწილეობისთვის პრეტენდენტმა „ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:**

**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102**
**მიმღები — ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.**
**საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.**
**ანგარიშსწორების ანგარიშის № 000142402.**

# ქალაქ ბათუმის ზღვისპირა ზოლში მშენებარე საცხოვრებელ კომპლექს „ბათუსის" ტერიტორიის განკარგვის (საკუთრებაში გაცემის) საკონკურსო პირობები

**შესავალი**

ქალაქ ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის, მოქალაქეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და ზღვისპირა ზოლში ერთიანი არქიტექტურული ანსამბლის შექმნის მიზნით, ქ. ბათუმის მთავრობის 2005 წლის 5 აპრილის № 55 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს მშენებარე საცხოვრებელ კომპლექს „ბათუსის" ტერიტორიის საკუთრებაში გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქალაქის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: რუსთაველის ქუჩის გაგრძელება, მშენებარე საცხოვრებელი კომპლექს "ბათუსის" ტერიტორია;

მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) – საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 18 700 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე 15,20 ლარი, სულ 284240 ლარი;

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობაა პრეტენდენტთა მიერ საკონკურსო მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პარალელურად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისთვის საცხოვრებელი ფართის შემოთავაზება.

**სხვა პირობები:**

მიწის ნაკვეთის გასაყიდი ფასი ყველა მონაწილისთვის ფიქსირებულია და შეადგენს ცენტრალური ზონის პირველი ქვეზონისთვის დადგენილ მინიმუმს, ანუ 1 კვმ-ზე 15,20 ლარს;

საკონკურსო მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს 70%-ზე, ანუ 13090 კვ.მ-ზე მეტი;

ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდში გადასაცემი ფართის ოდენობამ უნდა შეადგინოს საკონკურსო ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობის საერთო ფართის მინიმუმ 5%, 2005 წლის 18 მარტს შპს „სტროიმონტაჟ ბათუმსა" და ქალაქ ბათუმის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებისა.

ვადები კონკურსის შედეგების შეჯამებიდან შენობის ექსპლუატაციაში გადასაცემად მზადყოფნამდე არ უნდა აჭარბებდეს 12 თვეს.

ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდში გადასაცემი ბინები უნდა იყოს „გასაღების ქვეშ" მზადყოფნის მდგომარეობაში.

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის საფასურის გადახდა შესაძლებელია ნაწილ-ნაწილ, მაგრამ შესყიდვის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. შესყიდვის ფასის სრულ გადახდამდე მიწა საკუთრებაში გაიცემა გირაოში ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის სასარგებლოდ აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

კონკურსში მონაწილეობისთვის პრეტენდენტმა „ბე"-ს სახით, მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს აუცილებელი საწყისი შენატანი მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით, ანუ 14212 ლარი, კონკურსში დამარცხებულს (დამარცხებულებს) მითითებული თანხა დაუბრუნდება (დაუბრუნდებათ) ერთი კვირის ვადაში.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია პრეტენდენტთა მიერ საკონკურსო ტერიტორიაზე მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისთვის მაქსიმალური ოდენობის საცხოვრებელი ფართის შემოთავაზება.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის ადგილობრივ თვითმმართველობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები დალუქული სახით;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშსწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი საბუთი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტენდენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება საჯარო მოსმენის დამთავრების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრეტენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისთვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური, სულხან-საბა ორბელიანის ქ. № 7. ტელ: 7-26-45.

**განაცხადების მიღება შეწყდება 2005 წლის 6 მაისს 17 სთ-ზე.**
**კონკურსის შდეგები გამოცხადდება 2005 წლის 16 მაისამდე.**
**კონკურსში მონაწილეობისთვის პრეტენდენტმა „ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:**

**აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102**
**მიმღები — ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.**
**საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.**
**ანგარიშსწორების ანგარიშის № 000142402.**

## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს „ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრის" (ქ. ქუთაისი) სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტების მიზნით, შემდეგ ვაკანსიებზე:

| | |
|---|---|
| – მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია | – 3 სპეციალისტი |
| – კომპიუტერული ტომოგრაფია | – 2 სპეციალისტი |
| – ინტერვენციული რადიოლოგი | – 1 სპეციალისტი |
| – ენდოსკოპისტი | – 1 სპეციალისტი |
| – პერფუზიოლოგი | – 1 სპეციალისტი |
| – კარდიოქირურგი | – 1 სპეციალისტი |
| – სამედიცინო აპარატურის ინჟინერი (ფიზიკოსი) | – 1 სპეციალისტი |
| – მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ინჟინერი | – 1 სპეციალისტი |
| – ნეიროქირურგი | – 1 სპეციალისტი |
| – ანგიოკორონაროგრაფიის სპეციალისტი | – 1 |
| – ზოგადი ქირურგი | – 1 სპეციალისტი |
| – ორთოპედი – ტრავმატოლოგი | – 1 სპეციალისტი |
| – საოპერაციო ექთანი | – 2 (ნეირო და კარდიოქირურგია) |

კონკურსში გამარჯვებული სპეციალისტები, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სტაჟირებას გაივლიან 2-3 თვის განმავლობაში ავსტრიაში, გრაცის საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე, ა. წ. მაისის თვიდან. კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრთან ხელშეკრულება გაფორმდება 3 წლის ვადით, უცხოეთის წამყვანი კლინიკებიდან მოწვეული სპეციალისტების მეთვალყურეობით.

**საბუთების ჩამონათვალი:**

– ავტობიოგრაფია (CV)
– დიპლომის ასლი
– ცნობის ასლი ინტერნატურის (ორდინატურის ან კერძო რეზიდენტურის) გავლის შესახებ (სამედიცინო პერსონალისათვის)
– გავლილი სტაჟირების (სამეცნიერო წოდების) ცნობის ასლი
– საზღვარგარეთის პასპორტის (არანაკლებ 1 წლის მოქმედების ვადით) ასლი
– 2 ფოტოსურათი
– შრომის წიგნაკის ასლი

**კონკურსის აუცილებელი პირობები:**

– არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი სპეციალობის მიხედვით
– უცხო ენის ცოდნა (ინგლისური ან გერმანული)

საბუთების ჩაბარება და დამატებითი ინფორმაციის მიღება იწარმოებს **ა. წ. 12 აპრილის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე.**

**მისამართი: თბილისი, ჯავახიშვილის ქუჩა №52, მე-3 სართული, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.**

**ტელ. 91-03-90**
**მობ. (877) 50-18-77**

კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო:

**თბილისი, ჯავახიშვილის ქუჩა №52, მე-3 სართული, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.**

**13 აპრილი 9 – 17 სთ.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (მის: ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. № 7) აცხადებს ღია ტენდერს უმწეოთა სასადილოსთვის კვების პროდუქტების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს **(შესასყიდი პროდუქტების ჩამონათვალი მოცემულია № 1 დანართის სახით)**.

2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3. მიწოდების სავალდებულო ვადაა **2005 წლის 2 ივნისიდან 2006 წლის 1 მარტამდე.**

4. მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს საქართველოში დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 12 მაისიდან 2005 წლის 27 მაისამდე 10 საათიდან 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. № 7**. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი: ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლო დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ან მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ);

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

გ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სრულად გასტუმრებული ვადიანი გადასახადების შესახებ სახელმწიფოს წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან);

ბ) ინფორმაცია მსგავს შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ, აღნიშნული პირის ანალოგიური შესყიდვის პროცედურების უკანასკნელი 3 წლის გამოცდილება შემდეგი მონაცემების წარმოდგენით:

**შესყიდვის ობიექტის (საქონელი, სამუშაო, მომსახურება)**

**დასახელება ---------------------------------**

**შემსყიდველის დასახელება -------------**

**ხელშეკრულების ღირებულება ---------**

გ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება:

**თანამდებობა ----------------------------**

**გვარი, სახელი, მამის სახელი --------**

**მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)**

**-------------------------------------------------------**

**ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება წელი -----------------------------**

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (**ანგარიშის № 525121819 „საქართველოს ეროვნული ბანკის" საოპერაციო სამმართველო, მფო 220101107. სახაზინო კოდი 4040**) შეეძლებათ **2005 წლის 12 მაისის 10 საათიდან 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. ფოთი, ადგილობრივი თვითმმართველობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ტელ: (8293) 2-06-38.** სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

7. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

8. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა მიუღებელია.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: **მერაბ ნადარაია, ტელ: (8293) 2-06-38 ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. 7, ადგილობრივი თვითმმართველობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.**

**სატენდერო კომისია.**

### საქონლის მიწოდების გრაფიკი

| № | მისაწოდებელი საქონელი | რაოდ.(კგ) |
|---|---|---|
| 1. | პური | 24600 |
| 2. | კარტოფილი | 10650 |
| 3. | ხახვი | 3150 |
| 4. | სტაფილო | 2100 |
| 5. | კომბოსტო | 3150 |
| 6. | ლობიო | 3300 |
| 7. | ჭარხალი | 1240 |
| 8. | ხორცი | 6750 |
| 9. | მწვანილი | 1300 |
| 10. | ბრინჯი | 2700 |
| 11. | მაკარონი | 2620 |
| 12. | წიწიბურა | 450 |
| 13. | ტომატი | 570 |
| 14. | ზეთი | 1500 |
| 15. | შავი წიწაკა | 10 |
| 16. | ხმელი სუნელი | 20 |
| 17. | დაფნა | 30 |
| 18. | მარგარინი | 3600 |
| 19. | კარაქი | 80 |
| 20. | ფქვილი | 140 |
| 21. | ძმარი | 100 |
| 22. | საკისელე | 300 |
| 23. | ჩაი | 130 |
| 24. | კაკაო | 70 |
| 25. | რძის ფხვნილი | 300 |
| 26. | შაქარი | 2100 |
| 27. | ხილი | 300 |
| 28. | ნიორი | 100 |
| 29. | მარილი | 150 |
| 30. | პეჩენია | 2250 |

**მიწოდების ადგილი ქ. ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.**

**მიწოდების გრაფიკული ვადები – შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 დღისა.**

№ 82-83. შაბათი, 9 აპრილი, 2005 წელი.

◎ უმაღლესი განათლება

# გამოცდა... გამოცდებამდე

## რამდენიმე კითხვა-პასუხი, რომლებიც ჩვენს მკითხველებს და აბიტურიენტებს აინტერესებთ

**ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესებს არც განათლების სფეროსთვის აუვლიათ გვერდი. მანამდე, წლების მანძილზე, ამ მიმართულებით მკვეთრი „ბიძგები“ არ ყოფილა: ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და, გარკვეულწილად, კონსერვატულიც იყო. თუმცა, სულ ახლახან „ცუნამმა“ ამ „საუკუნოვან კუნძულსაც“ გადაუარა. როგორი იქნება მისი შედეგები? ძველის ადგილზე ან „ოაზისი“ აღმოცენდება ახალი სისტემისა და აღსაზრდელების სახით, ან...**

**დღეს ამ კითხვაზე ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძნელია. ის კი ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ რეფორმები აუცილებელია და საუკუნის მაჯისცემას ჩვენც უნდა ავუწყოთ ფეხი. ერთი კია, მცირე, მოზომილი ნაბიჯები ევოლუციურ საფეხურებზე ფეხის დაცდენისგან გვიცავს. ჩვენ კი ნახტომი ავირჩიეთ. შესაძლოა, იმიტომაც, რომ ჩამორჩენას სიდინჯით ვერ დავძლევთ. იმედია, გზა მოლიპული არ იქნება.**



ამჟამად ქვეყანა წინასაგამოცდო ციებ-ცხელებამ და ფაციფუცმა მოიცვა. ნერვიულობენ აბიტურიენტები. მათ ხომ „ყბადაღებული“ უნარ-ჩვევების ტესტებისთვის მოუწევთ მაქსიმალური მობილიზება. იქამდე კი გარკვეულ ვადებში საბოლოოდ თუ არა, მიახლოებითი არჩევანი მაინც უნდა გააკეთონ მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით. ღელავენ მშობლები – ბუნებრივი განცდების გარდა, მათ გარკვეული ფინანსური ვალდებულებაც დაეკისრათ.

რედაქციაში კითხვით არაერთმა შეწუხებულმა აბიტურიენტმა და მშობელმა მოგვმართა. მიუხედავად იმისა, რომ წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემას მაქსიმალურად ცდილობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნოვაცია მაინც ბადებს შეკითხვებს. ამიტომ ჩვენც შეძლებისდაგვარად შევეცადეთ დახმარების ხელი გაგვეწოდებინა „ერთიანი ეროვნული გამოცდების“ „პირველი მერცხლებისთვის“ და ზოგიერთი გაურკვევლობა კომპეტენტური პირისაგან მოწოდებული ინფორმაციით გაგვეფანტა.

ამისათვის **„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორს, ქალბატონ მაია მიმინოშვილს** მივმართეთ.

**– ქალბატონო მაია, მოუწევთ თუ არა წელს მეთერთმეტეკლასელებს გამოსაშვები გამოცდების ჩაბარება და თუ მიექცევა ყურადღება ნიშნებს უმაღლესში ჩაბარებისას?**

– გამოსაშვები გამოცდების დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი კონკრეტული სკოლის გადასაწყვეტია, რომელიც ატესტატს გასცემს. ისინი ირჩევენ საგამოცდო საგნების რაოდენობასაც. სკოლაში მიღებულ ნიშნებს კი უმაღლესში ჩაბარებისას არავითარი ყურადღება არ მიექცევა. ყველა სტუდენტი თანასწორი უფლებით ისარგებლებს.

**– იქნება თუ არა ასეთივე თანასწორობა სარეგისტრაციო გადასახადის – 30 ლარის გადახდის დროს? თუ დაიშვება რაიმე გამონაკლისი განსაკუთრებით მძიმე პირობების მქონე ბავშვებზე?**

– ამ თანხის გადახდა ყველასთვის სავალდებულოა. გამონაკლისი არ დაიშვება, ხოლო განსაკუთრებული მდგომარეობის მქონე ან გაჭირვებულ აბიტურიენტებს შეუძლიათ დასახმარებლად სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მიმართონ, ან სპონსორები იპოვონ.

**– რეგისტრაციის ვადა 10 აპრილამდე გაგრძელდა. შეუძლიათ თუ არა აბიტურიენტებს, ვისაც ზუსტად არ ამოურჩევია ფაკულტეტი, რამდენიმეზე განაცხადის შეტანა და რა საბუთების ქონაა საჭირო?**

– მათ 5 არჩევანის უფლება აქვთ. თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ცნობა, რომ ნამდვილად არიან სკოლის მოსწავლეები და გადასახდელი თანხის ქვითარი.

**– 30 ლარი ნამუშევარზე საპრეტენზიო განაცხადის წამოყენებაზეცაა დანიშნული. ეს ერთ საგანზე გადასახდელი თანხაა? და კიდევ სტუდენტის სიმართლის შემთხვევაში დაუბრუნდება თუ არა იგი უკან?**

– დიახ, ყოველ საპრეტენზიო განაცხადზე 30 ლარია დაწესებული. თუკი სიმართლე დადასტურდა, თანხა სტუდენტს უბრუნდება.

**– უკვე იყიდება ზოგადი უნარ-ჩვევების ტესტები. რა ღირს ეს ბროშურა და შეძლებენ თუ არა აბიტურიენტები მისი საშუალებით გამოცდისათვის სრულყოფილად მომზადებას?**

– მოსწავლეს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში უყალიბდება უნარ-ჩვევები. მათი სწავლა, როგორც ასეთი, შეუძლებელია. თუ ბავშვის ზოგადი განათლების დონე კარგია, იგი კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას და თვალთახედვის ფართო არეალი აქვს, მაშინ მისთვის აღნიშნული დავალებების შესრულება პრობლემა არ იქნება. კრებული 2 ლარი ღირს და მისი საშუალებით შესაძლებელია საგამოცდო საკითხებზე მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა. გამოცდაზე 100 შეკითხვისათვის 3 საათი იქნება დათმობილი.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ კრებულში შესული დავალებები ათასჯერაა აპრობირებული და ისინი განსაზღვრულია გარკვეული ასაკობრივი კატეგორიის – 17-18 წლის ბავშვებისათვის.

**– და ბოლოს, ხალხში საკმაო დაინტერესება გაჩნდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის მიმართ. მისი გაცნობა კი მხოლოდ ვებ-გვერდზეა შესაძლებელი. როგორ ფიქრობთ, საკმარისია თუ არა გაწეული სამუშაო საინფორმაციო უზრუნველყოფის მხრივ? რა ქნას იმ ადამიანმა, ვისაც ინტერნეტი არა აქვს, ან აქვს, მაგრამ შუქი არ არის, ან თუნდაც სოფლის მოსახლეობამ, სადაც ტექნიკურ პროგრესს ჯერ არ შეუღწევია?**

– ვფიქრობ, კანონპროექტის გაცნობა ყველასთვის საინტერესო არ არის. და თუ მაინც ასეა, ინტერნეტკაფეები დღესდღეობით ყველგანაა. ამასთან, იყიდება ბროშურებიც. ჩემი აზრით, საინფორმაციო უზრუნველყოფა საკმაოა.

*  *  *

**ისღა დაგვრჩენია, მომავალ სტუდენტებს მხნეობა და მეტი ენთუზიაზმი ვუსურვოთ, ისინი ხომ კარს ახალ „საგანმანათლებლო ერას“ უხსნიან, რომლის ბედი მათ შედეგებზეა დამოკიდებული.**

**წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს აბიტურიენტებს და იმათაც, ვინც გამოცდების დაწყებამდე აბარებს „გამოცდას“ – რეფორმის შესაბამისად ამზადებს სათანადო პირობებს ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის სასურველ დონეზე წარმართვისთვის.**

**ნინო ბერძნიშვილი.**

◎ გვწერენ

# ახდენილი ოცნება

კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის მერამდენედ შეიგრძნო ვარდების რევოლუციის კეთილი სურნელი ფონიჭალის უსინათლოთა დასახლების მცხოვრებლებმა, – ამ მიმართულებით სულ ახლახან დაინიშნა უკრაინული „ბოგდანის“ მარკის კომფორტული ავტობუსები (№46), რომელთა გამოჩენას წლების ლოდინის შემდეგ დიდი ზარ-ზეიმით შეხვდა ხალხი. არადა, წინა წლებში სამარშრუტო ტაქსების ფონიჭალური მაფიის შიშით ამ არემარეზე ავტობუსებს ვინ გააჭაჭანებდა. ამის გამო უსინათლოები მოკლებულნი იყვნენ არამარტო ავტობუსით მომსახურებას, არამედ ქალაქის მერიიდან მათთვის დაშვებული ავტობუსებით უფასო მგზავრობის შეღავათსაც. ახლად დანიშნული ავტობუსების მარშრუტი ფონიჭალიდან დიღომამდე (ავლაბრის გავლით) ისე გონივრულადაა დაკომპლექტებული, რომ ფონიჭალელ უსინათლოს შეუძლია ტრანსპორტის შეუცვლელად მივიდეს ქალაქის ნებისმიერ ადგილზე.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის გამგეობა ფონიჭალაში მცხოვრები, სიხარულით გულანთებული უსინათლოების სახელით დიდ მადლობას უხდის ქვეყნის მთავრობას და ქალაქ თბილისის მერიას მათდამი გამოჩენილი ზრუნვისთვის.

**რევაზ მაისურაძე,**
**საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარე**


# UFYW[FLT,F

თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური, მის: თბილისი, მიცკევიჩის ქ. № 29ა, აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს შემდეგი პროგრამის განხორციელებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. „სკოლიოზის პრევენციის“ პროგრამა (4 800 ესპანდერის შესყიდვა, ადგილი – თბილისი). ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

მომსახურების შესრულების ვადაა ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე.

• დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 25 აპრილიდან 27 აპრილის 16 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის ქ. № 29ა, IV სართული, სატენდერო აპარატი.

• სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა საკვალიფიკაციო მონაცემების დადასტურებიდან 5 დღის ვადაში.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის:**

• ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

• ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**ფიზიკური პირისთვის:**

• ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

• ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

– განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;

– ლიცენზიის ასლი საქმიანობის შესახებ ნოტარიულად დამოწმებული;

– იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

– სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ცნობა (სასამართლოს გადაწყვეტილება);

– წესდების ასლი;

– ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

– ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებთან შერწყმა;

– ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

– ცნობა, რომ ორგანიზაციისადმი და მისი ხელმძღვანელისადმი არ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

მსურველი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს განცხადებაში მოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი/ან არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული ტენდერში მონაწილის ხელმოწერითა და ბეჭდით.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად დამტკიცდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია. საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტებისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემა მოხდება კანონით დადგენილი წესით შემდეგ მისამართზე: თბილისი, მიცკევიჩის ქ. № 29ა, IV სართული, თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის სატენდერო კომისიის აპარატი, ტელეფონი: 37-96-70; 37-78-09.

სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება მხოლოდ ტენდერის იმ მონაწილეზე, რომელმაც გაიარა საკვალიფიკაციო შერჩევა და გადაიხადა კანონით გათვალისწინებული მოსაკრებელი (500 ლარი) რომელიც ირიცხება მიმღები საქ. ეროვნული ბანკი ს/კ 220101107. სატენდერო მოსაკრებლის კოდი 4040.

ორგანიზაციებს რაიონული რეგისტრაციის მიხედვით:

ა/ა 507121604 (ვაკე-საბურთალო); ა/ა 507121701 (გლდანი-ნაძალადევი); ა/ა 507121002 (დიდუბე-ჩუღურეთი); ა/ა 507121303 (მთაწმინდა-კრწანისი); ა/ა 507121905 (ისან-სამგორი).

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს, ტექსტში მითითებულ მისამართზე.

**კომისიის აპარატი.**



# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს პროფესიონალური ვიდეოკასეტების ვიდეოგადამღების აკუმულატორი BP – GL 95 (Soni) 30 ცალის; Anton Bauer PROPAC 14 4 ცალის; Sony NP – F330 (BATTERY) 4 ცალის; Canon BATTERY PACK BP-930 4 ცალის, ვიდეომაგნიტოფონის თაურები Sony DBH -34 2 ცალის; Sony DBR – 44R 10 ცალის; Sony DBR – 40BR 10 ცალის; Sony DBM – 46A 2 ცალის, მუდმივი კვების წყაროსთვის აკუმულატორები CSB BATTERY GP12170 300 ცალის, რადიოდეტალების: ტრანზისტორების; რეზისტორების; მიკროსქემების; კონდენსატორების; ტირისტორების; ტრანსფორმატორების; სამონტაჟო პლატების შესყიდვაზე.

აღნიშნული საქონლის მოწოდების სასურველი ვადაა ორი კვირა.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას მხედველობაში იქნება მიღებული შემდეგი კრიტერიუმები: ფასი; ხარისხი; მოწოდების ვადა; მიწოდების ადგილი;

საკვალიფიკაციო მონაცემები მიიღება 2005 წლის 26 აპრილიდან 28 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი № 41, დღის 10 საათიდან 18 საათამდე.

***შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:***

– ცნობა იმის შესახებ, რომ მის ქონებას არ ადევს ყადაღა;

– ცნობა იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და რომ არ ხდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია;

– ცნობა იმის შესახებ, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდადებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

– ცნობა ფინანსური მდგომარეობის შესახებ (საგადასახადო სამსახურიდან და საბანკო დაწესებულებიდან);

– რეგისტრაციის შესახებ დადგენილება.

***შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:***

– ცნობა იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

– ცნობა იმის შესახებ, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდადებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

უნდა იყვნენ ქმედუნარიანები.

პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2005 წლის 13 მაისიდან 2005 წლის 20 მაისამდე, ქართულ ენაზე, 500 ლარის (მოსაკრებლის) გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ან პრეტენდენტი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე

სატენდერო აპარატთან საკონტაქტო ნომრებია: 7-43-82; 7-43-77.

**სატენდერო კომისია.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს პროფესიონალური ვიდეოკასეტების – Sony DV cam PDV _ 184 ME 700 ცალის; Sony BCT - 30 MA 200 ცალის; Sony BCT - 90 MLA 200 ცალის; Sony mini DVcam PDV – 40 ME 50 ცალის შესყიდვაზე.

კასეტების მიწოდება უნდა განხორციელდეს პერიოდულად, 2005 წლის 31 დეკემბრამდე, ქ. ბათუმში.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებისას მხედველობაში იქნება მიღებული შემდეგი კრიტერიუმები: ფასი; ხარისხი; მოწოდების ვადა; მიწოდების ადგილი;

საკვალიფიკაციო მონაცემები მიიღება 2005 წლის 26 აპრილიდან 27 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი № 41, დღის 10 საათიდან 18 საათამდე.

***შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:***

– ცნობა იმის შესახებ, რომ მის ქონებას არ ადევს ყადაღა;

– ცნობა იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება და რომ არ ხდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია;

– ცნობა იმის შესახებ, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდადებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

– ცნობა ფინანსური მდგომარეობის შესახებ (საგადასახადო სამსახურიდან და საბანკო დაწესებულებიდან);

– რეგისტრაციის შესახებ დადგენილება.

***შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:***

– ცნობა იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

– ცნობა იმის შესახებ, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდადებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

უნდა იყვნენ ქმედუნარიანები.

პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ 2005 წლის 8 მაისიდან 2005 წლის 15 მაისამდე, ქართულ ენაზე, 500 ლარის (მოსაკრებლის) გადახდის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდეგ.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ან პრეტენდენტი პირის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე

სატენდერო აპარატთან საკონტაქტო ნომრებია: 7-43-82; 7-43-77.

**სატენდერო კომისია.**



# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს კონკურსს წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად:

– წალენჯიხის რ-ნში, №5ა წყაროს წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ჭიათურის რ-ნში სოფ. ხრეითის ტერიტორიაზე მდ. ბუჯის სათავეში წყაროს წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ქ. თბილისში, ავჭალაში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ინერტული მასალის მოპოვების მიზნით;

– თერჯოლის რ-ნში, სოფ. ნახშირღელეში ნავენახევის უბანზე „ბროლისქედის“ ქალცედონის მოპოვების მიზნით;

– ტყიბულის რ-ნში კურსების ტეშენიტის საბადოს ლოლაშენის უბნის მიმდებარე ტეშენიტის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ბოლნისის რ-ნში მდ. მაშავერას ხეობაში სოფ. მწყენთის მიმდებარედ ქვიშა-ხრეშის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– მარნეულის რ-ნში ყიზილაჯლოს III ბაზალტის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ახალქალაქის რ-ნში აბულის ინერტული მასალის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ბოლნისის რ-ნში სოფ. ნახიდურთან მდ. ქციისა და მაშავერას შესართავთან ინერტული მასალის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– გურჯაანის რ-ნში კურორტ ახტალას მიმდებარე ტერიტორიაზე №№ 3, 4, 5, 6 ჭაბურღილებიდან მტკნარი წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– თეთრი წყაროს რ-ნში ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის ბანაკის მიმდებარედ, სოფ. დაღეთ-ხაჩინის, სოფ. წინწყაროს (2 ობიექტი), სოფ. დურნუკის, აგრეთვე სოფ. დაღეთ-ხაჩიანის და წინწყაროს შორის მდებარე ინერტული მასალის გამოვლინების შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ქარელის რ-ნში სოფ. ბებნისის განაპირას მიწისქვეშა წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ახმეტის რ-ნში სოფ. ხოდაშენისა და იყალთოს მიმდებარე ტერიტორიაზე გომბორის მთის კალთებზე კეთილშობილი ლითონების მადანგამოვლინებების შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– ქ. ქუთაისში მდ. რიონის მარჯვენა სანაპიროზე არსებული ჭაბურღილიდან მტკნარი წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით.

– ხარაგაულის რ-ნში მდ. ჩხერიმელას მარცხენა ნაპირზე წყაროს წყლის შესწავლა-მოპოვების მიზნით;

– აბაშის რ-ნში სოფ. მარანში მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე ინერტული მასალების მოპოვების მიზნით;

– ქ. თელავში აჩინებულის ქუჩის ტერიტორიაზე მდებარე ორი ჭაბურღილიდან მტკნარი წყლის მოპოვების მიზნით.

ლიცენზიები გაიცემა 20 წლამდე ვადით, წიაღით სარგებლობის მოთხოვნილი პარამეტრების გათვალისწინებით. სალიცენზიო ობიექტებს დაუწესდებათ მიწის მინაკუთვნი და მასზე უფლება გაიცემა ლიცენზიასთან ერთად.

წიაღით სარგებლობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი რაციონალური გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

წიაღით სარგებლობის კონკრეტული პირობები დაზუსტდება პრეტენდენტების მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად.

ლიცენზიის მოპოვების მსურველმა პირებმა სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით და წარმოადგინონ დოკუმენტაცია „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება **2005 წლის 26 აპრილამდე.** კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით. **დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 39-91-81. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**

**მისამართი: თამარაშვილის 15ა.**



# შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის“ განცხადება

**შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური“ ახდენს საწარმოს უძრავი და მოძრავი ქონების შესაფასებლად იურიდიული პირის შერჩევას.**

**დაინტერესებულმა პირებმა, მიმდინარე წლის 20 აპრილამდე, უნდა წარმოადგინონ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია ბათუმის ნავსადგურში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქუჩა №1:**

**1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;**

**2. ქონების შეფასების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;**

**3. ინფორმაცია აღნიშნულ სფეროში საწარმოს გამოცდილების შესახებ;**

**4. შეფასებული საწარმოების ჩამონათვალი;**

**5. შემფასებელ პირთა სია და პროფესიული მონაცემები;**

**6. შეფასების ღირებულების სტრუქტურა;**

**7. შეფასების პროცედურის მოკლე აღწერილობა;**

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. №1. საკონტაქტო ტელ: 7-61-69.**

**შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური“.**



**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად, სს „საქაგრობიომრეწვის“ მიერ წარმოდგენილია I კატეგორიის საქმიანობაზე:**

გარდაბნის რ-ნის სოფ. ტაბახმელაში მდებარე ბიოკომბინატის I, II, III და XI შენობების შიდა აღჭურვილობის დემონტაჟის და აზბესტშემცველი ნარჩენების სამარხი ბუნკერის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

**საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 24 მაისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, თამარაშვილის 15ა. ტელ.: 39-91-81.**

**საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 24 მაისს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში. თბილისი, კოსტავას 68ა, VI სართული.**

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.**



**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს საჯარო ადმინისტრაციული წესით საქმისწარმოების დაწყებას გეოლოგიური საქმიანობის შემდეგ სალიცენზიო განაცხადებთან დაკავშირებით:**

**1. ინდივიდუალური საწარმო „კვადრი“ – საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები;**

**2. შპს „ნავთობსამეცნიერო“ – საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები**

**ზეპირი მოსმენა გაიმართება სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში 2005 წლის 28 აპრილს, 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა, მე-3 სართული.**

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.**



# განცხადება

სს „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება არშემდგარი კვორუმის გამო განმეორებით დანიშნულია 2005 წლის 5 მაისს 10 საათზე.

**დღის წესრიგი:**

**1. 2004 წლის წლიური საფინანსო მაჩვენებლების განხილვა;**

**2. სხვადასხვა საკითხები.**

მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.

**სს „ყვარელის“ ადმინისტრაცია.**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ვაკის პარკში. 1990 წელი.

შალვა შარაშიძის ფოტოარქივიდან.

## გიხაროდენ!

# აბუსერიძეებს ბიჭი შეგვეძინა

— ბათუმიდან გირეკავთ. ჩემმა მეზობელმა თქვენი გაზეთი მომიტანა. ბოლო გვერდზე წავიკითხე, თუ როგორ გაახარა ჩვილის დედა გაზეთის მილოცვამ...

ორი გოგონა — დარეჯანი და ნათია უკვე გვყავს. მე და ჩემი მეუღლე ლამარა მესამე შვილს, ბიჭს ვნატრობდით.

უფალმა ისმინა ჩვენი სურვილი და გოგოებს ახლა ძმაც მიემატა. თვალხატულა ბიჭს მამაჩემის სახელი ოთარი დავარქვით.



ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვახარებს მესამე შვილი. ხომ ნათქვამია, — სამი შვილი, მართლა შვილიო! აჭარლები მრავალშვილიანობით გამოვირჩევით... კვლავაც ასე იქნება.

ლევან აბუსერიძე.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.



**ბაკკარა** — ქალაქი საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში. ცნობილი გახდა 1766 წელს, ბროლის ქარხნის ნაწარმის წყალობით. ბაკკარა ჰქვია ბროლის ძვირფას ხარისხს და მისგან შექმნილ ნივთებს.

**კაქტუსი** კომპიუტერებისა და ტელევიზორების წინ უნდა დავდგათ, რადგან იგი გამოსხივებას შთანთქავს.

**კატა** ეგვიპტური ცხოველია, აქედან შემოვიდა იგი ევროპაში 2000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

**მსოფლიოში** ყველაზე დიდი — არაბეთის ნახევარკუნძული აზიაშია. მისი ფართობი 2730 ათასი კვადრატული კილომეტრია.

**ქრიზანთემა** ითვლება სევდის, მწუხარებისა და სიკვდილის ყვავილად.

**პლომბიერი** — ქალაქი საფრანგეთში. იქ პირველად გამოჩნდა ნაღებიანი ნაყინი, ხილით, მარწყვით, ცუკატით, კრემით შეზავებული. დღეისათვის მან შეიცვალა სახელწოდება და პლომბირად იწოდება.

## გაზაფხულის საღამოა მშვიდი...

# ბოლო ნავსაყუდელი — საქართველო

**ეს ელეგანტური მამაკაცი პოეტმა და ჟურნალისტმა, მრავალი საესტრადო სიმღერის ტექსტის ავტორმა ზურაბ გოშაძემ გამაცნო: გასული საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში პოპულარული საესტრადო მომღერალი, ქართული როკ-ენ-როლის მეფედ აღიარებული ენრიკო ჯანელიძეაო...**

გვარიანად შევჩქვიფდი: რა ხანია, როგორც იტყვიან, ხელოვნების ხალხში ვტრიალებ და, ჩემდა სამარცხვინოდ, ამ კაცის სახელი და გვარი პირველად მესმოდა. გულიანად იცინის ზურა: რა გასაკვირია, რომ არ იცნობდე, ენრიკომ მთელი ცხოვრება მოგზაურობაში გაატარა, სხვადასხვა გემით მსოფლიოს თექვსმეტჯერ შემოუარაო...

***— საინტერესოა...***

— ჰოდა, თუ გაინტერესებს, აგერ შევიდეთ, თქვენი გაცნობისა დავლოცოთ და თვითონ მოგიყვება ენრიკო ყველაფერს...

— ოღონდ, მე გპატიჟებთ, — ამბობს ენრიკო და ცოტა ხანში, მაგიდასთან გულიანად ვსაუბრობთ.

ენრიკო ჯანელიძეს სიმღერა ბავშვობიდანვე იტაცებდა. საესტრადო სასწავლებელი დაამთავრა. მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, სტუდენტურ კაპელაშიც მღეროდა თემურ ქევხიშვილის ხელმძღვანელობით. დიდი მადლიერებით იხსენებს იგი ბატონ თემურს, საერთოდ, ქართულ ხალხურ სიმღერებზე შეყვარებული კაცია, თუმცა, მოხდა ისე, რომ მთელი შეგნებული ცხოვრება საესტრადო მუსიკას დაუკავშირა და ახლა არც ნანობს. პირიქით, რომ არა ეს ჟანრი, ასეთ წარმატებებს ალბათ ვერ მივაღწევდიო, — ამბობს.

შემდეგ მღეროდა ანსამბლებში — „არმაზსა“ და „ლალეში“, მაგრამ, ახალგაზრდა კაცმა, რახან თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა სურდა, თავად ჩამოაყალიბა 1976 წელს ანსამბლი „სალაღობო“. ერთ მშვენიერ დღესაც ფილარმონიაში ამერიკიდან მოვიდა შემოთავაზება, გემზე სამუშაოდ იწვევდნენ ისეთ ანსამბლს, რომელიც ქართულთან ერთად უცხოურ სიმღერებსაც ასრულებდა. არჩევანი „სალაღობოზე“ შეჩერდა და ასე აღმოჩნდა ენრიკო და მისი ანსამბლი ახალ ორლეანში გემ „ოდესაზე“, სადაც ამერიკელ, ფრანგ, იტალიელ, ინგლისელ ტურისტებს ემსახურებოდნენ...

***— და რახან ერთხელ გახვედით, გახვედით და გახვედით...*** — ვეუბნები ღიმილით ენრიკოს.

— ზუსტად... შემდეგ იყო მიწვევა გემებზე — „მაქსიმ გორკი“, „შოთა რუსთაველი“, „გრუზია“, „ბელორუსია“, „ივან ფრანკო“, „ტარას შევჩენკო“, „პეტრე I“... ეს იყო საუკეთესო წლები, შეხვედრები სხვადასხვა ეროვნების, სხვადასხვა ხასიათის, ტემპერამენტის, მუსიკალური გემოვნების ადამიანებთან... ოღონდ, თავის ქებაში ნუ ჩამითვლით და, ყველგან ვრჩებოდი ქართველად, პროგრამა იწყებოდა და მთავრდებოდა ქართული სიმღერით... საერთოდ, მგონია, რომ ქართულ მელოდიას ვერაფერი შეედრება, თუმცა, სხვადასხვა ერის 800-ზე მეტი სიმღერა მაქვს რეპერტუარში... მგონია, რომ საქართველოს ვერაფერი შეედრება, თუმცა ორასი ქვეყანა მაქვს ნანახი...





***— და ბოლო ნავსაყუდელი საქართველო, სამშობლო გამოდგა, არა?***

— რა გასაკვირია, ასეც უნდა ყოფილიყო... სხვათა შორის, შარშან, იანვარში მესიჯი მივიღე კანცელარიიდან, დაბრუნდით საქართველოში, აქ ყოველნაირად შევუწყობთ ხელს თქვენს მოღვაწეობასო... გამიხარდა. იმხანად, ისედაც თბილისში ვიყავი დედის ავადმყოფობის გამო, ვიფიქრე, მეშველა-მეთქი... ვინ გაქცევს ყურადღებას... საკუთარი სახსრებით ერთი სოლო კონცერტი კი გავმართე ხელოვნების მუშაკთა სახლში და, ეს იყო და ეს... არადა, უზარმაზარი, მრავალფეროვანი, საინტერესო პროგრამა მაქვს... არსაიდან ხმა... დღეს, როდესაც ქართული ესტრადა კრიზისშია, როდესაც უამრავი ანსამბლი და სოლისტი იწონებს თავს ტელეეკრანზე, რეპერტუარის, შესრულების დონე და ხარისხი კი ძალზე დაბალია, ჩემი კონცერტები მხოლოდ სასიკეთოდ თუ წაადგებოდა საერთო საქმეს...

ზურა გოშაძემ, ეს რა კაი რამე თქვი კაცოო, მოდით ჩვენს „საერთო საქმეს“, საქართველო რომ ჰქვია სახელად, იმას გაუმარჯოსო...

რაღა გვეთქმოდა, ჭიქები მივუჭახუნეთ.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათებზე: ენრიკო ჯანელიძე; ამერიკული ესტრადის ლეგენდასთან — ელვის პრესლისთან ერთად.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



საავადმყოფოს პალატა, საღამოს 10 საათი. ავადმყოფი ტელევიზორს უყურებს.

— აბა, ავადმყოფო, გვეყო ტელევიზორის ყურება, დროა, ლოგინში ჩავწვეთ.

— სიამოვნებით, მაგრამ რომ წაგვასწრონ?

* * *

— გყავს ქალის იდეალი?

— მყავდა.

— რაო, მოკვდა?

— უარესი, მე მასზე დავქორწინდი.

* * *

ექიმმა-კოსმეტოლოგმა პაციენტ ქალს ბერძნული პროფილი დაუყენა, ნაოჭები გაუსწორა, ღაბაბი მოაცილა, პირი დაუპატარავა.

— კიდევ გნებავთ რაიმე? — ეკითხება.

— შეიძლება, რომ დიდი გამომხატველი თვალები გამიკეთოთ?

— რა თქმა უნდა. აგერ, დახედეთ ანგარიშს!

* * *

— ოფიციანტო, თქვენს მიერ მოტანილი ხორცი ისეთი პატარაა, ერთ წამში გადავყლაპავ.

— ძალიან ცდებით! მინიმუმ ნახევარი საათი მაინც მოგიწევთ მისი ღეჭვა.

* * *

კედელზე დასამაგრებელი ელექტროგამომრთველი ზარმაცის მოგონილია, თორემ შრომისმოყვარე ადამიანს არ დაეზარებოდა სკამზე შედგომა და ნათურის მოშვება.

* * *

ნურასოდეს შეგეშინდება იმის კეთება, რაც არ იცი. გახსოვდეს, რომ ნოეს კიდობანი მოყვარულმა ააგო, ტიტანიკი კი — პროფესიონალმა.

* * *

მიმდინარეობს სამხედრო წვრთნები. პირველი პილოტი ეძახის შტურმანს:

— სტეპანიჩ, უთხარი ერთი მაგ ბატისტვინა მედესანტეებს, თავი დაანებონ გადახტომას, ჩვენ ხომ ჯერ არც ავფრენილვართ!

მარიკა ლორთქიფანიძე, ირა ასათიანი, ნუგეშა მაყაშვილი, მარიამ თაბორიძე, ქუქუნა ლექავა, ზეინაბ გაბაშვილი, ბაია ფუთურიძე, ნაზიკო მახარაძე, რევაზ ჩხეიძე, ნიკო ქანთარია იუწყებიან უახლოესი მეგობრის

ასმათ (ცაცო) ინაშვილ-ჯაფარიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება ჩვენი პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის მეუღლის, ქალბატონ

ასმათ (ცაცო) ინაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

**მერაბ ბერძენიშვილი.**

---

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი

ზივი ნოდია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და გულშემატკივრებს.

---

ივლიანე თოდუა, ჯულიეტა კაკაბაძე, ირა და მაია თოდუები მწუხარებით იუწყებიან მარად დაუვიწყარი

ნანული შანავა-დადიანის

უდროოდ გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

სააქციო საზოგადოება „საქჰიდროენერგომშენი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე, ცნობილი ენერგეტიკოსი

ვახტანგ თოფურია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

მერაბ, ტატიანა, ლიანა და თემურ დავითაიები იუწყებიან ოჯახის მეგობრის

ვახტანგ თოფურიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახსა და ნათესავებს.

---

მოველი ჭაავა ოჯახით გამოხატავს ღრმა მწუხარებას

ვახტანგ თოფურიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

სს „ჰიდროსპეცგვირაბმშენი“ ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი მამულიშვილის

ვახტანგ თოფურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილის

ვახტანგ თოფურიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ბადრი ბერაია და ქეთევან ხუციშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებენ მარინა ცხადაიას და ავთანდილ ბერაიას მამის და სიმამრის

ანზორ ცხადაიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახსა და ყველა ახლობელს.

---

შალვა ნაჭყებია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ციალა ნაჭყებიას მეუღლის, უგულითადესი პიროვნებისა და სახელოვანი მშენებლის

სერგო კვაჭაძის

გარდაცვალების გამო.

---

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან შოთა და დავით ნიორაძეების შვილისა და ძმის

ზივი ნიორაძის

გარდაცვალებას.

---

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „საპატიო რკინიგზელის“ და „ღირსების ორდენის“ კავალერი, თბილმეტროპოლიტენის ღვაწლმოსილი მუშაკი

შალვა (ნოდარ) ღუნღუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ნარგიზა ბოცვაძე, მეუღლე მარინე ჯაში, შვილი დავითი, ძმა კახა ქორიძე, რძალი თამარ ბუჯიაშვილი ოჯახით, სიდედრი ნუნუ თოდაძე, ცოლისძმა ირაკლი ჯაში ოჯახით და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბადრი ქორიძე.

პანაშვიდი 10, 11 IV 17 სთ. გამოსვენება 12 IV, 15 სთ. მისამართი: კეკელიძის 25, III სადარბაზო.

---

კახა ქორიძე ოჯახით იუწყება ძმის

ბადრი ქორიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 10, 11 IV, 17 სთ. გამოსვენება 12 IV 15 სთ. მისამართი: კეკელიძის 25, III სადარბაზო.

---

გივი და ნანა მთვარელიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ კახა ქორიძეს ძმის

ბადრი ქორიძის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ზურაბი, ოთარი, რძლები მაია ქაცარავა, თინათინ წერეთელაშვილი, შვილიშვილები ნატალია, სოფიკო, ელენე, გიორგი, ვლადიმერი, შვილთაშვილი გიორგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ (ვალერიან) ვასილის ძე ყაზახაშვილი.

პანაშვიდი 8, 9 IV, 17 სთ-ზე, დაკრძალვა 10 IV, 15 სთ-ზე. ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. №30ა, I სადარბაზო, მე-3 სართული.

---

სააქციო საზოგადოება „კრისტალ-1887“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადოების წევრი, ინჟინერ-ტექნოლოგი

ბონდო ვალერიანის ძე თოიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

# ვლადიმერ (ვალერიან) ყაზახაშვილი



**ვლადიმერ (ვალერიან) ვასილის ძე ყაზახაშვილი** დაიბადა 1927 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში.

1950 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ზონალურ მანქანათა საგამოცემო სადგურში, შემდეგში მუშაობდა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“ მთავარი ინჟინრის, განყოფილების გამგის, მთავარი სამმართველოს უფროსის და „საქსოფლტექნიკის“ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და შესაბამისი კოლეგიების წევრი.

ბატონ ვლადიმერს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მექანიზატორის საპატიო წოდება, იყო მთავრობის ჯილდოების მრავალგზის კავალერი.

1991 წლიდან ბატონი ვლადიმერი იმყოფებოდა დამსახურებულ პენსიაზე, იგი კვლავ ჩვეული ენერგიით განაგრძობდა მოღვაწეობას სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის სასარგებლოდ. სიცოცხლის ბოლომდე იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი მექანიზატორთა კავშირის გამგეობისა.

ერუდირებული ადამიანისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის, გულისხმიერი კოლეგისა და შესანიშნავი მეოჯახის, ქვეყნის ღირსეული მოქალაქის, ბატონ ვლადიმერ ყაზახაშვილის პიროვნება სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების და მეგობრების ხსოვნაში.

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს მექანიზატორთა კავშირი.**

## გახსენება

# სერგო ყურაშვილი

ჩემო ძვირფასო **სერგო,** ჩემო საყვარელო ძმაო, ჩვენო უსასრულო მონატრებავ, უკვე მეხუთე წელია, 10 აპრილს ყვავილებით ვამკობთ შენს საფლავს. 10 აპრილი ხომ შენი გარდაცვალების დღეა, ვანთებთ სანთლებს და ღმერთს ვავედრებთ შენს სულს.

ყველა სინანულით და უდიდესი სითბოთი გიგონებს, ყველას ენატრები, მაგრამ მე, ერთი ძმა რომ მყავდი სათაყვანებელი და მოსიყვარულე, მენატრები უსაშველოდ, გაგიჟებამდე. რა ვქნა, რომ, სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ შემიძლია, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ შენ საფლავზე დავიწყების ბალახი არასოდეს ამოვა, სანამ შენი და, დისშვილი, შვილები, შვილიშვილები და მათი ოჯახები იარსებებენ ამ ქვეყანაზე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

**შენი და ლეილა ყურაშვილი-ჩქარეული.**

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი 12-გვერდიანია.**
**მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 12 აპრილს.**

**ჩვენი გაზეთის ახალი ლოგოს ავტორია საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი გიორგი ავსაჯანიშვილი.**

## ხსოვნა

# ნანული შანავა-დადიანი



ზუგდიდელ მედიკოსთა რიგებს ნაადრევად გამოაკლდა **ნანული შანავა-დადიანი.** ვერა და ვერ ვიხსენით სიკვდილის მსახვრალი ხელისაგან იგი. მისმა კეთილმა, მაგრამ სუსტმა გულმა მეტს ვერ გაუძლო. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულმა ექიმმა სხვათა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დალია სული. ყველას შემოგვწყრა და სულიერი სიცოცხლის გაგრძელება მუდმივ სასუფეველში — ზეცაში დაიმკვიდრა.

ჩვენ კი მის ნათესავებსა და მეგობრებს დაგვიტოვა მარად გაუქარვებელი მწუხარება.

შენს ახლობლებს ისღა დაგვრჩენია, რომ უმწიკვლოდ შევინახოთ შენი წმინდა სახელი, შენი სამაგალითო ერთგულება პროფესიისა და ოჯახისადმი, რომელიც ეტალონი იყო ყველასთვის.

მშვიდობით, ჩვენო მუდამ მოფუსფუსე და მარად დაუვიწყარო ნანული.

დე, მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა შენთვის. ღმერთმა მარადიულ სასუფეველში დაამკვიდროს შენი კეთილი და ლამაზი სული.

**ნათესავები, მეგობრები.**

# ბონდო თოიძე



მოულოდნელად გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი, დარბაისელი, თავმდაბალი და კეთილსინდისიერი ადამიანი, აგრარული დარგის მუშაკი, სააქციო საზოგადოება „კრისტალი-1887“-ის ინჟინერ-ტექნოლოგი **ბონდო ვალერიანის ძე თოიძე.**

ბონდო თოიძე დაიბადა 1943 წლის 19 მარტს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ენიჭება ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

1962 წლიდან მუშაობდა თბილისის №1 ღვინის ქარხანაში, ხოლო შემდეგ სამტრესტის თბილისის №4 ღვინის ქარხანაში.

1966 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის ლიქიორის ქარხანაში კუპაჟორად.

1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის სპირტისა და ლიქიორ-არყის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებაში ინჟინერ-ტექნოლოგად, რომელიც შემდგომ გადაკეთდა ს/ს „კრისტალი-1887“-ად. იყო საუკეთესო ტექნოლოგი და კუპაჟორი. მის მიერ გაკეთებული გემოვნებით დამზადებული ლიქიორი და არაყი ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

ბონდო თოიძე იყო უაღრესად კეთილსინდისიერი და თავმდაბალი პიროვნება, რომელიც ძლიერ იყო შეყვარებული თავის ქარხანაზე, მეგობრებზე და ნათესავებზე.

ჩვენ დაგვაკლდა საყვარელი ადამიანი და საუკეთესო სპეციალისტი, რომელიც მუდამ დარჩება იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვინც მას ახლოს იცნობდა.

**ს/ს „კრისტალი-1887“-ის თანამშრომლები.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ჟურნალისტ ლეილა არჩემაშვილს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

ივლიანე თოდუა, გრამიტონ კვარაცხელია, გიორგი ნაჭყებია, კლიმენტი ჯანჯღავა ოჯახებით იუწყებიან დიდებული მამულიშვილისა და პიროვნების

ილია ივანეს ძე კუტალიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი სპარტაკ ძოზულია.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობა 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK